

ლ. აზმაიფარაშვილი, ნ. არდოტელი, რ. ლოლუა, ლ. სანიკიძე, რ. ფარეულიძე

ნახურ და დაღესტნურ ენათა შედარებითი გრამატიკა

(საგრანტო პროექტი №31/45)

IV ნაწილი

თბილისი

2016

VII თავი

ატრიბუტული და პრედიკატული სინტაგმები და მათი წევრთა წყობის საკითხები;

სინტაქსური კონსტრუქციები

1. ატრიბუტული სინტაგმა და მისი წევრთა წყობის საკითხები; სინტაქსური კონსტრუქციები

ნახურ ენებში

წინადადება. სინტაგმა. ცნობილია, რომ წინადადება ენის გრამატიკული კანონების მიხედვით ერთმანეთთან შესაბამისი სიტყვათა ჯგუფია, რომელიც დასრულებულ აზრს გადმოსცემს. სხვაგვარად, წინადადება წარმოადგენს სიტყვათა ორგანიზებულ შენაერთს, რომელიც დამთავრებულ აზრს გამოხატავს. მაშასადამე, წინადადება ამა თუ იმ ენის ძირითადი სინტაქსური ერთეულია, რომლის ერთ-ერთი მთავარი ელემენტია ზმნა-შემასმენელი. ამის გამოა, რომ წინადადება ერთი სიტყვითაც, კერძოდ, ზმნა-შემასმენლითაც გადმოიცემა (შდრ., „ღამდება“, „თენდება“ და მისთ.).

სპეციალურ ლიტერატურაში გამოყოფენ, აგრეთვე, ე. წ. სახელდებით წინადადებასაც. ასეთი წინადადებაც „ყოველთვის ერთშემადგენლიანია და საგანს ამ მოვლენას აღნიშნავს მტკიცების გარეშე“ [კვაჭაძე, ქართული ენის ენციკლოპედია, 2008 : 577]. სახელდებითი წინადადება წარმოადგენს არსებით სახელს სახ. ბრუნვის ფორმით, რის გამოც მას შეიძლება ნომინატიური წინადადება ეწოდოს (შდრ., სიჩუმე. მამლის ყივილი...).

წინადადებაში სიტყვათა შორის კავშირი სინტაქსურია. ასე, მაგალითად, მრავალწევრიან წინადადებაში ერთი რომელიმე წევრი შეიძლება უკავშირდებოდეს იმავე წინადადების ერთ, რამდენიმე ან ყველა წევრს. აღსანიშნავია, რომ წინადადების წევრთა შორის კავშირი განსხვავებულია.

როგორც ითქვა, წინადადება შედგება გრამატიკული წესების მიხედვით ერთმანეთთან დაკავშირებული სიტყვებისაგან. სიტყვებს, რომელთაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვთ (სახელები, ზმნა, ზმნისართი), წინადადების წევრობა შეუძლიათ, დანარჩენი სიტყვები (თანდებული, კავშირი, ნაწილაკი) დამხმარე სიტყვებია. ტერმინი „სიტყვა“ ზოგი მათგანის შესახებ პირობითია (ნახურ ენებში: ზოგი თანდებული, ზოგი ნაწილაკი). დამხმარე სიტყვებს წინადადების წევრობა არ შეუძლიათ. წინადადების

ორი წევრი ქმნის სიტყვათა კავშირს, სინტაგმას. წინადადება, ჩვეულებრივ, ასეთი უმცირესი ერთეულებისაგან, სინტაგმებისაგან, შედგება. დადგენილია, რომ წინადადებაში იმდენი წევილია, რამდენიც არის წევრი ერთის გამოკლებით. მაშასადამე, წინადადება ნაწევრდება სინტაგმებად.

სიტყვათა მიმართება წინადადებაში ორგვარია: დაქვემდებარებითი და არადაქვემდებარებითი.

დაქვემდებარებითი შეკავშირების დროს წყვილის წევრთაგან ერთი მთავარია, მეორე - დაქვემდებარებული. მათ შორის კავშირი სინტაქსურია. ერთ მთავარს შეიძლება რამდენიმე დაქვემდებარებული სიტყვა ახლდეს. ხშირად დაქვემდებარებულს ახლავს თავისი დაქვემდებარებული. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ დაქვემდებარებული იქნება მთავარი მასზე დაქვემდებარებული სათვის. მრავალწევრიან წინადადებაში შესაძლებელია წინადადების წევრთა ჯაჭვის არსებობაც.

წინადადებაში სიტყვათა შორის (წინადადების წევრთა შორის) სინტაქსური დამოკიდებულების სახეებია: შეთანხმება, მართვა და მიერთვა.

შეთანხმებისას დაქვემდებარებული სიტყვა იღებს იმ ფორმას, რომელიც მთავარს აქვს. ამ დებულებას, რა თქმა უნდა, თავისი სპეციფიკაც აქვს. მაგალითად, ქართულში ბრუნებისას შეთანხმება თანხმობანფუძიან მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის განსხვავდება შეთანხმების იმ ფორმისაგან, რომელიც არსებობს ხმობანფუძიანი მსაზღვრელისა და საზღვრულის ერთად ბრუნების დროს. გარდა ამისა, შეთანხმებისას საჭიროა სინტაგმის წევრებს შორის ზიარი კატეგორიის (ან კატეგორიების) არსებობაც. ასეთ კატეგორიებს ნახურ ენებში განეკუთვნება ბრუნვა, გრამატიკული კლასი, გრამატიკული რიცხვი. სინტაგმაში მთავარი წევრი მათანხმებელია, დაქვემდებარებული კი ეთანხმება მთავარს. სახელი მართავს სახელსა და ზმნას კლასსა და რიცხვში.

ატრიბუტული სინტაგმა. სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ატრიბუტული სინტაგმა შედგება სახელებისაგან. ერთი სახელი მეორის რაიმე ნიშანზე, თვისებაზე, ატრიბუტზე (ლათინური: თვისება, კუთვნილება) მიუთითებს, განსაზღვრავს მას. ატრიბუტულ სინტაგმაში საზღვრული არსებითი სახელია, მსაზღვრელად შეიძლება იყოს ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი ან თვით არსებითი სახელი რომელიმე ბრუნვის ფორმით. ასეთი ბრუნვა ნახურ ენებში ნათესაობითს წარმოადგენს.

ზედსართავი სახელი ორგვარია: ვითარებითი (პირველადი) და მიმართებითი. მიმართებითი ზედსართავისაგან განსხვავებით, ვითარებითი ზედსართავი პირველადია. ასეთ სახელს შეუძლია ხარისხის

წარმოება. მიმართებითი ზედსართავი სახელი ნაწარმოებია სხვა სახელისაგან, ასეთი სახელისაგან ხარისხის ფორმები არ იწარმოება. როგორც ითქვა, ნახურ ენებში მიმართებითი ზედსართავი სახელი წარმოადგენს არსებითი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას და, ამდენად, იგი საზღვრულთან ერთად ბრუნებისას ფორმაუცვლელია (იხ. ქვემოთ).

მსაზღვრელის ფუნქციით ვითარებითი ზედსართავი სახელი ბრუნვაში ეთანხმება საზღვრულს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, საზღვრული მართავს მსაზღვრელს ბრუნვაში. ასეა სამივე ნახურ ენაში. მოვიყვანოთ სათანადო მაგალითები:

ჩენური ენა

სახ. ლდეკა ლამ „მაღალი მთა“

ნათ. ლდეკა-ჩუ ლამან^ნ (< ლამ-ან-ან, სადაც ფუძის მომღვენო -ან- სეგმენტი ე. წ. ჩანართია)

მიც. ლდეკა-ჩუ ლამანნა

ერგ. ლდეკა-ჩუ ლამანჲრ

თან. ლდეკა-ჩუ ლამანცა

განმ. ლდეკა-ჩუ ლამანახ

შედ. ლდეკა-ჩუ ლამანალ

მიმ. 1. ლდეკა-ჩუ ლამანდჲ

ინგუშური ენა

სახ. ლაჰა ლოამ

ნათ. ლაჰა-ჩა ლოამ^ნ

მიც. ლაჰა-ჩა ლოამჰ

ერგ. ლაჰა-ჩა ლოამჲო

თან. ლაჰა-ჩა ლოამაცა

განმ. ლაჰა-ჩა ლოამახ

შედ. ლაჰა-ჩა ლოამალ

მიმ. 1. ლაჰა-ჩა ლოამაგა

ბაცბური ენა

სახ. ლაჰე⁶ ლამ

ნათ. ლაჰე-ჩრ ლამე⁶

მიც. ლაჰე-ჩრ ლამენ

ერგ. ლაჰე-ჩრ ლამევ

გარდ. ლაჰე-ჩრ ლამელ...

მომღევნო ბრუნვები ბაცბურში ფუნქციონალურად მეტ-ნაკლებად განსხვავდებიან ჩეჩნურ-ინგუშურისაგან. აქ ჩვენთვის მთავარია ის, რომ მსაზღვრელის ფუნქციით გამოყენებული ზედსართავი სახელი სამივე ნახურ ენაში ერთნაირად ეთანხმება საზღვრულს. აქვს ორი ფორმა: ერთი სახელობითისა და მეორე - დანარჩენი ბრუნვებისა. -ჩუ, -ჩა, -ჩრ (< ჩო) ელემენტებს შორის განსხვავება ხმოვნით ნაწილშია და ამოსავალი მათთვის -ა ხმოვანი ჩანს (შდრ., „არის“ ზმნის ფონეტიკური ვარიანტები, ერთი მხრივ, ჩეჩნური ლუ და, მეორე მხრივ, და - ბაცბურსა და ინგუშურში; და ფორმა უცხო არ არის არც ჩეჩნური ენის ზოგი კილოკავისთვის).

აღნიშნული ელემენტის გენეზისის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ასე, მაგალითად, ა. შიფერის მიხედვით, ბაცბურში იგი ზედსართავის მანსათებელია [შიფერი 1856: 44-48]. პ. უსლარი შენიშნავს, რომ ბევრ არსებით სახელს (დასახელებულია ეროვნების, ხელობა-პროფესიის აღმნიშვნელი არსებითი სახელები) ირიბ ბრუნვებში რაღაც „ჩუ“ ელემენტი ემატება (უსლარი, 1888, 36-37). ეროვნების, ხელობა-პროფესიის აღმნიშვნელი არსებითი სახელები წარმოშობით საზღვრულდაკარგული მსაზღვრელებია და მათი ბრუნებისას „ჩუ“ ელემენტის გამოვლენაში არაფერია მოულოდნელი. თუმცა უფრო მართებული იქნებოდა იმის თქმა, რომ ნახურ ენებში, კერძოდ, ჩეჩნურში გასუბსტანტივებული ზედსართავი სახელები იბრუნვიან ზედსართავის დამოუკიდებელი ფორმის მსგავსად (იხ. დამოუკიდებელ ზედსართავ სახელთა ბრუნვა).

-ჩუ მარცვლის შესახებ მოსაზრებებებს გამოთქვამენ ნახურ ენათა მკვლევრები დ. იმნაიშვილი, რ. გაგუა, ი. ლეშერიევი, ბ. კიკვიძე... მაგალითად, ბ. კიკვიძე წერს, რომ „ჩო წარმოშობით ნაცვალსახელური ფუძე უნდა იყოს. თუ მის ფუნქციას გავითვალისწინებთ, ეს ვარაუდი სავსებით მართებული იქნება. მართალია, დღესდღეობით მისი დაკავშირება რომელიმე ნაცვალსახელურ ფუძესთან არ ხერხდება, მაგრამ

მონათესავე ენების მონაცემები ამ ვარაუდს უჭერენ მხარს“ [კიკვიძე 1958: 114]. მე-3 პირის ნაცვალსახელთან მის კავშირზე ვარაუდი გამოთქვა ი. არსახანოვა [არსახანოვი 1965; 103].

აღნიშნულ ელემენტს მე-3 პირის კუთვნილებით ნაცვალსახელს უკავშირებს კ. ჭრელაშვილი. მისი აზრით, სონორ -ნ-სთან შიშინა შ სისინად იქცა, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა ნახური ენებისათვის: ლაზე⁶-მა > ლაზენ-მა > ლაზე-ჩ, შდრ., ირშინ > ირჩინ... ე. ი. ბრუნებაში იგივე ვითარებაა, რაც საერთო სლავურში [ჭრელაშვილი 1960: 187].

მე-3 პირის ჩვენებით ნაცვალსახელთა ბრუნების პროცესის შედარება გასუბსტანტივებული ზედსართავის ბრუნების პარადიგმასთან მიგვანიშნებს იმაზე, რომ ჩვენებითი (მითითებითი) ნაცვალსახელის მზა ფორმა უშუალოდ დაერთო გასუბსტანტივებული ზედსართავის შესაბამის ფორმას. ამ საკითხზე ვრცელი მსჯელობა მოცემულია ჩვენს ნაშრომში [ფარეულიძე 2014: 124-125], ამიტომ მას აქ არ გავიმეორებთ. დასკვნის სახით ნათქვამია, რომ ნახურ ენათა ზედსართავ სახელებში -ჩა||-ჩუ||-ჩო ელემენტი, რომელიც არასახელობით ბრუნებებში ჩნდება, გენეტურად უკავშირდება მე-3 პირის ნაცვალსახელს.

სინტაგმაში, სადაც მსაზღვრელად ვითარებითი ზედსართავი სახელია, საზღვრულად კი არსებითი სახელი, წყობა პრეპოზიციურია - მსაზღვრელი საზღვრულის წინ დგას, მსაზღვრელი უსწრებს საზღვრულს. სინტაგმის მაქვემდებარებელი წევრი თუ სახელობით ბრუნვაშია, დაქვემდებარებული წევრიც სახელობით ბრუნვაში დგას. განსხვავება თავს იჩენს არასახელობით ბრუნებებში, სადაც მსაზღვრელს -ჩ(ა) სუფიქსი ერთვის იმის მიუხედავად, თუ რომელ ბრუნვაშია საზღვრული. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, შეთანხმება მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის სახელობით ბრუნვაშია, დანარჩენ ბრუნებებში, უნდა ვივარაუდოთ, რომ მსაზღვრელს ბრუნვის ნიშნები მოკვეცილი აქვს. რაც შეეხება -ჩა||-ჩო||-ჩუ ფორმანტს, იგი, როგორც ზემოთაც ითქვა, მითითებითი ნაცვალსახელი საგან, კერძოდ, ცუ „იმ“ ფორმისაგან მომდინარეობს.

ვითარება ნახურ ენებში ქართულის ანალოგიურია, მაგალითად, ვაბრუნოთ „ის სახლი“:

სახ. ის სახლი

ერგ. იმ სახლმა

მიც. იმ სახლს

ნათ. იმ სახლის...

ე. ი. ქართულშიც მითითებით ნაცვალსახელს მსაზღვრელის ფუნქციით სულ ორი ფორმა აქვს: ერთი სახელობითში, მეორე - დანარჩენ ბრუნებებში.

აღსანიშნავია, რომ ე. წ. ირიბ ბრუნვებში მსაზღვრელის -ჩ(უ) დაბოლოება, რომელსაც ხმოვანი ზეპირმეტყველებაში ისედაც მოკვეცილი აქვს, თანდათან კარგავს თავის პოზიციას და ახალგაზრდათა მეტყველებაში თითქმის არ შენიშნება. ასეთი ვითარება დასტურდება ჩეჩნური ენის ქისტურ დიალექტში - გაჩნდა მსაზღვრელის ბრუნვათა ფორმების უნიფიკაციის ტენდენცია.

მსაზღვრელ-საზღვრულის შებრუნებული წყობის ნიმუშები შენიშნული არ არის - მსაზღვრელი ყოველთვის უსწრებს საზღვრულს. მსაზღვრელის ფორმა დამოკიდებული არ არის საზღვრულის რიცხვზე.

მამასადაძე, სინტაგმის წევრებს შორის წყობა პრეპოზიციურია.

შეთანხმება გრამატიკულ კლასში. სინტაგმის წევრებს შორის კავშირი შეიძლება გრამატიკული კლასის ნიშნებითაც გამოიხატოს. ნახურ ენათა ვითარებითი ზედსართავი სახელები, დაახლოებით ორი ათეული ფუძე, იცვლება გრამატიკული კლასის ნიშნების მიხედვით. მამასადაძე, კლასნიშნის ზედსართავი სახელი (მსაზღვრელი) კლასში ეთანხმება არსებით სახელს (საზღვრულს), ე. ი. საზღვრული მართავს მსაზღვრულს კლასში. ბრუნების თვალსაზრისით, კლასნიშნის მსაზღვრელები, უკლასნიშნობთან შედარებით, სხვაობას არ გვიჩვენებენ. მაგალითად:

ჩეჩნური	ინგუშური	ბაცბური
სახ. ვ-ჴოჴკა სთაგ	ვ-ჴოჴკა საგ	ვ-ავკონ ^ნ სტაკ „ნნიერი კაცი“
ნათ. ვ-ჴოჴკაჩუ სთეგა ^ნ	ვ-ჴოჴკაჩა საგა	ვ-ავკონჩო სტაკონ ^ნ
მიც. ვ-ჴოჴკაჩუ სთაგანა	ვ-ჴოჴკაჩა საგა	ვ-ავკონჩო სტაკონ
ერგ. ვ-ჴოჴკაჩუ სთაგა	ვ-ჴოჴკაჩა საგ-ჴო	ვ-ავკონჩო სტაკოს...

მოვიყვანოთ გრამატიკულ კლასში შეთანხმების სხვა მაგალითებიც. შღრ., აგრეთვე:

დ-ჴოჴკა სთაგ (ჩეჩნ.), დ-ჴოჴკა საგ (ინგუშ.) „ნნიერი ქალი“, დ-ავკონ ფსტუ „ნნიერი ქალი, ცოლი“

სახელი „სთაგ | საგ | სტაკ“ აღნიშნავს „კაცს, ადამიანს“, გარჩევა ჩეჩნურ-ინგუშურში „კაცი“, „ქალი“ მიღწეულია კლასის ნიშნების ცვალებით მსაზღვრელში, თუმცა ამ ენებში არსებობს სიტყვები **ზუდა** „ქალი, ცოლი“ (ჩეჩნური), **ჯალსაგ** „ქალი“, **სიესაგ** „ცოლი“ (ინგუშური).

1) რა-ჯგუფის სახელებში:

ა-ჟოჯვა აურთ „დიდი სოფელი“

ბ-ჟოჯვა ლამ „დიდი მთა“ - დ-აჯვიდ ლამნამ „დიდი მთები“

დ-ჟოჯვა დითთ „დიდი ხე“

ან კიდევ:

ა-ჟოჯვა ბდეღარ „თბილი ტანსაცმელი“

ბ-ჟოჯვა ქუე „თბილი ქული“

დ-ჟოჯვა დეე „თბილი დეე“...

მაგალითები მოხმობილია ჩეჩნური სალიტერატურო ენიდან. ანალოგიური ვითარებაა ბაცბურსა და ინგუშურში.

საკითხი კლასნიშნიანი ზედსართავი სახელების შესახებ ნახურ ენებში ვითარებით ზედსართავ სახელთა შედარებითი ანალიზის დროს არის განხილული და აქ მას აღარ გავიმეორებთ.

რიცხვში შეთანხმება. აღსანიშნავია, მრავლობითში დასმული საზღვრული ზოგ ზედსართავ სახელს ითანხმებს რიცხვშიც. რიცხვში შეთანხმებალია ოთხი ზედსართავი სახელი ჩეჩნურში (უკლასნიშნო **სთომმა** „სქელი“, **გოთთა** „ვიწრო“, **ჟიმა** „პატარა“ და კლასნიშნიანი დ-ჟოჯვა „დიდი“ - შდრ., იმავე სახელთა მრ. რიცხვის ფორმები: **სთომმა** - **სთამმიდ**, **გოთთა** - **გათთიდ**, **ჟიმა** - **ქდეგიდ** [სზვა ფუძეა], **დ-ჟოჯვა** - **დ-აჯვიდ**).

მოვიყვანოთ მაგალითები:

სთომმა ქნიგა „სქელი წიგნი“ - სთამმიდ კნიგამ „სქელი (ზედმიწევნით: სქელები) წიგნები“;

გოთთა ნდეე „ვიწრო გზა“ - გათთიდ ნდეამ „ვიწრო (ზედმიწევნით: ვიწროები) გზები“;

ჟიმა კანთ „პატარა ბიჭი“ - ქდეგიდ კანთიდ „პატარა (ზედმიწევნით: პატარები) ბიჭები“;

დ-ჟოჯვა ხი „დიდი წყალი (მდინარე)“ - დიდი (ზედმიწევნით: დიდები) წყლები (მდინარეები)“...

ინგუშურში რიცხვში ცვალებადი ზედსართავი სახელი მხოლოდ ერთია: დ-ჟოჯვა წა „დიდი სახლი“ - დ-ჟოჯვიდ წადენჟომ „დიდი (ზედმიწევნით: დიდები) სახლები“ [Барахоева и др., 2012: 86]. ბაცბურში

მსგავსი მაგალითები გამოვლენილი არ არის. მიუხედავად ამისა, რიცხვში მონაცვლე ზედსართავ სახელთა არსებობა აღნიშნულ ენაში გამორიცხული არ არის.

მაშასადამე, საანალიზო მაგალითებში სინტაგმის წევრებს შორის კავშირს რიცხვში შეთანხმება წარმოადგენს.

სინტაგმის წევრთა წყობა პრეპოზიციურია, პრეპოზიციურია, აგრეთვე, ყველა იმ შემთხვევაში, სადაც მსაზღვრელს წარმოადგენს თვით არსებითი სახელი (სუბსტანტივი), რიცხვითი სახელი ან ნაცვალსახელი.

განვიხილოთ ისინი ცალცალკე.

ატრიბუტული სინტაგმა სუბსტანტიური მსაზღვრელით

ატრიბუტული სინტაგმის ამ სახეობაში არსებითი სახელი, მსაზღვრელის ფუნქციით (სუბსტანტიური მსაზღვრელი), ნათესაობით ბრუნვაში დგას (შდრ., მაგალითად, ქართული „ხის სახლი“, „ქვის კედელი“ და მისთ.). ნახურ ენებში ნათესაობითი ბრუნვის ძირითადი ნიშანია **-ინ** ფორმანტი, რომლის ხმოვნით ნაწილს ან თვით ამ ფორმანტსაც, ენებისა და დიალექტების მიხედვით, ცვლილებები განუცდია მის სრულ მოკვეცამდეც კი. **-ინ** ფორმანტის გავლენით ჩეჩნურში არს. სახელთა მნიშვნელოვან ნაწილში ფუძისეული ხმოვნების ცვლილებები ხდება (ასიმილაციის სახეობებიდან - პალატალიზაცია, ლაბიალიზაცია, ხმოვანთა დავიწროება...), რაც მეორეულია, ფონეტიკური პროცესების შედეგი. ფუძისეულ ხმოვანთა მეტ-ნაკლები ცვლილებები ფიქსირდება ინგუშურსა და ბაცბურშიც (იხ. სახელთა ბრუნება).

მაშასადამე, სინტაგმაში, რომელშიც მსაზღვრელიცა და საზღვრულიც არსებითი სახელებია, საზღვრული მართავს მსაზღვრელს ბრუნვაში, კერძოდ, ნათესაობით ბრუნვაში. მოვიყვანოთ სინტაგმები, რომლებიც შეიცავენ სუბსტანტიურ მსაზღვრელებს:

ჩეჩნური:

ტულგ-ა⁵ (შდრ., სახ. ტულგ „ქვა“) წა „ქვის სახლი“;

მჰლხ⁶ (შდრ., სახ. მალხ „მზე“) ზ'დენარ „მზის სხივი“;

ბდერზა⁶ (შდრ., სახ. ბჰორზ „მგელი“) კჷზა „მგლის ლეკვი“ ...

ინგუშური:

ლოლა^ნ (შღრ., სახ. ლოლა „წვიმა“) ხიდ „წვიმის წვეთი“;

ბ'არა (შღრ., სახ. ბ'არ „კაკალი“) ისთჟოლ „კაკლის მაგიდა“;

წასთა (შღრ., წასთა „სპილენძი“) კუდალ „სპილენძის თუნგი“...

ბ'არა, წასთა წარმოადგენენ ნათ. ბრუნვის ფორმებს, რომელთაც მოკვეცილი აქვთ ბრუნვის ნიშნის თანხმონითი ნაწილი. ბრუნვის ნიშნის მოკვეცის შემთხვევაში ზოგი სახელის სახელობითი და ნათესაობითი ბრუნვების ფორმები ერთმანეთს ემთხვევა, რაც, რა თქმა უნდა, მეორეულია, გვიანდელია.

ბაცბური:

ვაშე^ნ (შღრ., სახ. ვაშო) ჟაგნო „ძმის წიგნი“;

დაშე^ნ (შღრ., დაშო) მანდილ „ღის მანდილი“;

ბადრე^ნ (შღრ., სახ. ბადერ) სათამაშო „ბავშვის სათამაშო“;

ხენ-ე^ნ (შღრ., სახ. ხე^ნ) ჩაკო „ხის სკამი“ [მიქელაძე 2011: 156]...

საზღვრულმა თუ რიცხვის ფორმა შეიცვალა, მრავლობითში გადავიდა, ამით მსაზღვრელი ფორმას არ იცვლის, ე. ი. საანალიზო სინტაგმის წევრებს შორის რიცხვში შეთანხმება არა გვაქვს. შღრ., მაგალითად, ჩეჩნური:

სახ. ტულგ-ან წა „ქვის სახლი“ და ტულგ-ან წაწჟომ „ქვის სახლები“

ნათ. ტულგ-ან წიდანან; ტულგ-ან წაწჟომ

მიც. ტულგ-ან წაწენნა; ტულგ-ან წაწჟომნა...

ანალოგიურია ვითარება ინგუშურსა და ბაცბურში. ამ მხრივ ნახური ენები არ განსხვავდებიან ქართულისაგან.

რიცხვითსახელიანი ატრიბუტული სინტაგმა მსაზღვრელად

ნახურ ენებში მსაზღვრელად, არსებითი და ზედსართავი სახელების გარდა, რიცხვითი სახელი და ნაცვალსახელიც დასტურდება. სინტაგმის წევრთა წყობა აქაც პრეპოზიციურია.

სინტაგმაში, რომლის მსაზღვრელი რიცხვითი სახელია (რაოდენობითი ან რიგობითი), საზღვრული კი - არსებითი სახელი, სინტაგმის წევრებს შორის შემდეგი სახის სინტაქსური კავშირი ვლინდება:

რიცხვითი სახელები პირველიდან ხუთამდე ჩენურსა და ინგუშურში ბოლოვდება ლარინგალურ ბგერაზე, რომელიც ბაცბურში, სავარაუდოდ, მოკვეცილია (ბაცბურში გამონაკლისია „ოთხის“ გამომხატველი დ-‘ივ’). შლრ.:

ჩენურ-ინგუშური: ცჰაა ’ (||ცა’ - ინგ-ში) „ერთი“, ში ’ „ორი“, ვჷო ’ „სამი“, დ-ი ’ „ოთხი“, ფხი ’ „ხუთი“;

ბაცბური: ცჰაა „ერთი“, ში „ორი“, ვო „სამი“, დ-‘ივ’ „ოთხი“, ფხი „ხუთი“.

პირველ ხუთ რაოდენობით რიცხვით სახელთან დაკავშირებულ საკითხებზე, რომ, მაგალითად, ნახურ ენებში „ოთხი“ ერთადერთი რიცხვითი სახელია ცვალებადი გრამატიკული კლასის ნიშნით და სხვა, საუბარია ზემოთ, რიცხვით სახელთა შედარებით ანალიზზე მსჯელობისას.

მსაზღვრელის ფუნქციით ამ სახელთა გამოყენებისას ბოლოკიდური ლარინგალი, ოთხის აღმნიშვნელის გარდა, იკვეცება ჩენურ-ინგუშურშიც. ამ შემთხვევაში ჩენურ-ინგუშურის ვითარება ემთხვევა ბაცბურისას. შლრ.:

ცჰაა (ში, ვჷო, ფხი) გოჷრ „ერთი (ორი, სამი, ხუთი) ცხენი“

ცჰაა (ში, ვჷო, ფხი) ვაშა (ჩენ.), ვოშა (ინგ.), ვაშო (ბაცბ.) „ერთი (ორი, სამი, ხუთი) ძმა“...

როგორც უკვე ითქვა, გამონაკლისი აქაც ოთხის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელია, რომელსაც სამივე ენაში მხოლოდ კლასის მარკერი ეცვლება, ფორმა - არა.

ჩენურ-ინგუშური: დ-ი გოჷრ „ოთხი ცხენი“;

ბაცბური: დ-‘ივ’ დოჰა „ოთხი ქალიშვილი“...

მსაზღვრელ-საზღვრულის ერთად ბრუნებისას აქაც მსაზღვრელის სულ ორი ფორმა გვაქვს: ერთი - სახელობითში, მეორე - დანარჩენ ბრუნებში. მაგალითად:

ჩენური

სახ. ცჰაა (ში, ჳჷო, დ-ი, ფხი) გოვრ „ერთი ცხენი“

ნათ. ცჰაანა (შინა, ჳა' ა, დ-ე' ა, ფხდეა) გოვრა⁵

მიც. ცჰაანა (შინა, ჳა' ა, დ-ე' ა, ფხდეა) გოვრანა

ერგ. ცჰაანა (შინა, ჳა' ა, დ-ე' ა, ფხდეა) გოვრჷო...

ინგუშური

სახ. ცჰაა ქნიჟა „ერთი წიგნი“

ნათ. ცჰან ქნიჟჷ

მიც. ცჰან ქნიჟჷანა

ერგ. ცჰან ქნიჟჷა...

შღრ., აგრეთვე:

სახ. ში (ჳჷო, დ-ი, ფხი, ტჷჷო) ქნიჟა „ორი (სამი, ოთხი, ხუთი, ოცი) წიგნი“

ნათ. შინ (ჳა, დ-ი, ფხდე, ტჷა) ქნიჟჷ [ახრიევა და სხვ., 1972: 148-150]...

მომღვენო ბრუნვებში, როგორც ითჷვა, რიცხვითი სახელეუბი არ იცვლუბა.

ბაცბური

სახ. ჳო ვაშო „სამი ძმა“ (შღრ. ვ-‘ ივ' ვაშო „ოთხი ძმა“)

ნათ. ჳა ვაშად⁶

მიც. ჳა ვაშინ

ერგ. ჳა ვაშას (ღეშერიევი 1967, 273) ...

შღრ., აგრეთვე:

სახ. ცჰაა (ში, ფხი) სტაკ „ერთი (ორი, ხუთი) კაცი“

ნათ. ცჰაადნ (შინ, ფხინ) სტაკო⁶

მიც. ცჰაადნ (შინ, ფხინ) სტაკონ

ერგ. ცჰაადნ (შინ, ფხინ) სტაკოს...

ხუთის მომდევნო რაოდენობითი რიცხვითი სახელები საზღვრულთან ბრუნებისას ფორმას არ იცვლიან. მაგალითები ჩეჩნურიდან:

სახ. ძალხ (ვჭორჰ, ბარჰ, ისს, ითთ, ცჰაათთა...) ზღეზაგ „ექესი (შვიდი, რვა, ცხრა, ათი, თერთმეტი...) ყვავილი“

ნათ. ძალხ (ვჭორჰ, ბარჰ, ისს, ითთ, ცჰაათთა...) ზღეზაგ⁵

მიც. ძალხ (ვჭორჰ, ბარჰ, ისს, ითთ, ცჰაათთა...) ზღეზაგანა

ერგ. ძალხ (ვჭორჰ, ბარჰ, ისს, ითთ, ცჰაათთა...) ზღეზაგუო...

ანალოგიური ვითარებაა ინგუშურსა და ბაცბურში.

სინტაგმაში რიგობით რიცხვით სახელთა ბრუნება საზღვრულთან სამივე ნახურ ენაში არ განსხვავდება ვითარებით სახელთა ბრუნებისაგან, ე. ი. ასეთ მსაზღვრელს აქვს სულ ორი ფორმა: ერთი - სახელობითში, მეორე - დანარჩენ ბრუნებებში (-ჩუ, -ჩა, -ჩრ დაბოლოების შესახებ იხ. ზემოთ). შდრ.:

ჩეჩნური

სახ. შჭოლლა კანთ „მეორე ბიჭი“

ნათ. შჭოლლაჩუ კენტან

მიც. შჭოლლაჩუ კანთანა

ერგ. შჭოლლაჩუ კანთა...

ინგუშური

სახ. ფხდელლა ქურს „მეხუთე კურსი“

ნათ. ფხდელლაჩა ქურსა

მიც. ფხდელლაჩა ქურსა

ერგ. ფხდელლაჩა ქურსუტ...

ბაცბური

სახ. შილდე⁶ (ვალდე⁶, ისსლდე⁶)კნათ „მეორე (მესამე, მეცხრე) ბიჭი“

ნათ. შილდეჩ (ვლდეჩ, ისსლდეჩ) კნათე⁶

მიც. შილლერ კნათენ

ერგ. შილლერ კნათევ...

მაშასადამე, ნახურ ენათა სინტაგმა, რომლის შემადგენლებია რიცხვითი და არსებითი სახელები, წყობა პრეპოზიციურია. მსაზღვრელ რიცხვით სახელთან საზღვრული ყოველთვის მმხოლობით რიცხვში დგას.

ნაცვალსახელიანი ატრიბუტული სინტაგმა

საზღვრულსა და მსაზღვრელ ნაცვალსახელს შორის სინტაქსური კავშირი ნახურ ენებში შემდეგი სახისაა:

წყობა, როგორც ყველა ატრიბუტულ სინტაგმაში, პრეპოზიციურია;

შეთანხმება გვაქვს ჩვენებით ნაცვალსახელსა და არსებით სახელს შორის.

მოვიყვანოთ მაგალითები.

ჩეჩნური:

სახ. ჰარა ბერ „ეს ბავშვი“

ნათ. ვუ ბერან

მიც. ვუ ბერანა

ერგ. ვუ ბერუტ...

მითითებითი ნაცვალსახელები ნახურ ენებში იბრუნვიან სუპლექტურად - ორფუძიანი ბრუნების პრინციპით. მეორე ფუძე არასახელობით ბრუნვებშია წარმოდგენილი და უცვლელია მაშინაც, როცა საზღვრული რიცხვს შეიცვლის - გადავა მრავლობითში:

სახ. ჰარა ბერამ „ეს (თუმცა ჰარა-ს გააჩნია მრავლობითის ფორმაც: ჰორმ) ბავშვები“

ნათ. ვუ ბერიდნ

მიც. ვუ ბერამნა

ერგ. ვუ ბერამა...

ბრუნება ქართულის მსგავსია, ვითარება იდენტურია. შდრ.:

სახ. ეს ბავშვი

ერგ. ამ ბავშვმა

მიც. ამ ბავშვს

ნათ. ამ ბავშვის...

საზღვრული მრავლობითში: ეს ბავშვები, ამ ბავშვებმა, ამ ბავშვებს, ამ ბავშვების...

ინგუშური:

საგ. დერ ქანათ „ეს ქალაღი || წერილი“ იხ ქანათ „ის ქალაღი || წერილი“

ნათ. უკ ქანათა ცუ ქანათა

მიც. უკ ქანათჲ ცუ ქანათჲ

ერგ. უკ ქანათჳო... ცუ ქანათჳო...

საზღვრული მრავლობითში:

სახ. დერ ქანათამ „ეს ქალაღები || წერილები“

ნათ. უკ ქანათიდ

მიც. უკ ქანათამთა

ერგ. უკ ქანათამა...

სახ. უჲ ბჳრამ „ის (ზეღმიწეენით - ისინი) ბავშვები“

ნათ. ცუ ბჳრიდ

მიც. ცუ ბჳრამთა

ერგ. ცუ ბჳრამა...

ბაცბური:

სახ. ე | ი ბადერ „ეს ბავშვი“ ის ბადერ „ეგ ბავშვი“ ო ბადერ „ის ბავშვი“

ნათ. ე ბადრე^ნ ის ბადრე^ნ ო ბადრე^ნ

მიც. ე ბადრენ ის ბადრენ ო ბადრენ

ერგ. ე ბადრეს

ის ბადრეს

ო ბადრეს...

ვითარება ბაცბურში განსხვავებულია - მსაზღვრელი, მიმართებითი ზედსართავი სახელების მსგავსად, ბრუნვათა მიხედვით უცვლელია, რაც მეორეული ჩანს.

მიმართებითი ნაცვალსახელები (იგივე პირის ნაცვალსახელები ნათესაობით ბრუნვაში) მსაზღვრელებად ჩვეულებრივია ნახურ ენათა სინტაგმებში. საზღვრულთან ბრუნებისას ისინი ფორმას არ იცვლიან - საზღვრული მართავს მათ ბრუნვაში.

მაშასადამე, ყოველივე ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა, რომ სინტაგმა, რომელიც სახელებისაგან შედგება, არიის ატრიბუტული. ატრიბუტულ სინტაგმაში ერთი წევრი არის საზღვრული, მეორე - მსაზღვრელი, რომელიც საზღვრულის რაიმე თვისებაზე, კუთვნილებაზე, მასალაზე, სხვა რაიმე ნიშანზე მიუთითებს. მსაზღვრელებად გვაქვს ზედსართავი სახელი (ვითარებითი და მიმართებითი), რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი. საზღვრულს კი წარმოადგენს არსებითი (ან გასუბსტანტივებული არსებითი) სახელი.

მსაზღვრელ-საზღვრულს შორის კავშირი სინტაქსურია, გვაქვს შეთანხმება ან მართვა, წყობა პრეპოზიციურია - მსაზღვრელი უსწრებს საზღვრულს.

I. პრედიკატული სინტაგმა და მის წევრთა წყობის საითხები

შესიტყვებებში, როგორც ითქვა, გამოიყოფა ორი ტიპი: ატრიბუტული სინტაგმა (რომელიც შედგება მხოლოდ სახელებისაგან) და პრედიკატული სინტაგმა (რომელიც შედგება სახელისა და ზმნისაგან).

მაშასადამე, სინტაქსურად დაკავშირებული სახელი და ზმნა წარმოადგენს პრედიკატულ სინტაგმას. პრედიკატულ სინტაგმაში პრედიკატთან სინტაქსურ კავშირში შეიძლება იყოს მოქმედების გარემოების გამომნატველი სიტყვებიც. მოვიყვანოთ პრედიკატული სინტაგმის მაგალითები, მაგალითად, ჩეჩნურიდან:

ლჷო დ-რღუ „თოვლი მოდის“;

მჷონ ჰაჷჷუ „ქარი ქრის“;

ბჷრამ ლოჷჷუ „ბავშვები თამაშობენ“;

სთიგალაჷჷ სდჷდარჩიღ ლდჷჷჷა „ცაზე ვარსკვლავები ციმციმებენ“...

ნათელია, რომ ყველა ეს სინტაგმა რაღაცის მტკიცებას შეიცავს, მტკიცება კი ზმნასთან არის დაკავშირებული. არა აქვს მნიშვნელობა იმას, სინტაგმაში მტკიცება გვაქვს თუ უარყოფა, მთავარია ის, რომ სინტაგმაში ზმნა იყოს: ზმნა პრედიკატული სინტაგმის საყრდენია, ბერთვია (არნ. ჩიქობავა), სინტაგმის მთავარი შემადგენელია.

ცნობილია, რომ, უღლების თვალსაზრისით, ზმნები თავისებურებებს გვჩვენებენ. კერძოდ, უღლების მიხედვით, ზმნები ტიპებად იყოფიან. აქედან გამომდინარე, პრედიკატული სინტაგმის თავისებურება დამოკიდებულია ზმნის მორფოლოგიურ თავისებურებაზე.

ნახურ ენებში, როგორც ზმნათა შედარებითი ანალიზისას ითქვა, ზმნათა ერთი ნაწილი იცვლება გრამატიკული კლასის ნიშნების (მარკერების) მიხედვით. უღლებაც, შესაბამისად, კლასოვანია. მაგრამ ამავე ენებში ზმნათა ერთი ნაწილი არ იცვლება გრამატიკული კლასის ნიშნების მიხედვით. მაშასადამე, გვაქვს არაკლასოვანი (უკლასნიშნო) ტიპის უღლების ზმნებიც.

ნახურ ენათაგან ბაცბურ ენაში (ჩეჩნური ენის ქისტურ დიალექტშიც) ჩამოყალიბდა პიროვანი უღლებაც, რამაც ბაცბურში განაპირობა პიროვანი (უკლასნიშნო ზმნათა) და კლასოვან-პიროვანი (კლასნიშნიან ზმნათა) უღლების ტიპების ჩამოყალიბება. ბაცბური პიროვანი (ან კლასოვან-პიროვანი) უღლება ნახურ ენათა სინამდვილეში ინოვაციას წარმოადგენს.

ზმნის გარდამავლობისა და უღლების თავისებურებათა შესაბამისად, ზმნასთან სინტაქსურად დაკავშირებული სუბიექტისა და რეალური ობიექტის ბრუნვები არის შემდეგი:

1. გარდაუვალ ზმნასთან სუბიექტი დგას სახელობით ბრუნვაში - ზმნა მართავს სახელს ბრუნვაში. კლასნიშნიანი ზმნა გამოხატავს სუბიექტის კლასის ნიშანს - სუბიექტი (სახელი) მართავს გარდაუვალ ზმნას კლასში. მაგალითად (ზმნაში კლასის ნიშანი გამოყოფილია ლეფისით):
ჩეჩნური: ბუც (სახ.) დ-ვლლა „ბალახი ამოვიდა (ამოსულა)“; ჰარზა დ-დჟქა „ჩიტი გალობს“;
ბ'ვსთდჟ დ-რლუ „გაზაფუელი მოდის“ ...
ინგუშური: ხა დ-ჟრდა „დრო მიდის“; ლოა დ-დელხ „თოვლი მოდის“; მუხ ჰადეკ „ქარი ქრის“ ...
ბაცბური: ფჰარჩ ახჟ „ძაღვები ყეფენ“; ბადერ დ-ათხჟ „ბავშვი ტირის“; მემცხორ ლათთერა „მეცხვარე იღვა“ (მიქელაძე 2015, 136-138)...

2. გარდამავალ ზმნასთან სუბიექტი ღვას ერგატივში - ზმნა მართავს სახელს (სუბიექტს) ბრუნვაში. კლასნიშნიანი გარდამავალი ზმნა გამოსატავს რეალური ობიექტის კლასის ნიშანს - გარდამავალ ზმნას რეალური ობიექტი მართავს კლასში. რეალური ობიექტი ღვას სახელობით ბრუნვაში. საგულისხმოა, რომ კლასნიშნიანი ზმნა, გარდაუვალცი და გარდამავალცი, კლასში ეთანხმება სახელს, რომელიც სახელობით ბრუნვაში ღვას.
3. გრძნობა-აღქმის ზმნა ნახურ ენებში გარდაუვალცა, როგორც, ზოგადად, იბერიულ-კავკასიურ ენებში. გრძნობა-აღქმის ზმნებთან სუბიექტი სამივე ნახურ ენაში ღვას მიცემით ბრუნვაში, რეალური ობიექტი - სახელობით ბრუნვაში. კლასნიშნიანი ზმნა კლასში ეთანხმება რეალურ ობიექტს, რომელიც ამ ტიპის ზმნებთანაც სახელობით ბრუნვაში ღვას.

მამასადამე, პრედუკატულ სინტაგმაში რეალური სუბიექტი, ზმნის გარდამავლობის მიხედვით, ღვას სახელობითში, ერგატივში, მიცემითში.

სინტაქსური კონსტრუქციები

სუბიექტის ბრუნვის შესაბმისად, ნახურ ენათა პრედუკატულ სინტაგმებში გამოიყოფა შემდეგი კონსტრუქციები:

1. ნომინატიური;
2. ერგატიული;
3. დატიური.

ამ კონსტრუქციათაგან მხოლოდ გარდამავალი ზმნა ქმნის ერგატიულ კონსტრუქციას. დანარჩენ კონსტრუქციებს ქმნიან გარდაუვალცი ზმნები. სინშირის თვალსაზრისით, გამოირჩევიან ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციები. დატიური კონსტრუქციის ზმნები (გრძნობა-აღქმის ზმნები), როგორც სხვა ენებში, ნახურშიც მცირერიცხოვანია.

ნომინატიური კონსტრუქცია.

ნომინატიურ კონსტრუქციას ნახურ ენებში ქმნის მარტივი გარდაუვალი ზმნა. გარდაუვალ ზმნასთან სუბიექტი დგას სახელობით ბრუნვაში. სუბიექტი (ქვემდებარე) გამოხატულია არსებითი სახელით ან პირის ნაცვალსახელით. გარდა ამისა, როგორც ცნობილია, ნახურ ენებში ზმნათა ნაწილი, მათ შორის გარდაუვალი ზმნებიც, იცვლება გრამატიკული კლასის ნიშნების, მარკერების მიხედვით. ცვლებადი გრამატიკული კლასის ნიშნების მქონე გარდაუვალ ზმნას სუბიექტი მართავს კლასში. გარდაუვალ ზმნასთან, რა თქმა უნდა, რაიმე სახისა თუ ფორმის ობიექტის არსებობა გამორიცხებულია. ნომინატიურ კონსტრუქციაში გვაქვს ზმნა და მასთან სინტაქსურ კავშირში მყოფი რეალური სუბიექტი (იგივე ქვემდებარე).

მოვიყვანოთ სათანადო მაგალითები:

ჩეჩნური: სთაგ ვ-ტლე „კაცი მიღის“ (სთაგ „კაცი/ადამიანი“ ვ- კლასისაა, რომელიც ზმნაშია ასახული);

ასევე:

ზულა დ-ტლე „ქალი მიღის“;

ჩა დ-ტლე „დათვი მიღის“

სთუ ბ-ტლე „ხარი მიღის“;

ბერ დ-ტლე „ბავშვი მიღის“;

ხი დ-ტლე „მდინარე მიღის“

შდრ., აგრეთვე:

სთაგ ვ-ანა „კაცი წავიდა“;

ზულა დ-ანა „ქალი წვიდა“;

ჩა დ-ანა „დათვი წავიდა“;

სთუ ბ-ანა „ხარი წავიდა“;

ხი/ბერ დ-ანა „წყალი/ბავშვი წავიდა“ ...

ანალოგიური ვითარებაა ინგუშურსა და ბაცურში - სამივე ენაში გარდაუვალი ზმნა ქმნის ნომინატიურ კონსტრუქციას, კლასნიშნიან ზმნებში კლასის ნიშნით გამოხატულია სუბიექტის კლასი.

მაშასადამე, ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ნომინატიური კონსტრუქციის არსებობა ივარაუდება ნახურ ფუძეენაშიც.

ნომინატიური კონსტრუქციის ფარგლებში ერთგვარ თავისებურებას გვიჩვენებს ბაცბური ენა. ბაცბური ენის თავისებურებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ გარდაუვალი ზმნის სუბიექტი, სახელობითის გარდა, შეიძლება იდგეს ერგატივშიც. მ. მიქელაძის აზრით, საკითხი წყდება იმის მიხედვით, თუ როგორ არის ზმნაში სუბიექტი გააზრებული - აქტიურად თუ პასიურად. თუ ზმნით გამოხატული პროცესი ჩვენს უნებურად ხდება, სუბიექტი ამ პროცესში პასიურია, სხვა შემთხვევაში სუბიექტი თვითონ აქტიურობს, წარმართავს მოქმედებას [მიქელაძე 2013, 63-64]. ამ ვითარებაში სუბიექტი ერგატივში დგას. შევუდართოთ ერთმანეთს ასეთი ფორმები:

ა) პასიურსუბიექტიანი გარდაუვალი ზმნები:

სო (სუბ. სახ-ში) ისე ლა'თე-**სწ** (-**სწ** სუბ-რი პირის ნიშანი < სო „მე“ ნაცვალსახელისაგან სახელობითში) „მე აქ ვლგავარ“;

სო ვა'ვლა-**სწ** „მე ვიზრდები“...

ბ) აქტიურსუბიექტიანი გარდაუვალი ზმნები:

ას (სუბ. ერგ-ში, სახ-ში **სო**) ისე ლათე'-**ს** (-**ს** სუბ-რი პირის ნიშანი < სო „მე“ ნაცვალსახელისაგან ერგატივში) „მე აქ ვლგავარ“;

ას ვაკლა'-**ს** „მე ვიზრდები“ [მიქელაძე 2013 : 64]...

ი. დეშერიევის აზრით, მეორე შემთხვევაში პირველი სუბიექტური პირის ნიშანია არა -ს, არამედ -ას (ასევე, მეორე პირში - არა -ჰა, არამედ -აჰა): ვ-უიტ-ას „მივდივარ“, რაც, ჩვენი ვარაუდით, უფრო მართებული ჩანს [დეშერიევი 1963 : 497]. შდრ., ბაცბური სახ. **სო** „მე“, **ჰო** „შენ“; ერგ. **ას**, **აჰა** (შესაბამისად).

ნათელია, რომ აქ განსხვავებულია სუბიექტის ბრუნვა და პირის ნიშნები. გარდა ამისა, მეორე შემთხვევაში მახვილი პირველი მარცვლიდან გადმონაცვლებულია მეორე მარცვალზე [მიქელაძე 2013 : 64].

ბაცბურის თავისებურება შენიშნული აქვს ი. დეშერიევსაც [დეშერიევი 1953], მისი დაკვირვებით, ეს ხდება მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებთან. ორივე მკვლევართან მითითებულია, რომ სუბიექტი აქტიურობას იძენს მხოლოდ 1-სა და მე-2 პირის ფორმებში, მე-3 პირში კი სუბიექტი მყარად დგას სახელობით ბრუნვაში:

მე-3 პირში სულიერთან ერთად უსულო საგნებიც ივარაუდება, რომლებთანაც მოქმედების თვალსაზრისით აქტიურობა პრაქტიკულად შეუთავსებელია [მიქელაძე 2013 : 65].

ბაცბურის ეს თავისებურება - გარდაუვალ ზმნასთან სუბიექტი ერგატივში - მეორეულია, ახალი წარმონაქმნია და ნახურ ფუძეენაში იგი არ ივარაუდება. როგორც არ ივარაუდება, მაგალითად, ბაცბური პიროვანი უღლების არსებობა ნახურ ფუძეენაში.

ე რ გ ა ტ ი უ ლ ი კ ო ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა

ზემოთ ჩამოთვლილ კონსტრუქციათაგან, როგორც იბერიულ-კავკასიურ ენებში, ნახურ ენებშიც სპეციფიკურია ერგატიული კონსტრუქცია. ღვას არ იწვევს საკითხი, რომ გარდამავალი ზმნის თავისებურება ქმნის ერგატიული კონსტრუქციის არსს. ასეთი კონსტრუქცია ნახურ ენებში სამ წევრს შეიცავს. ესენია: თვით გარდამავალი ზმნა (პრედიკატი) და მასთან დაკავშირებული სუბიექტი და რეალური ობიექტი.

აღნიშნულ სახელთაგან სუბიექტი ღვას ერგატივში, რეალური ობიექტი კი - სახელობითში. როგორც ზემოთაც ითქვა, კლასნიშნიან ზმნაში ასახულია სწორედ რეალური ობიექტის კლასი და არა - სუბიექტისა. მაშასადამე, ზმნას კლასში მართავს მასთან სინტაქსურად დაკავშირებული სახელი, რომელიც სახელობით ბრუნვაში ღვას. სახელობით ბრუნვაში კი ღვას სუბიექტი გარდაუვალ ზმნასთან, გარდამავალ ზმნასთან კი რეალური ობიექტია სახ. ბრუნვაში.

მაშასადამე, ერგატიულ კონსტრუქციაში, რომელიც სამი წევრითაა წარმოდგენილი, თავისებურია მისი შედგენილობა და სინტაქსური კავშირი მის უშუალო შემადგენლებს შორის: კლასოვანი უღლების გარდამავალი ზმნა სინტაქსურად მხოლოდ რეალურ ობიექტს უკავშირდება, სუბიექტს კი არ ეთანხმება არც კლასში და არც რიცხვში.

ნათქვამიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ კლასოვანი უღლების პირობებში გარდამავალი ზმნა სუბიექტს ანგარიშს არ უწევდა. გარდამავალ ზმნაში სუბიექტის ასახვა, როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული, უღლების ტიპის შეცვლის შემდეგ გახდა შესაძლებელი, ე. ი. მაშინ, როცა კლასოვანი უღლება კლასოვან-პიროვანი უღლებით შეიცვალა, როგორც ეს ნახურ ენათაგან ბაცბურში დასტურდება.

მაგალითები ჩვენური ენიდან, შევადაროთ:

ბელსალოტო (სახ. ბრ.) ზავოდე ვ-რჯო „მუშა ქარხანაში მიდის“ (ნომინატიური კონსტრუქცია);

ბელსალოტოტო (ერგ.) ზავოდეჰ ბჟოლხ ბჟო „მუშა ქარქანაში მუშაობს“ (ერგატიული კონსტრუქცია; ბჟოლხ ბჟო „მუშაობს“ [ზედმიწევნით - მუშაობა(ს) აკეთებს], ზმნა გარდამავალია და, ქართულიდან განსხვავებით, აწმყოშიც სახელს მართავს ერგატივში).

ასევე, უკლასნიშნო გარდამავალი ზმნები:

თრაქტორ-ჟო პრდჟ ოხუ „ტრაქტორი (ერგ., სახ-ში *თრაქტორი*) მინდორს ხნავს“;

ბჟო-ჟო შურა მოლუ „ბავშვი (ერგ., სახ-ში *ბჟო*) რძეს სვამს“;

ასა ლათთა ეხქირა „მე (ერგ., სახ. *სჟო/სო*) მიწა დავბარე“;

კლასნიშნიანი გარდამავალი ზმნები (კლასის ნიშნით გამოხატულია რეალური ობიექტი):

ნანა-ს ბჟო დ-ჟეუ „დედას (ერგ., სახ-ში *ნანა*) ბავშვი მიჰყავს“;

კანთ-ა სინთარნა ხი დ-ოთთი „ბიჭმა (ერგ., სახ-ში *კანთ*) ნერგს წყალი დაუსხა“;

დნ-ს გოჟო დ-იგი „მამამ (ერგ., სახ. *დნ*) ცხენი წაიყვანა“;

ცჟო ქჟგაშ დ-ილი „იმან (ერგ., სახ. *იზნ*) ხელეებს იბანს“...

შდრ., აგრეთვე:

ნანა-ს კანთანა შურ დ-ელი „დედამ ბიჭს რძე მისცა“

ნანა-ს კანთანა სოჟლათ დ-ელი//სოჟლათ დ-ი „დედამ ბიჭს საჩუქარი მისცა//საჩუქარი გაუკეთა“...

მაგალითების გამრავლება შეიძლება. ამ მხრივ ჩვენურიდან განსხვავებული ვითარება არა გვაქვს ინგუშურსა და ბაცბურში.

და ტ ი უ რ ი კ ო ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა

როგორც ზემოთ ითქვა, დატიური კონსტრუქციის ზმნები (გრძნობა-აქტის ზმნები), როგორც სხვა ენებში, ნახურშიც მცირერიცხოვანია. გრძნობა-აქტის ზმნებთან სუბიექტი ნახურ ენებში, როგორც, მაგალითად, ქართულში, მიცემით ბრუნვაში დგას, კონსტრუქციას სახელიც სუბიექტის ბრუნვის სახელს უკავშირდება. დატიური კონსტრუქცია, ერგატიული კონსტრუქციის მსგავსად, სამი წევრისაგან შედგება: პრედიკატი, სუბიექტი მიცემით ბრუნვაში და რეალური ობიექტი სახელობით ბრუნვაში. სუბიექტი,

რომელიც დატიურ კონსტრუქციაში მიცემითში ღვას, სემანტიკურად არც წარმოადგენს მოქმედს, აქ თითქოს ე. წ. რეალური ობიექტია მოქმედი. დატიური კონსტრუქციის ზმნები, მაგალითად, ქართულში გარდაუვალია, გარდაუვალია ასეთი ზმნები რიგ დალესტურ ენაშიც. გარდაუვალი ჩანს დატიური კონსტრუქციის ზმნები ნახურ ენებშიც, თუმცა ფორმოზრივად (და სემანტიკურადაც) ისინი სხვა ზმნათაგან არ განირჩევიან.

მიცემითსუბიექტიანი, მაგალითად, ზმნები ჩენურში ორათეულს არ აღემატება [იაკოვლევი 1940 : 63]. ამ ზმნათა ნაწილი პოლისემანტიკურია და სუბიექტს მართავს არამართო მიცემითში, არამედ სახელობითსა და ერგატივშიც [იაკოვლევი 1940 :244]. მიცემითსუბიექტიანი ზმნებია, მაგალითად (ჩენურიდან):

სუნა გირა ქინო „მე (მიც., სახ. სო) ვნახე კინო“;

სთუდენტაშნა ღიქა ხა' ა ხალყან ხდელხარშ „სტუდენტებმა (აქ: მიც., სახ. სთუდენტ) კარგად იციან ხალხური ცეკვები“;

თხუნა ნაყუსთიფ ყამელ ხე ხარა „ჩვენ (მიც., სახ. თხო//თხუ) ამხანაგების საუბარი გვესმოდა“...

კლასნიშნიანი დატიურკონსტრუქციანი ზმნები:

ღუნა გახდეთ დ-ღეშა ლა' ა „მამას (მიც., სახ. ღა) გახეთის წაკითხვა უნდა“;

სუნა ი დო დ-ეჟა „მე (მიც., სახ. სო//სუ) იმ გოგოს ვიცნობ“;

ჰადუნარხუორუნა ბურაშ დ-ეჟა ღუვა ხან დუ „მასწავლებელი (მიც., სახ. ჰადუნარხუ) ბავშვებს (რაც) იცნობს, ღიდი ხანია“...

დატიურკონსტრუქციანია:

გან „ხედვა“ (ხედვს), ხაზა „სმენა“ (ესმის), ხა' ა „ცოდნა“ (იცის), ლა' ა „ნდობა“ (უნდა), მჟოთთა „გონება“ (პგონია), მაგა შექლება“ (შეუძლია)...

ღ-ოგზა „ცნობა“ (იცნობს), დ-ღეზა „ნდობა“ (უნდა), სიყვარული „ყვარება“ (ყყვარს), დ-იც-ღ-ალა „ღავიწყება“ (ავიწყდება)...

ნათქვამიდან გადახრები გვაქვს ბაცბურში, როცა, მაგალითად, „ხედვა“ (ხედავს) ზმნასთან სუბიექტი შეიძლება იღვეს ერგატივში. შდრ., მიტო-ს (ერგ.) ჰო გუ „მიტო შენ გხედავს“ (ზედმ. მიტო-მ შენ (სახ.) გხედავს“. ასეთი შემთხვევები, სავარაუდოდ, მეორეულია.

მაშასადამე, ნახურ ფუძეენაში იყო სულ სამი კონსტრუქცია: ნომინატიური, ერგატიული, ლატიური.

2. ატრიბუტული და პრედიკატული სინტაგმები და მათი წევრთა წყობის საკითხები;
სინტაქსური კონსტრუქციები ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენებში

I. ატრიბუტული სინტაგმა და მისი წევრთა წყობის საკითხები

1. **სინტაქსის საგანი და მიზანი.** ენაში, როგორც ღინამიკურ და პირობით ნიშანთა სისტემაში, შესიტყვება (წინადადება) ყველაზე მაღალი იერარქიული საფეხურია, რომლითაც ხდება მეტყველების რეალიზაცია. ამდენად, შესიტყვება მეტყველების ისეთი თვითკმარი ერთეულია, რომელიც ფონემისა და სიტყვის მსგავსად არ არის დაკავშირებული უფრო მაღალ ენობრივ დონესთან. მართალია, წინადადება და შესიტყვება ერთმანეთისაგან მკაფიოდ განსხვავდებიან, პრედიკატულ სინტაგმაში მათი თანხვედნაც ფაქტია. როგორც ე. ბენვენისტი წერს: «Вне предикации предложения не существует» [ბენვენისტი 1974 : 139]. რამდენადაც წინადადება ზმნა-შემასმენლის გარეშე არ არსებობს¹, ამდენად ატრიბუტული სინტაგმა წინადადებას ვერ გაუთანაბრდება. მიუხედავად ამისა, წინადადება შესიტყვებათა ერთობლიობაა, ორგანიზებული მთლიანობაა, რომელიც დამთავრებულ აზრს გამოხატავს. ამდენად სინტაქსს განმარტავენ, როგორც მოძღვრებას შესიტყვებათა შესახებ [ფორტუნატოვი 1905; ჩიქობავა 1968 : 113]. ვფიქრობთ, ამგვარი კვალიფიკაცია სრულად ვერ ასახავს სინტაქსის შესასწავლი საგნის ნამდვილ არსს, ვინაიდან ყურადღების გარეშე რჩება როგორც შესიტყვებათა შორის არსებული დამოკიდებულება, ისე წინადადების იმ ირელევანტურ წევრთა (უბრალო დამატება, გარემოება...) კავშირი სინტაგმებთან, რომლებიც ფაქტობრივ სინტაქსში შეისწავლებიან.

სინტაქსურ იერარქიულ დონეზე ხდება რთული სტრუქტურული ერთეულების წარმოქმნა: **“უშუალო შემადგენელთა ტერმინებში წინადადება შეიძლება განისაზღვროს როგორც გამონათქვამის ნაწილი, რომელიც ამავე გამონათქვამის სხვა ნაწილის უშუალო შემადგენელს არ წარმოადგენს”** [გამყრელიძე და სხვ. 2008 : 246].

სინტაქსის დონეზე გამოიყოფა სტრუქტურულ-სემანტიკური ერთეულები, რომლებსაც ტრადიციულად წინადადების წევრებს უწოდებენ. წინადადების მთავარ წევრებად გამოიყოფა პირმომართი (კლასმომართი) აქტანტები – **შემასმენელი, ქვემდებარე და დამატება**, ხოლო შემასმენელს (პრედიკატს) მოეპოვება თავი-

¹ დილოურ და ადილოურ ენებში ადასტურებენ ე. წ. სახელურ შემასმენელსაც [იხ. იმნაიშვილი 1963 : 253; როგავა 1987 : 15].

სი ატრიბუტი – **გარემოება**, ქვემდებარესა და დამატებას კი – **განსაზღვრება**. წინადადების ეს კომპონენტები სინტაქსურად რელევანტურნი არიან, მაგრამ წინადადების სტრუქტურაში გვხვდება ისეთი კომპონენტებიც (კავშირი, მიმართვა, ჩართული...), რომლებიც რელევანტური წევრებისაგან სტრუქტურულად იზოლირებული არიან, ამიტომ მათ პირობითად შეიძლება სინტაქსურად ირელევანტური წევრები ვუწოდოთ.

წინადადებაში შეიძლება ძირითადად გამოიყოს ორი ტიპი: ა) **ატრიბუტული სინტაგმა** (შესიტყვება), რომლის უშუალო შემადგენლებს წარმოადგენენ სახელები: მსაზღვრელი (ატრიბუტი) და საზღვრული (სუბსტანტივი); ბ) **პრელიკატული სინტაგმა** (შესიტყვება), რომლის ნაწილებსაც ზმნა და მასთან სინტაქსურად დაკავშირებული სახელი და ზმნისართი ქმნიან.

ატრიბუტული სინტაგმისათვის არსებითია შესიტყვების (ფრაზემის) წევრთა ურთიერთდამოკიდებულების სახეები და მათი სტრუქტურული მოდელები, რომლებიც დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ზუნდურ-ანდიურ-დილოურ ენათა ერთიანობის ხანისათვის. საკვლევი ენები აგლუტინაციური ტიპისაა² და, აქედან გამომდინარე, წინა პლანზე უნდა იყოს წამოწეული შესიტყვების კომონენტთა ფორმობრივი კავშირის პოსტულირება, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია სინტაგმის უშუალო შემადგენელთა ადგილმდებარეობა, ინტონაცია და სემანტიკა, რომლებიც ფორმობრივი კავშირის ფუნქციამონაცვლე ოდენობებია.

ატრიბუტული სინტაგმისთვის ისევე, როგორც მთლიანი წინადადებისათვის, არსებობს ცენტრალური კომპონენტი (ბირთვი) და მარგინალური კომპონენტი (ატრიბუტი). კერძოდ, ზუნ. მეჭერ წურაბ ჭაზულან **ჭურჩინ ხერ** ბაქუნ ბუგინ „მთის დამფარველი თოვლის ქვეშიდან **მწვანე ბალახი** ამოსულა“. ადა ბეჟ. მალლა-რასადანის **იცილო იდო** დუღონა გედ (კაპ.) „მოლა ნასრედინის **მოსუცი დელა** მომკვდარა“.

ზემომოყვანილ წინადადებათა სინტაგმებში ზუნდ. **ჭურჩინ ხერ** („მწვანე ბალახი“), ბეჟ. **იცილო იდო** („მოსუცი დელა“) **ხერ** („ბალახი“) და **იდო** („დელა“) შესიტყვების ბირთვს ქმნიან, ხოლო **ჭურჩინ** („მწვანე“) და **იცილო** („მოსუცი“) მათი ატრიბუტებია, თუმცა ეს გრამატიკულად არ არის გამონატული.

2. **ატრიბუტული სინტაგმის წევრთა სინტაქსური ურთიერთობა**. სახელური შესიტყვების სინტაქსური სტრუქტურა დამოკიდებულია მის კომპონენტთა რაოდენობასა და მათი ერთმანეთთან კავშირის სახეობაზე. აქედან გამომდინარე, ატრიბუტული სინტაგმის წევრები, როგორც სინტაქსური დონის ერთეულები, ერთმა-

² ზოგჯერ თავს იჩენს ფლექსიური ტიპის ელემენტებიც: **II** და **IV** კლასის ექსონენტად, **-ს** წარმოადგენს ნათესაობით და დასორებით ბრუნვათა ნიშანს და ა. შ. [იხ. როგავა 1987 : 9-15].

ნეთთან ამყარებენ გარკვეულ კანონზომიერ კავშირს, რის გარეშეც შესიტყვება დაკარგავდა მთლიანობას და სიტყვათა უაზრო მიმდევრობად იქცეოდა; იგი მოკლებული იქნებოდა მის ძირითად საზრისს – კომუნიკაციის ფუნქციას. ამიტომ არის შესიტყვება ისევე, როგორც მთლიანი წინადადება, ორგანიზებული მთლიანობა. რაც შეეხება წინადადების ერთ-ერთ კომპონენტს – ატრიბუტულ სინტაგმას, მის თავისებურებას, წყობასთან ერთად სტრუქტურული ლაბილურობაც ქმნის. კერძოდ, მსაზღვრელი, საზღვრული საგან – სუბსტანტივისაგან განსხვავებით, დისკრეტულობას არის მოკლებული, ამიტომ იგი შეიძლება (განსაკუთრებით პრეპოზიციური წყობის დროს) გრამატიკულად არამარკირებული ან ნაწილობრივ მარკირებული იყოს.

სინტაგმა, შემადგენელ წევრთა რაოდენობის მიხედვით, ორ ჯგუფად იყოფა: ა) **ორწევრიანი სახელური შესიტყვება**: ანდ. ჰემუ-ჟ იმა „მისი მამა“, ჩონჩი ჰეკა „კარგი კაცი“; დიდ. ბ-იგუ ტეჟ “კარგი წიგნი”, დები ქიდ “შენი ქალიშვილი”...; ბ) **მრავალწევრიანი სახელური შესიტყვება**: ანდ. ვუყ’ობ წჷ დივ ვ-ოცჷ-ვ ჰომოლოლი ი „მოსული სტუმარი ჩემი ძმის ამხანაგი არის“; დიდ. ლ’ე, ბიკან ნესი ხანეს მეჭ ბეჭჷ-ლ’ინ „მოდი, წავიდეთ იმ მეფის თავის მოსაჭრელად“ და ა. შ.

საფიქრებელია, რომ ხუნძურ-ანდიურ-დილოური ერთიანობის ხანისათვის დამახასიათებელი იყო როგორც ორწევრიანი სახელური შესიტყვება, ისე მრავალწევრიანი სახელური შესიტყვებაც. მეორე სახის შესატყვისობა, როგორც ჩანს, ნაკლებად უნდა ყოფილიყო გავრცელებული.

ზოგადად, ატრიბუტულ სინტაგმაში მსაზღვრელ-საზღვრულის კავშირის სინტაქსური სახეებია: **შეთანხმება, მართვა და მირთვა**.

2.1. **მართვა და შეთანხმება**. მსაზღვრელი სახელი (ზედსართავი და რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელი, მიმღობა და ატრიბუტივად გამოყენებული არსებითი სახელი), როგორც წესი, წინ უძღვის საზღვრულს. შებრუნებული წყობისას ნათესაობით ბრუნვაში მდგარი მსაზღვრელი (ბეჟ. ავო - NOM. SG. ფათიშაჰლის-GEN. SG. „ცოლი მეფისა“ ტიპისა) მხოლოდ სახელობითის ფორმით იმართვის [ლომთაძე 1996 : 214].

პრეპოზიციური წყობის დროს, რომელიც გაბატონებული უნდა ყოფილიყო საკვლევ ენათა სინამდვილეში, შეთანხმებას ადგილი უნდა ჰქონოდა კლასსა და რიცხვში. მასთან, საზღვრული იყო მთავარი (ბირთვი), ხოლო მსაზღვრელი - მასზე დამოკიდებული.

სქემა 1. შეთანხმება კლასსა და რიცხვში

კლასი	მხოლოდითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი	ლექსიკური მნიშვნელობა
I	ჟ-აწადა-ჟ ჟ-ას	რ-აწადა-ალ ჟ-ას-ალ	„სუფთა ვაჟიშვილი“
II	დ-აწადა-დ დ-ას	რ-აწადა-ალ დ-ას-ალ	„სუფთა ქალიშვილი“
III	ბ-აწადა-ბ განჭ	რ-აწადა-ალ განჭ-ალ	„სუფთა ქვა“

როგორც ზემომოყვანილი სქემიდანაც ნათლად ჩანს, ციტირებულ შესიტყვებაში სუბორდინაციული შეთანხმება გვაქვს – საზღვრული (ქვემდებარე) მსაზღვრელს (განსაზღვრებას) ითანხმებს კლასსა და რიცხვში. როგორც ჩანს, კლასში შეთანხმება ისტორიულადაც ხდებოდა კლასიფიკატორების საშუალებით, ხოლო რიცხვში შეთანხმება კი – კლასის ექსპონენტებითა და მრავლობითობის სპეციალური ნიშნებით, ე. ი. კლასიფიკატორი ბიფუნქციური ხასიათისა იყო, რაც საკვლევ ენათა ერთობის დროინდელი მოვლენა ჩანს.

ამ შემთხვევაში კლასში შეთანხმება ასე ხდებოდა: დ-აწადა-დ დ-ას „სუფთა ქალიშვილი“ – რ-აწადა-ალ დ-ას-ალ „სუფთა ქალიშვილები“.

პირველ სინტაგმაში ბირთვის დ-ას („ქალიშვილი“) ქმნის და მსაზღვრელში თავის კლასიფიკატორსაც აჩენს, რომელსაც გამოხატულების პლანში სათანადო მარკერი მოეპოვება (შდრ. დ-ას „ქალიშვილი“). რაც შეეხება მრავლობით ფორმას, მასში შეთანხმება ორი გრამატიკული კატეგორიის მიხედვით არის მარკირებული: ა) კლას-კატეგორიის მიხედვით ({რ,დ-}) და ბ) რიცხვის მიხედვით ({-ალ}). პირველ (ა) შემთხვევაში ზემოგანხილული შესიტყვების ანალოგიური ვითარება გვაქვს, რადგან შეთანხმება კლასში ხდება, ხოლო მეორე (ბ) შემთხვევაში მრავლობითი რიცხვის ფორმა (დ-ას-ალ „ქალიშვილი“), როგორც შესიტყვების ბირთვი, თავის საკუთარ ნიშანს ({-ალ}) აჩენს მსაზღვრელში. ღირსაა ცნობი ფაქტი ის არის, რომ ეს უკანასკნელი ბრუნებისას უცვლელია და ერთგვარად სამართავი სუფიქსის ილუზიას ქმნის. გარდა ამისა, ისტორიულად კლასიფიკატორი შეიძლება ატრიბუტულ სახელს მრავლობითი ნიშნის შემდეგაც დართოდა, რომელსაც, თავის მხრივ, დამატებით უჩნდებოდა საზღვრულთან შესათანხმებელი სუფიქსი, ე. ი. ხდებოდა მრავლობითი რიცხვის ორმაგი მარკირება [იხ. ლომთაძე 1956 : 389], მაგალითად,


საკ. ბეჟ.: წიკკარ-აბ ხონ^ნხო „უზარმაზარი ხე“ – მრ. რ. წიკკარ-აბ-ლ^ა ხონ^ნხ-ბო

(მდრ. რ-უყყო დაკო “დიდი გული”, ბ-უყ-არ დაკ-ტა, დიდი გულები“...).

კლასსა და რიცხვში შეთანხმება დამახასიათებელია როგორც სახელობით ბრუნვაში მდგარი ატრიბუტული სინტაგმისათვის, ისე ნათესაობითში მდგარი საზღვრულისთვისაც: ანდ. იმუ-ვ ვ-ოცაი „მამის ძმა“, იმუ-დ დ-ოცაი „მამის და“ და ა. შ.


აღსანიშნავია, რომ სინქრონიულად მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებისას ერგატივსა და ე. წ. ირიბ ბრუნვებში მსაზღვრელი ორდინარულ ბრუნვაში არ იცვლება (იხ. სქემა 1), თუმცა იცვლება კლასის მიხედვით ზოგ ანდიურ ენას (ანდ., კარ....) და ხუნძური ენის ზოგ (მაგ., აწ.) დიალექტში. უბრუნველი მსაზღვრელი ნიშანდობლივია არა მარტო საკვლევი ენებისთვის, არამედ გავრცელებულია სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებშიც [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 194]. კლასსა და რიცხვში შეთანხმების პირობებში ბრუნვაში შეთანხმება არ გვაქვს, მაგრამ დასტურდება მართვა. მიუხედავად ამისა, სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ დიდიურ ენებში მსაზღვრელის ფორმა მინიმალურად მაინც განსხვავდება სახელობითის ფორმისაგან, რაც სავსებით სამართლიანად მიჩნეულია ძველი ვითარების გადმონათობად [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 194].

ცნობილია, რომ ფრაზემის (შესიტყვების) წევრთა ურთიერთკავშირი იერარქიულია, რადგანაც მათგან ერთი მმართველი (გაბატონებული) კომპონენტია, ხოლო მეორე (resp. სხვები) – მართული (დაქვემდებარებული). ამგვარი დამოკიდებულება შეიძლება სტემების სახით ასე გამოიხატოს:



პირველი შესიტყვების ბირთვი არის იდიო (“დედა”), რომელიც სინტაქსურად უკავშირდება როგორც ერთ პოტენციურ მსაზღვრელს (იცილო “მონუცი”), ისე მეორე პოტენციურ მსაზღვრელსაც (მაღლა რასადანის “მოლა ნასრედინის”). ამის გათვალისწინებით, სამ- და მეტკომპონენტია სინტაგმა კვანძის სახითაც

შეიძლება გამოიხატოს, რომელშიც იქნება როგორც შეთანხმება ბრუნვაში (იცილო იო “მოხუცი ღელა”), ისე მართვა (მაღლა რასადანის იო “მოლა ნასრედინის ღელა”):³



რაც შეეხება ჰუნზიბურ წინადადებას, მასში **სგდ სუკულ** (“ერთმა კაცი”) დამოუკიდებელი ორკომპონენტური შესიტყვებაა, შეთანხმების სახით გამოხატული (შდრ. სახ. **ჰანს სუკუ** “ერთი კაცი”), ხოლო **ავე** (“ცოლი”) განკერძოებით ღვას და მას რეალური კავშირი მართვის სახით პრედიკატთან ექნება (**ავე ზუყუნ** ლო დაყან ზედმიწ. “ქალი იყო რა, მოუყვანია”).

სიმპტომატურია, რომ ხუნძ. **ცო ჩი** („ერთი კაცი“) ატრიბუტული კომპლექსი გამოხატულების პლანში მარკირებული არ არის კლასისა და რიცხვის მიხედვით, რადგანაც არანაირი გრამატიკული ნიშანი არ დაერთვის. მაშასადამე, არსებობს ატრიბუტული სინტაგმა ოდენ სემანტიკურ ღონეზე. ბრუნვის მიხედვით, იგი სახელობითში (აბსოლუტივში) მდგარად შეიძლება მივიჩნიოთ იმდენად, რამდენადაც სახელობითი ბრუნვის ფორმა არამარკირებულია, უკეთ: ნულოვანი მორფემით არის წარმოდგენილი.

ატრიბუტული სინტაგმა შეიძლება უფრო მეტადაც იყოს გავრცობილი და შეიცავდეს რამდენიმე კომპონენტს, რომელთა შორის იერარქიული კავშირი მყარდება, კერძოდ: საკ. ბეჟ. ქერა **წუდა ზირუს დიგუ ჯოდ** ზეჟნო (ხეობა – IN წითელი – ART მელა – OBL-GEN დიდი – ART სორო – N ყოფნა – V) „ხეობაში წითელი მელიის დიდი სორო ყოფილა“.

ამ წინადადებაში ცენტრალურ კომპონენტს წარმოადგენს **ჯოდ** (“სორო”), რომელთანაც სავსებით შესაძლებელია ცალ-ცალკე დავაკავშიროთ შესიტყვების თითოეული კომპონენტი (გარდა **წოდოლო** “წითელი” წევრისა), რომლებიც მთლიან სინტაგმაში დამოკიდებულებათა ჯაჭვს ქმნიან: ა) **ზირუს ჯოდ** „მელიის სო-

³ შეთანხმებაც მართვის ერთ-ერთ სახეობად მიიჩნევა [გამყრელიძე და სხვ. 2003 : 250]. თავის მხრივ, შეთანხმებაში, ენათა სპეციფიკის გათვალისწინებით, გამოიყოფა: ა) ცალმხრივ მარკირებული შეთანხმება და ბ) ორმხრივ მარკირებული შეთანხმება [უთურგაიძე 2009 : 151-152].

რო“. რაც შეეხება **წულა** („წითელი“) ატრიბუტს, იგი ოდენ „მელიის“ კუთვნილებას შეადგენს. ამის გათვალისწინებით, შესაძლებელია ფრაზა **წულა ზირუს** („შავი მელიის“) მთლიანად ზედსართავი სახელის ეკვივალენტურ ოდენობად – ადიექტიურ განსაზღვრებადც გავიაზროთ **ჯოდ** (“სორო”) ბირთვ-საზღვრულის მიმართ [ბოკარევი 1949 : 235; გამყრელიძე და სხვ. 2003 : 376; არლოტელი 2009 : 160-161].⁴

არაიშვიათად ზოგი ტიპის ატრიბუტული სინტაგმის კომპონენტებად ერთსა და იმავე დროს წარმოდგენილია როგორც სუბსტანტიური მსაზღვრელი ნათესაობითი ბრუნვის ფორმით, ისე ადიექტიური მსაზღვრელიც, მაგ.:

ხუნძ. ვენასულ (ნათ.) ჰიტინ-აჟ ჟ-ას (სახ.) ჟ-უგო ჰანი-ჟ „მწყემსის პატარა ვაჟი არის აჟ“. ამ მარტივ წინადადებაში **ჟ-ას** („ვაჟი“) არის შესიტყვების ცენტრი, რომელიც, ერთი მხრივ, კლასში (I კლ.) ითანხმებს მსაზღვრელს (**ჰიტინ-აჟ** „პატარა“), ხოლო, მეორე მხრივ, ბრუნვაში (ნათ.) მართავს სუბსტანტიურ მსაზღვრელს – ვენას-ულ ჟ-ას „მწყემსის ვაჟი“ – ერგ. **ვენას-ულ ჟ-ას-ასა**, მიც. **ვენას-ულ ჟ-ასასა-ე...**

როგორც ირკვევა, ნათესაობითში მდგარი სუბსტანტიური მსაზღვრელი, რომელიც საზღვრულთან შეხამებით სუბსტანტიურ შესიტყვებას უნდა ქმნიდეს, მწყობრ სისტემას მოკლებულია [შდრ. ქართვ. ენ., კიზირია 1982 : 49-59].

სპეციალურ ლიტერატურაში შემჩნეულია, რომ "В гунзибском языке (диалекте – б. а.) существует довольно редкое для кавказских языков явление: согласование определения с определяемым в падеже... Определение стоит в одной из двух возможных форм: в форме именительного или косвенного падежа" [ბოკარევი 1959 : 64].

ანალოგიური დებულება უფრო ვრცლად წარმოადგინა ე. ლომთაძემ: "Как правило, определяющее слово, данное в форме родительного падежа и причастие настоящего времени, находясь перед определяемым, стоящим в эргативе или в косвенных падежах, лишается собственных формантов и наращивает суффиксы -д, -до в гунзибском, -ლა – в капучинском" [ლომთაძე 1956 : 410].

⁴ მიახლოებით ანალოგიური ვითარება იქნება შემდეგ შესიტყვებაში: ჰუნზ. ქად ბ-უჟოჩოს ჰალტი „ხელით (INSTR) გასაკეთებელი (PT) საქმე (II/N)“. **ქად ბ-უჟოჩოს** “ხელით გასაკეთებელი” შეიძლება მთლიანობაში ბირთვის (**ჰალტი** “საქმე”) მიმართ განსაზღვრებად ჩაითვალოს.

ის, რაც ე. ბოკარევს ირიბი ბრუნვა ჰგონია, სინამდვილეში წარმოადგენს ერგატივისა და „ირიბ“ ბრუნვათა ფუძეს, რომელსაც ბრუნვის ნიშნები (resp. ოდინდელი კლასიფიკატორები) აღარ შეერჩენიათ. მსაზღვრელს **ნათესაობითის ნიშანი** ოდენ სახელობით ბრუნვაში (სახ. სუკუ-ს ვოვო „კაცის სახლი“...) მოეპოვება, სხვა ბრუნვებში კი მათ დაერთვით მსაზღვრელი სახელის ფორმანტი,⁵ რომელსაც დიაქრონიულად ერგატივის (resp. პალეოერგატივის) ნიშნის ფუნქცია უნდა ჰქონოდა.

ე. ლომთაძის მახვილგონივრული დაკვირვებით, მსაზღვრელი სახელის ფორმანტები (საკ. ბეჟ.: **-ლ/-ლა**, ჰუნზ. **-დ/-ლო**) გენეზისურად ერგატივის სათანადო ნიშნებს უკავშირდება. როგორც ჩანს, უკლასიფიკატორი ერგატივის ფორმა, რეინტერპრეტაციის შედეგად სხვა ბრუნვათა მსაზღვრელად განზოგადებულია [ლომთაძე 1996 : 224-228].

ატრიბუტული სინტაგმა მორფოსინტაქსური მოვლენაა, რადგან მჭიდროდ არის დაკავშირებული ბრუნების სისტემასთან. ირკვევა, რომ ნათესაობითში მდგარი მსაზღვრელი, ქართულისა და ზოგი სხვა მონათესავე ენისაგან განსხვავებით,⁶ უფრო შეთანხმებას ავლენს, ვინემ მართვას. ეს მტკიცდება იმით, რომ სუბსტანტიური მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსურ ურთიერთობაში უმთავრესია არა მარტო მათი სტრუქტურული სიმჭიდროვე, არამედ ფუნქციურ-სემანტიკურიც. რამდენადაც საზღვრულმა – აქტანტ-სუბსტანტივმა მორფოსინტაქსური წესებით ისე უნდა შეითანხმოს, მიიჯაჭვოს მსაზღვრელ-სუბსტანტივი, რომ კავშირი მათ შორის მყარი იყოს, ამისთვის კი გრამატიკული გამოსატულების აბსოლუტურობა საჭირო არ არის. შესაძლოა, სახელურ შესიტყვებაში ამიტომაც ხდება სინტაქსური კავშირის მოღუწება, რაც უდაოდ რეალიზებული ჩანს საკვლევ ენებში. კერძოდ, ანდიურ ენაში არა მარტო ბრუნვაში, არამედ მსაზღვრელის სინტაქსური ძალის მოღუწების ტენდენცია კლასსა და რიცხვში შეთანხმებისასაც თვალშისაცემია [ცერცვაძე 1965 : 294].

დიდოურ ენასა და ბეჟიტური ენის ჰუნზიბურ დიალექტში ატრიბუტული სინტაგმის უშუალო შემად-

⁵ ნახურ ენებში სახელობითის მსაზღვრელი გაირჩევა სხვა ბრუნვათა მსაზღვრელისაგან სპეციალური ფორმანტით: ბაცბ. სახ. არჭი ქუდ “შავი ქუდი” – ერგ. არჭი-ჩ ქუდე..... [ჩიქოზაძე 1979 : 192].

⁶ ქართულშიც ეს საკითხი სადავოა, განსაკუთრებით ეს ითქმის პრეპოზიციურ წყობაზე, რომელშიც „...მსაზღვრელისა და საზღვრულის დამაკავშირებელი ბრუნვის ნიშნის როლს ასრულებს მსაზღვრელის პოზიცია“. ანდა: „ჩვენი თვალსაზრისით, მსაზღვრელი შეუძლებელია მართული იყოს საზღვრულის მიერ“. დასკვნა ეხება მეგრ. მანძგერემ ბერე (“მეზობლის ბავშვი”) ტიპის შესიტყვებებს [უთურგაძე 2009 : 167, 163; შდრ. კიზირია 1982 : 51].

გენელთა შორის რელევანტური ოპოზიცია მყარდება, ერთი მხრივ, სახელობითში მდგარი მსაზღვრელისა და, მეორე მხრივ, დანარჩენ ბრუნვებში წარმოდგენილი მსაზღვრელის ფორმებს შორის. საილუსტრაციო მაგალითები:

მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების პარადიგმები

ა) დილოური ენა

ბრუნვები	ატრიბუტული სინტაგმა	ლექსიკური მნიშვნელობა
სახელობითი	ხანა-ს ქიდ	„მეფის გოგო“
ერგატივი	ხან-ზო ქიდბ-ჰ	„მეფის გოგომ“
მიცემითი	ხან-ზო ქიდბე-რ	„მეფის გოგოს“
ნათესაობითი	ხან-ზო ქიდბე-ს	„მეფის გოგოსი“
ინსტრუმენტალისი	_____	_____

ბ) ჰუნზიბური დილექტი

ბრუნვები	ატრიბუტული სინტაგმა	ლექსიკური მნიშვნელობა
სახელობითი	რ-უჭდწო-ს ჭიტ	„მჭრელი დანა“
ერგატივი	რ-უჭდწოდ-Ø ჭიტო-ლ	„მჭრელმა დანამ“
მიცემითი	რ-უჭდწოდ-Ø ჭიტო-Ø	„მჭრელ დანას“
ნათესაობითი	რ-უჭდწოდ-Ø ჭიტო-ს	„მჭრელი დანის“
ინსტრუმენტალისი	რ-უჭდწოდ-Ø ჭიტო-დ	„მჭრელი დანით“

გარდა სუბსტანტივისა და აწმყო დროის მიმდევობისა, ანალოგიურად იბრუნვიან მსაზღვრელად გამოყენებული ჩვენებითი ნაცვალსახელებისა და განსაზღვრული რიცხვითი სახელების შემცველი ატრიბუტული

შესიტყვებები.

ზემომოყვანილ პარადიგმების ერგატივისა და ირიბ ბრუნვათა განსაზღვრების ფორმებში წარმოდგენილია ნულოვანი ალომორფი, რადგან შეთანხმებაში აუცილებელი გარღვევალით იგულისხმებოდა მსაზღვრელის – თვისებისა და საზღვრულის – ცნების ლექსიკურ მნიშვნელობებს შორის სინტაქსური კავშირი სრულყოფილად გამოხატვა. მართალია, დღესდღეობით, როგორც თ. უთურაგიძე წერს: „... ნულოვანი ალომორფი სინტაქსური ძალით მატერიალური ნიშნის ტოლფასია“ [უთურაგიძე 2009 : 148], მაგრამ ისტორიულად ნულოვანი ალომორფის არსებობა ნაკლებ სავარაუდოებელია.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ: **სუბსტანტივ-კომპონენტებიანი ატრიბუტული სინტაგმა საკვლევ ენებში ამჟამად არასრული შეთანხმების სახით წარმოგვიდგება, რაც ისტორიულად არსებული სრულად მარკირებული შეთანხმების ტრანსფორმაციის შედეგია.** ნათესაობითში მდგარი მსაზღვრელი გამოხატულების პლანში ნულოვანი ან ნაწილობრივად მარკირებული სახით არის რეალიზებული, რაც შეპირობებულია არაერთდროული და არაერთგვაროვანი მორფოსინტაქსური ცვლილებებით [შლრ. ლომთაძე 2003 : 56-57].

ისმის კითხვა: რა სახის სინტაქსური კავშირი არსებობდა ატრიბუტივ-მსაზღვრელიანი სახელური შესიტყვების უშუალო შემადგენლებს შორის?

სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, სინქრონიულ დონეზე იბერიულ-კავკასიურ ენებში მსაზღვრელები (ზედსართავი სახელი, ნამყო დროის მიმღეობა, ნაცვალსახელი...) პრეპოზიციური წყობის ატრიბუტულ სინტაგმაში არ იცვლებიან [როზენი 1844 : 6; ჩიქობავა 2008 : 85-88; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 193-194; ლომთაძე 1956 : 409; 1996 : 214-216; ბოკარევი 1959 : 42; 92-93; მაღიევა 1965 : 92-95; შლრ. ვან დენ ბერგი 1995 : 57; ისაყოვი, ხალილოვი 2001 : 265-266; მაჰომელოვა 2012 : 111...].

ერთი რიგის ზედსართავი სახელები და ნამყოს მიმღეობის ფორმები ჰინუხურ ენასა და საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტში მართლაც განიცდიან ზემოწარმოდგენილი სუბსტანტივმსაზღვრელიანი სინტაგმის მსგავს ცვლილებას – სახელობითში მდგარი ფორმის ბოლოკიდური ხმოვანი ერგატივისა და ირიბ ბრუნვებში იცვლება, მაგ.: ჰინ. სახ. დეგუჲეჲ ქედ „პატარა გოგო“ – ერგ. დეგუჲეჲ-ა ქელი-ფ, სახ. ნექუჲე-ს ცი^შ „მშიერი ხარი“ – ერგ. ნექუჲე-ზა ცი^შში^შ-ფ...; ბეჟ. სახ. Ø-უყო რჟრ “დიდი ბიჭი” – ერგ. Ø-უყ-ა ოყ-დი, სახ. წუდლო ე^შ “წითელი ვაშლი” – წუდლო-ა ე^შ-ა, სახ. Ø-უტიდო რჟრ “დაწოლილი ვაჟი” – ერგ. Ø-უტიდა რჟ-დი და მისთ.

ამასთანავე, დასტურდება უცვლელი მსაზღვრელიც, რომელიც გავრცელებულია ხუნძურ-ანდიურ

ენებშიც. საილუსტრაციო მაგალითები:

ზუნბური ენა

ანდიური ენა

სახ.	კუდი-აჷ ვას „უფროსი ვაჟი“	ჩონჩი კოთუ „კარგი ცხენი“
ერგ.	კუდი-აჷ ვას-ასა	ჩონჩი კოთუ-დი
მიც.	კუდი-აჷ ვასასა-ე	ჩონჩი კოთუ-ლ'ი
ნათ.	კუდი-აჷ ვასასა-ულ	ჩონჩი კოთუ-დ
აფექტ.	_____	ჩონჩი კოთუ(-)ო

ჰინზუბური ენა

ჰუნზიბური ღიალექტი

სახ.	Ø-იტ ^ი იტ ^{ოს} რეკ ^ჷ ე „მიმავალი კაცი“	დ-იყერუ ქიდ „პატარა გოგომ“
ერგ.	Ø-იტ ^ი იტ ^{ოს} რეკ ^უ -დ	დ-იყერუ ქიდ-ბო-ლ
მიც.	Ø-იტ ^ი იტ ^{ოს} რეკ ^უ -ს	დ-იყერუ ქიდ-ბან-Ø
ნათ.	Ø-იტ ^ი იტ ^{ოს} რეკ ^უ -ზ	დ-იყერუ ქიდ-ბო-ს
ინსტრ.	_____	დ-იყერუ ქიდ-ბო-დ

შენიშნულია, აგრეთვე, რომ ჰუნზიბურ ღიალექტში ფუნქციონირებენ ზედსართავთა გრძელი და მოკლე ფორმები. მოკლე ფორმების გამოყენება ერაგტივისა და ირიბ ბრუნვათა მსაზღვრელი სათვის ორდინარული მოვლენაა [ვან დენ ბერგი 1995 : 57]. გარდა ამისა, ისინი გვხვდება მყარ შესიტყვებებში, კომპოზიციონალურ და შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად [ისაყოვი, ხალილოვი 2001 : 466], მაგ.: ყაყარ ბან „აბზინდა“ (ზედმიწ. „მყარალი ბალახი“), ოყე Ø-იყერ (შდრ. Ø-იყერუ "id".) ლო „ბიჭი პატარა („არის“)“ და მისთ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ერთი სუბსტანტივმსაზღვრელიანი სინტაგმის შემცველი ჰუნზიბური წინადადება:

...ჷან-დ-ლ ჷან-დ-ს მრგობ ბ-ახელ-ოდს (ძალდი – III-OBL-ERG ძალდი – OBL-GEN ტყავი – III-NOM არ დახევს – FUTN) „ძალდი (ზედმიწ. „ძალდმა“) ძალდის ტყავს არ დახევს“.

სუბსტანტიურ მსაზღვრელ-საზღვრულში **ჟანს მრგობ** („ძაღლის ტყავი“) ბირთვი **მრგობ** („ტყავი“) იქნება, ხოლო მსაზღვრელი – **ჟანს** („ძაღლის“), რომელიც ნათესაობითი ბრუნვის ფორმით ეთანხმება საზღვრულს.

რალა წინადადების წინა წევრი **ჟანს**? იგი ერატივში დაისმის, როგორც გარდამავალი ზმნის აგენსი, თუმცა მისი ნიშანი ზმნაში არ აისახება – იგი მხოლოდ გრამატიკული ფორმით (ერგ.) ჩანს პრელიკატთან დაკავშირებული. კლასში ზმნას უთანხმდება **მრგობ** („ტყავი“), როგორც ატრიბუტული სინტაგმის მცირე ბირთვი პრელიკატული სინტაგმის დიდ ბირთვს.

2.2. **ზმნისართული შესიტყვება.** ზმნისართულ შესიტყვებაში წამყვან როლს მეტწილად ზომა-წონა-ოღენობისა და ვითარებითი ზმნისართების სათანადო კომბინირებით მიღებული სინტაგმის მეორე კომპონენტი ასრულებს. ამგვარ შესიტყვებაში, როგორც წესი, წინ ზომა-წონისა და ოღენობის ზმნისართები ღვანან, რომლებიც ვითარებითი ზმნისართების რალაც ნიშნით დეტერმინაციას ახდენენ, მაგ.:

ხუნძ. **წაყ ბერცინგო** „ძალიან ლამაზად“

წაყ ბერცინგო რეტუნა „ძალიან ლამაზად იცვამს“

ჰუნზ. **ცაგი წაყ ლახნი** ცუბურ როჯორ [ლომთ. 2003 : 35, 24] „იქ ძალიან ბევრი არწივია“

ახსო ხენსა „ძალიან ხშირად“ და სხვ.

ზემოწარმოღენილ მაგალითებში ზმნისართები (resp. გარემოებები) შესიტყვებებს, რომელთაგან მომდევნო (ჩვეულებრივ ვითარების ზმნისართი) მართავს წინამავალ (ზომა-ოღენობის) ზმნისართს. ენდოცენტრულ კონსტრუქციაში **წაყ ბერცინგო** („ძალიან ლამაზად“) **ბერცინგო** („ლამაზად“) ბირთვია, ხოლო **წაყ** („ძალიან“) – მსაზღვრელი [იხ. გამყრელიძე და სხვ. 2008 : 258].

2. 3. **გათიშული სახელური შესიტყვება.** ატრიბუტული სინტაგმის კვლევისას აქტუალურია ორი ძირითადი საკითხი: ა) შესიტყვების კომპონენტთა რიგი; ბ) შესიტყვების კომპონენტთა ურთიერთდამოკიდებულება. ბუნებრივია, მათი დაცალკეება მათ შორის ურთიერთობის გაწყვეტას არ ნიშნავს. პირიქით, ხშირად

სინტაქსური კავშირის სპეციფიკა შესიტყვების წევრთა წყობასა და ადგილმდებარეობაზე არის დამოკიდებული. კერძოდ, პოსტპოზიციური და გათიშული საზღვრულ-მსაზღვრელის დროს სინტაქსური კავშირი (შეთანხმება, მართვა) მყარია, ხოლო პრეპოზიციური წყობის (მსაზღვრელ-საზღვრელის) დროს საზღვრელის გავლენის ძალა მსაზღვრელზე შესუსტებულია (მსაზღვრელი ბლოკირებულია) ან მთლიანად მოშლილია [ჩიქობავა 1979 : 191; უთურგაიძე 2009 : 186-188].

ენათა ტიპოლოგია ცხადყოფს, რომ, იბერიულ-კავკასიურ ენათა გარდა, გათიშული სახელური შესიტყვება სხვა ოჯახის ენებშიც დასტურდება, რაც ზოგადლინგვისტურ მოვლენად მიიჩნევა [გიგლემიანი, შენგელია 2009 : 98]. მისი გადამოწმება დამატებით შეიძლება უფრო მეტი ენის ლინგვისტურ მასალაზე. თუ კერიფიკაციის შედეგი დადებითი იქნება, მაშინ მას ენობრივი უნივერსალიის სტატუსი მიენიჭება.

ხუნძურ-ანდიურ-დილოური ენები მხარს უჭერენ გათიშული ატრიბუტული სინტაგმის ენობრივ უნივერსალიად აღიარებას. კერძოდ, ამ ენებში ამჟამადაც დასტურდება და ისტორიულადაც სავარაუდებელია ამ ტიპის სახელური შესიტყვება.

გათიშული (დისტანციური)⁷ ატრიბუტული სინტაგმის უშუალო შემადგენელთა შორის შეიძლება მოექცეს წინადადების რომელიმე წევრი (ზმნა, ზმნისართი...) ან მთლიანი წინადადება, მაგ.: ხუნძ. **ჟაჭარაჟ** ღირ ჰუღულ **ჩი** ჟუგო ზედმიწ. „**მოსული** ჩემი მეგობარი **კაცი** არის“, ჭებედე ინებ ბუკარაბ ცოგი გამიდა ტუჟაპი რაჭანა „შორიასლის მიმავალ გემს (ზედმიწ. „მიმავალ კიდევ გემს“) სროლის ხმა მისწვდა“...; საკ. ბეჟ. **ილოს** წაყ კეტო **გენი** ძავცა ზედმიწ. „**ჩვენი** ძალიან კარგი **მსხალი** არის“, ჰონღ'ოლა მუღალ'ღ **ჰინო** რავირო ხალყლილ, **წაყ** **ეგრქინაბ** [ლომთ. 2003 : 58, 5] „იმის შემდეგ **გზა** გაკეთდა ხალხისთვის, **ძალიან კარგი**“, **ისტის** გედ **ყონა ტუცცას თოფი** „ძმას აქვს (ზედმიწ. „**ძმისა** არის“) **ორმსროლელი** („ორლეულიანი“) **თოფი**“ და მრ. სხვ.

ატრიბუტული სინტაგმის წევრთა გათიშვა ძალიან ხშირად ახასიათებს პოეზიას, რაც მისი სპეციფიკით (რიტმის, რიტმისა და მარცვალთრაოდენობის, ფრაზის მახვილის... მოთხოვნის) ჩანს გამოწვევული. გარდა ამისა, სახელური შესიტყვების გათიშვა პროზაულ ტექსტებსა და ზეპირმეტყველებაშიც შეინიშნება, რაც სტილისტიკური და ინტონაციური თავისებურებებით უნდა იყოს შეპირობებული.

⁷ ჩვენი აზრით, ატრიბუტული სინტაგმის კომპონენტთა ადგილმდებარეობის მიხედვით, უნდა გამოიყოს ორი ჯგუფი: ა) **კონტაქტური** სახელური შესიტყვება: **ბუყო ტალო** “დიდი ქვა”; ბ) **დისტანციური** სახელური შესიტყვება: **პონ** ზუყონა გედ **მაღლა** **რასადან** ზედმიწ. “ერთი ყოფილა მოლა ნასრედინი”.

3. ატრიბუტული სინტაგმის კომპონენტთა თანამიმდევრობის საკითხი. სახელურ შესიტყვებაში სიტყვათა რიგი მნიშვნელოვანია ყოველი ენისათვის, რადგან ეს სიტყვების სტრუქტურის მნიშვნელოვანი მახასიათებელია და მათ კანონზომიერმა წყობის დარღვევამ შეიძლება სათანადო კომუნიკაციას ხელი შეუშალოს. მეტადრე ეს ითქმის იმ ენათა მიმართ (მაგ., ინგლ.), რომლებშიც წინადადების წევრთა წყობა კანონიზებული და მყარია.

ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენებში ატრიბუტული სინტაგმა, როგორც თავისუფალი შესიტყვება, უმთავრესად პრეპოზიციური (ცენტრისკენული) წყობისაა, თუმცა მსაზღვრელ-საზღვრულის პოსტპოზიციური (ცენტრიდანული) რიგიც დასაშვებია – იგი, როგორც წესი, გათიშულ შესიტყვებაში ან კომპოზიტებში გვხვდება. საზღვრულ სახელს წინ უძღვის (resp. მოსდევს) ჩვენებითი ნაცვალსახელი, მიმღეობა, ზედსართავი, რიცხვითი და არსებითი სახელები.

ა) პრეპოზიციური წყობა გაბატონებულია: ხუნძ. ინსულ წარ „მამის სახელი“, ნეჟერ//ნეჟერაბ რუყ „ჩვენი სახლი“, მეთერისაებ ყო „ხვალინდელი დღე“, ლჰიკაბ ჩუ „კარგი ცხენი“...; ანდ. ვოჭუნა ვოშო „უფროსი ვაჟი“, ჩონჩი კოთუ „კარგი ცხენი“, ვოცუევ ვოშო „ძმის ვაჟი“, შივიულ’ი მიწი „დედა ენა“ (ზედმიწ. „რძის ენა“)...; ტინდ. ბეცანუბ კაჩი „ლამაზი კაბა“, ყენუბ ზინი „მოგებული ძროხა“, ბალუბ იჟუ „ნახმარი ტანსაცმელი“...; საკ. ბეჟ. ნუქრ უო „მშვიერი ძაღლი“, ბუყო ბისა „დიდი თევზი“, ლანა მესელო „სამი ოქრო“, კოტო ჰვამჰან „კარგი ცხოველი“...; ჰუნზ. ჰალლე აკიჭალ, წაღილ საბარ, შიღო რატ? „თეთრი ზღაპარი, შავი ამბავი, რას ისურვებ?“ (ზაპრის დასასრული), ღა^ნყენოს სუკუ „მომავალი კაცი“, ქოშენოს სუკუ „მთიბავი კაცი“, მესელწერუ ქიდ „ოქროსფერი გოგო“ („მზეთუნახავი“), ხო ნუვურუ სუკუ „ხორცის მჭამელი კაცი“ და მრ. სხვ.

ბ) პოსტპოზიციური წყობა ფაკულტატიურ ხასიათს ატარებს: ხუნძ. მივალ-კოლო „დიდუღვაშებიანი“ (ზედმიწ. „უღვაშებ-დიდი“), მეჟერ-ხაალათ „გრძელცხვირა“ (ზედმიწ. „ცხვირ-გრძელი“), რას-ტერენ „ნახმატყლიანი“ (ზედმიწ. „მატყლ-ნაზი“), ბილ-ბაჭარაბ „ინასავით წითელი“ (ზედმიწ. ბილ „ინა“ + ბაჭარაბ „წითელი“)...; დიდ. ჰუჰ-რეტოივოსი „პირისახოცი“ (ზედმიწ. „სახე-ხელიანი“), ნოლ’უ-ქექა „ნაცარქექია“⁸...; საკ. ბეჟ. ე^ნშ ბოყო „ვაშლი დიდი“: ცე^ნშ ბუყო ბაცვა, მუ^ნვანა ბავაცვას [ლომთ. 2003 : 194] „ვაშლი დიდი იცის („იქნება“), საჭმელად არ ვარგა („არ იქნება“)“; ბუყარო ხალუ ჰუქუქუმათლის „დიდი ხალ-

⁸ ხომ არ არის ქექა ნასესხები ქართულიდან? (შდრ. ნაცარ-ქექია).

ხი მთავრობისა“; ბუყარო ხალყ ჰუქუმათლის მოყანნა მოყონა... „მთავრობის დიდი ხალხი მოსვლით მოვიდა რა...“ [ლომ. 2003 : 200] და მისთ.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ პოსტპოზიციური წყობა შესასწავლი ენისთვის ბუნებრივი არ არის და მეტად იშვიათ შემთხვევებში იჩენს თავს, რაც ელიზბარ ლომთაძესაც არ გამოჰარვია მხედველობიდან [ლომთაძე 2003 : 32]. მ. ხალილოვი და ი. ისაყოვი შებრუნებულ წყობას გვერდს უვლიან და ოდენ პრეპოზიციური წყობის არსებობის აღნიშვნით იფარგლებიან [ხალილოვი 1995 : 410; ისაყოვი, ხალილოვი 2001 : 282].

ფრაზაში შესაბამის კომპონენტთა პოსტპოზიციური რიგი ხშირად სხვადასხვა სტილური თუ ჟანრული გარემოებებით ჩანს შეპირობებული – იგი კომპოზიტებში, პოეზიის ენაში, ანდა შესიტყვების კომპონენტთა სიმრავლისას იჩენს თავს, მაგ.: ჰუნზ. **ღაჟბა-ბუჟოროგ** „მოჩხუბარი“ (ზედმიწ. „ჩხუბ-მკეთებელი“), **სუკუ შუგურ ლოდერუ**, ბედება ნგსრო ზუყურ (ნაპ.) „**კაცი ცხენიანი** მდიდრად ითვლებოდა“, ზუყონა გედ **ბუყა ყონა** ქიბბა⁹ ხალლის [მად. 1965 : 93] „მეფეს ჰყავდა **დიდი ორი გოგო**“ (ზედმიწ. „ყოფილა დიდი ორი გოგო მეფისა“), აყაწან **სგვ** რუჟო ბოწლოდ **კიმალის** [ვან 1995 : 117] „ათი **გულა** გააკეთეს (აკეთებენ – ნ. ა.) ცხვრის ყველისა“ და მისთ.

პრეპოზიციური წყობის გაბატონება, როგორც ვარაუდობენ, დამოკიდებულია საზღვრულის გავლენის გაფართოებაზე: „...იგი მყარად არის ბლოკირებული საზღვრულის მიერ“ [უთურგაიძე 2009 : 163, 167]. ეს ითქმის ქართულისა და ქართველურ ენათა მსაზღვრელ-საზღვრულის შესახებ [ჩიქობავა 2008 : 87-88]. რაც შეეხება საკვლევ ენებს, სავარაუდოა, ფუძეენაშივე პრეპოზიციური წყობა იყო გაბატონებული, რომლისთვისაც ხელი უნდა შეეწყო საზღვრულის (დამატების) ფაქტორს.

II. პრედიკატული სინტაგმა და მისი წევრთა წყობის საკითხები¹⁰

2. 1. **ზოგადი.** პრედიკატული სინტაგმა ისეთი ორგანიზებული მთლიანობაა, რომლის უშუალო შემადგენელ წევრებს შორის კანონზომიერი სინტაქსურ-სემანტიკური მიმართებები მყარდება. ფაქტობრივ იგი

⁹ აქ მსაზღვრელთა ბუნებრივი წყობის (ყონა ბუყა... „ორი დიდი...“) დარღვევასთან, ატრიბუტთა ადგილმონაცვლეობასთან გვაქვს საქმე.

¹⁰ ამ მონაკვეთის ერთი ნაწილი სტატიის სახით გამოქვეყნებულია [იხ. იკვ, XXXIX. თბ., 2011, გვ. 37-47].

არის მინიატურული წინადადება, რომლის დამატებითი გავრცობა შესაძლებელია.

პრელიკატულ სინტაგმაში ზმნა წარმოადგენს ბირთვს, რომელთანაც აქტანტები (ქვემდებარე, დამატება) სინტაქსურ-სემანტიკურად არიან დაკავშირებული. გამოხატულების პლანში ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა პრელიკატული სინტაგმის წევრებს შორის სინტაქსური ურთიერთდამოკიდებულების სახეები: ა) მართვა, ბ) შეთანხმება, გ) მირთვა.

2. 2. **ზმნური შესიტყვების წევრთა წყობა.** ზმნური შესიტყვების წევრებად გვევლინებიან, ერთი მხრივ, ზმნა-შემასმენელი თავისი მრავალგვარი რეალიზაციით, მეორე მხრივ კი, აქტანტები, რომლებიც ზმნის ვალენტობას აპრობებენ. შესიტყვებაში სიტყვათა რიგი, როგორც ცნობილია, არის ერთ-ერთი არსებითი მნიშვნელობის მახასიათებელი. მასთან, ზმნური შესიტყვების კომპონენტთა წყობა განსხვავებული შეიძლება იყოს როგორც წინადადების წევრთა შორის, ისე წინადადების ტიპების მიხედვითაც. წინადადების წევრთა წყობა მეტ-ნაკლებად თავისუფალია – საკვლევ ენათა შემასმენელი ამგვარ შესიტყვებაში ჩვეულებრივ ქვემდებარის მომდევნო ადგილს იჭერს, თუმცა ქვემდებარის წინაც შეიძლება დაგვიდასტურდეს, ე. ი. წინადადების წევრთა წყობა ძირითადად თავისუფალია. ამგვარი წყობისაგან თვალსაჩინოდ განსხვავდება ზმნური სინტაგმის წევრთა წყობა, რომელშიც გაბატონებულია პოსტპოზიციური წყობა (ქვემდებარე + შემასმენელი), ხოლო შებრუნებული წყობა (შემასმენელი + ქვემდებარე) – მასზე დამოკიდებული და ფაკულტატიური ხასიათის მატარებელი. სამწევრა შესიტყვებაში, როგორც წესი, ამგვარი ფორმულა დასტურდება: „ქვემდებარე + პირდაპირი დამატება + შემასმენელი“ [ალექსევი და სხვ. 2014 : 299]. საილუსტრაციო მაგალითები: ხუნძ. ებელ **მ-იგო** „დედა არის“, ჩუ **ბ-აჭუნა** „ცხენი მოღის“, ინსუცა **ვ-ას ვ-აჩუნა** „მამას ვაჟი მოჰყავს“, ინსუდე ჩუ **ბ-ოტულა** „მამას ცხენი უყვარს“, ებელაბულ **ვ-ას ვ-უგო** „დედას ვაჟი ჰყავს“, ვ-აცასაღა ჰარაბ **რ-აჭულა** „მძის ხმა ესმის“, ანდ. ინქა **რ-ულონ** „ურემი წავიდა“, იმული კოთუ **ბ-ეთა** მამამ ცხენი დატოვა“, იმუბ ბურთინა **ბ-იკულო** „მამას ნაბადი აქვს“, ღიბო კოთუ ჰაყილო „მე ცხენს ვხედავ“...; საკ. ბეჟ. ბზბ **გეი** „პური არის“, სუკო ჰუნ **შუნაც გოლლო** „კაცი გუშინ დასაფლავეს“, ღიდე ყაბი **კოკოცას** „მე თავი მტკივა“, ჰუქმათლი **ნისორი** „მთავრობამ უთხრა“, **პონს ხან** ზუყონა გეი „ყოფილა ერთი მეფე (ზედმიწ. „ერთი მეფე ყოფილა“)“ და ა. შ.

პრეპოზიციური წყობა საკვლევი ენისთვის ნაკლებად არის დამახასიათებელი¹¹ და იგი რაიმე სტილური გარემოებებით ან გრამატიკული კილოს თავისებურებებით უნდა იყოს შეპირობებული, მაგ., ჰუნზ. ჰანს **ზუყურ** შოფერ „იყო ერთი მძღოლი“, ნიღო **ღენტურ** სუკუ? „სად წავიდა კაცი?“ ოლ'უს **ზუყურ ბერდენქა** „მას ჰქონდა თოფი“ ...; ტინდ. მაკააშოულა ლონა **ბონო** დნ „მე ბავშვს ვუყვიდე წიგნი“ (ზედმიწ. „ბავშვს წიგნი ვუყვიდე მე“), აცაუბა წინჰუბ ნაბარ **ანლალო** დნ ზედმიწ. „დას კარგი ამბავი ვუთხარი მე“ და მისთ.

პირდაპირი და ირიბი დამატების ადგილი მკვეთრად ლოკალიზებული არ არის – ის შემასმენლის წინაც და შემდეგაც თითქმის თანაბრად გვხვდება, თუმცა ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში უფრო ბოლოკიდური პოზიცია უჭირავს [შლრ. ლომთაძე 2003 : 11-21]. **შემასმენლის შემდეგ**: ხუნძ. რონოვე ანა ვაცა „ტყეში წავიდა ძმა“, დიცა რეჭანა ლოსაღა **თუძანკ** „მე ვესროლე მას თოფი“, ვ-ეცაულა ინსაუცა ვ-აცა „მამა აქებს ვაჟს“ ...; ახვ. იმე ბ-ეტეუტერა ხურ დინნე „მამამ მომახვნივინა ყანა მე“, იმულ'ე ს'ვანი კიტი „მამას უყვარს ცხენი“, ლონი ჟარე გელი „ვაჟიშვილი კითხულობს წიგნს...; საკ. ბეჟ. დო ვრცასი **ბეჟტალა მიცაყა** (ტლად.) „მე ვსწავლობ ბეჟიტურ ენას“, დილ რეგარ **ტექ** (ტლად.) „მე ვხედავ წიგნს (ზედმიწ. „ჩემდა ჩანს წიგნი“, ჟაჰალ'ო ოიტეს ზუყოდო **დო** (კაპ.) „ის მკლავდა მე“ ...; **შემასმენლის წინ**: ახვ. იმა რეტა ბინი „მამას ხელი უკიდია (ზედმიწ. „უჭირავს“)“, ჟ-აშოლე მეშუნადე **უნნა** ბივორი „ვაჟმა დანით ხარი დაკლა“, დედე დუ აშელ'აჩი ონ'ერი „მე შენს ქალიშვილს ფული მივეცი“ ...; ჰუნზ. ოუდილ ქიდ ჰეჰერ „ბიჭმა გოგოს სცემა“, მან ბადრა ლ'იკლი **ბუჟო!** (ნაპ.) „შენც სხვებს სიკეთე გაუკეთე!“, **ქიდბოლ დიფი** კეკე **ნელარ** (ლარ.) „გოგომ მე ბიჭონი („შებრაწული ხორბალი“) მომცა“ და სხვ.

რაც შეეხება **უბრალო დამატებას**, იგი მეტწილად შემასმენლის მომდევნო პოზიციაში დგას. მასთან, ამგვარი დამატება არაიშვიათად გათიშულიც არის შესიტყვების ბირთვისაგან, მაგ.: **ღენტუეო** იცილო **ცადამლილო...** „წავიდა მოხუც ადამიანთან...“, მაღლარასადანნა ხონ'ნილ ინ'ცონა **თოკილად** (კაპ.) „მოლა ნასრედინიც (მათ) ხეზე მიაბეს რა საბლით“ ...; დიდ. ნესა ქეცრერსი ენიუჟ უჟი „მან დაწვენიდა დედას ვაჟიშვილი“, მი ილ'ენი ჰარდუჰანვო რისნა'ჭი მიცხირიოდ ჟე აზბარ „შენსავით მათხოვარი ვერ იყიდის ფულით იმ სასახლეს“ და ა. შ.

გათიშული უბრალო დამატება: ჰუნზ. **დიბიდიდა** ციფულ... წუნდარ რუა „შენთვის დედა წინდებს ქსოვს“, ყორტო უსთარ **ღეჩერ** „სკამზე მჭედელი დაჯდა“, ობულ ოლ'უ **ვედრალლო** ჰინ' ნელარ (ჰუნზ.)

¹¹ ე. ლომთაძის აზრითაც, ქვემდებარის წინ მდგარი შემასმენელი დომინანტური არაა [ლომთაძე 2003 : 10-11].

„მამამ მას ვედროებით რძე მისცა“ ...

2. 3. **პრედიკატული სინტაგმის სტრუქტურა.** პრედიკატული სინტაგმა შეიცავს ისეთ ელემენტებს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან როგორც ერთმანეთთან, ისე შესიტყვების ბირთვთან – შემასმენელთან. არსებულ კომპონენტთა სინტაქსური ურთიერთდამოკიდებულება შეიძლება გრამატიკულად მარკირებულიც იყოს და არამარკირებულიც. უკანასკნელ შემთხვევაში გრამატიკული გამონათულება ფუნქციურ-სემანტიკურ ღონეზე რჩება და, მიუხედავად ამისა, შესიტყვების არსი ბოლომდე ნათელია. სახელდობრ, საკვლევ ენებში, რომელებიც კლასოვანი უღვლილებით ხასიათდებიან, ერთვალენტიანი გარდაუვალი ზმნის სუბიექტი შეიძლება კლასის ექსპონენტით მარკირებულიც იყოს და არამარკირებულიც, მაგ.: ხუნძ. ჩუ ბ-ექერულა „ცხენი მირბის“ ჩუ („ცხენი“) საკუთარ გრამატიკულ ბ-ნიშანს აჩენს ზმნაში, ხოლო გარდაუვალი ზმნა, თავის მხრივ, **RS**-ს (ჩუ „ცხენი“) მართავს სახელობით ბრუნვაში. ინსუცაა წულ ყოტანა „მამამ შეშა დაჭრა“: ამ წინადადების შესიტყვების ბირთვი – გარდამავალი ზმნა ყოტანა („დაჭრა“) კლასიფიკატორს მოკლებულია, თუმცა აგენსს მართავს ერგატივში, ხოლო პაციენსს – სახელობითში. მამასადამე, ირკვევა, რომ რიცხვში შეთანხმებისათვის კლასიფიკატორის უქონლობას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. თუ უახლოეს ობიექტს რიცხვს შევუცვლით (ინსუცაა წულ-ალ ყოტანა „მამამ შეშა დაჭრა“), მამინ რიცხვში ცალმხრივ მარკირებულ შეთანხმებას მივიღებთ.¹² ებელაღ (RS/ERG) გორღე (RO^d/NOM) ბ-უყანა „ღეღამ პერანგი შეკერა“

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია თეზისი პირიანობისა და ვალენტობის განსხვავებულ გრამატიკულ კატეგორიებად მიჩნევის შესახებ [გამყრელიძე და სხვ. 2008 : 257]. ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა ზმნა, თუ არ ჩავთვლით ხუნძურის, ახვანურისა და ბეუიტურის ზოგი დიალექტის (ა. ჭარული, ბ. ჩრდილოური, გ. ჰუნზიბური...) კლასოვან-პიროვანი უღვლილების ჩანასახს, პირის კატეგორიას მოკლებულია. ვალენტობის თვალსაზრისით გარჩეულია ერთვალენტიანი (გარდაუვალი), ორვალენტიანი (გარდამავალი, გრძნობა-აქმის) და სამვალენტიანი (პირველადი გარდამავალი, კაუზატიური) ზმნები.

1. **ორვალენტიან ზმნათა** დიდ ნაწილს კლას-კატეგორია არ მოეპოვება და ზმნაში რიცხვი ცალმხრივად მარკირებულია, ე. ი. ზმნის სტრუქტურაში კლასი არ აისახება, ხოლო კლასნიშნიან ზმნათა სტრუქტურაში ნათლად დაჩნდება სათანადო აქტანტთა მიერ გამონათუელი საგნების სემანტიკური კლასიფიკაცია. კერძოდ,

¹² მარკირების ინტერპრეტაციისათვის [იხ. უთურგაიძე 2009 : 151-152].

შესიტყვებაში: ღოსა (RS/ERG) ჭჷანა ღუმან (O^d) („მან მოკლა მტერი“) ზმნა (ჭჷანა „მოკლა“) მოკლე-ბულია კლასოვან უღვლილებას, ამიტომ მასში უახლოესი ობიექტი (ღუმან), რომლის კლასის ნიშანი ჭჷმნაში უნდა ღაჩენილიყო, არ მოგვეპოვება. ამგვარ შემთხვევებში არ გვაქვს არც კლასოვანი, არც კლასოვან-პიროვანი და, მით უფრო, არც პიროვანი უღვლილება. მამასაღამე, ობიექტურ-კლასოვანი უღვლილების სის-ტემის ენაში აღმოგვჩინდა **ნეიტრალური უღვლილების** ზმნები, რომლებსაც აქტანტები მარტოღენ სემანტი-კურ ღონეზე უკავშირდებიან.

რაც შეეხება ორვალენტიან უკლასნიშნო ზმნათა და მათი კლასმიმართ აქტანტების (S₁O^d) სტრუქტურულ ასპექტებს, ჩვენი შეხელულებით, აქ გვაქვს ნაწილობრივ მარკირებული მართვა, ვინაიღან სათანადო ზმნის სემანტიკა რეალურ სუბიექტს (ღოსა „მან“) მართავს ერგატივში, რომელშიც ღვას მარკირებული რეა-ლური სუბიექტი. მამასაღამე, ერგატიული ბრუნვის ფორმა და ზმნის სემანტიკა კლასიფიკატორის უქონლო-ბის, როგორც მეორეული მოვლენის, ერთგვარ კომპენსაციას ახღენენ.

ორვალენტიანი კლასნიშნიანი გარღამავალი ზმნების აქტანტთა სინტაქსურ-სემანტიკური ურთიერ-თღამოკიდებულება ნათელია: რეალური სუბიექტი, რომელიც ერგატივში ღვას, ზმნაში არ აისახება, იგი ოღენ ლოგიკურ-სემანტიკურ ღონეზეა წარმოღენილი. უახლოესი ობიექტი ორმხრივად (სრულად) მარკირე-ბულია, ვინაიღან გრამატიკულადც გომოსატულია (თავის საკუთარ ნიშანს აჩენს ზმნაში) და სემანტიკურ ღონეზეც წარმოღენილია, რაღვანაც სხვანაირად შესიტყვების აზრი გაუგებარი იქნებოღა, მაგ.: ანღ. **იმუ-ღი (RS) ინქჷა (O^d) რ-ეთა „მამამ ურემი ღატოვა“, ღინ (RS) ბ-იჷუ ჰაღმან (O^d) „მე ღვკალი ცხვარი“...;** ჰუნზ. **ოჷ-ღი (ღმRS) ღარს (O^d) ბ-იყე „ბიჭმა გაკვეთილი იცის“, ობუ-ღლ(ღმ) ჰორი (O^{ნღ}) ბ-ოჰორ „მამამ ძრო-ხას აჭამა“** და მისთ.

2. **გრნობა-აქმის** გომოსატველი ზმნები (Verba Sentiendi), რომლებსაც ინვერსიულ ზმნებსაც უწოღებენ, ორვალენტიან ზმნებს განეკუთვნებიან. ამ ტიპის ზმნათა პრეღიკატულ სინტაგმაში ქვემღებარე წარმოღვენს ექსპერიენსერს და იგი მიცემითი ბრუნვის ფორმით რეაღიზღება, ხოლო პაციენსი (O^d), რომ-ლის კლასიც ზმნაში აღინიშნება, სახელობით ბრუნვაში ღვას. რეალური სუბიექტის (ექსპერიენსერის) აღუ-ნიშვნელობა ცხაღყოფს მის განკუთვნებას გრამატიკული სუბიექტისაღმი [ანღლულაღმე 1968 : 65-67; შღრ. უსღარი 1889 : 120-121; ლომთაღმე 2003 : 43].

Verba Sentiendi-ს ტიპის ზმნებს სათანადო წინაღაღებებით მოვიყვანთ ბეჷიტური ენიღან: **ბ-ოტი-ზე** „სიყვარული“: ინსოუღე (DAT) ჷ-ას (NOM) ჷ-ოტჷულა „მამას ვაჷი უყვარს“, **ბ-ინიზე** „ხეღვა“: ინსოულა

(LOC) ჩუ (NOM) ბ-ის ულა ზედმიწ. „მამისდა ცხენი ჩანს“, რაჭი-ზე „მოსმენა“: ღოსულ ღოქლად (NOM) ღილა (LOC) რაჭანა „მისი მხსენება მე მოვისმინე“...; ბეჟ. **ა-ატ-ალ** „სიყვარული“: რუდი-ლ (DAT) იოლო (NOM) **ა-აცცა** „ვაჟს უყვარს ღელა“, **ა-იყ-ალ** „ცოდნა“, „გაგება“: ღი-ლ (DAT) Ø-იყემ ჟაჰლი **ცადამ** (NOM) „მე ვიცნობ ამ კაცს“, **ა-ეგ-ალ** (ჰუნზ. **ჰ-ანწ-ა** "id".) „ხედვა“: ღი-ლ (DAT) ისი (NOM) **ა-გ-მო** „მე ღავინახე ღა“, **შოგ-ალ** „ღავიწყება“: ილწ (DAT) ღნიკლი (NOM) შოგოღს „ჩვენ სიკეთეს არ ვივი-წყებთ“, **ჩოგ-ალ** „გაგება“, „შეტყობა“: ღუ-ლ (DAT) იწწო ხაბარ (NOM) ჩოგნადი? „შენ ახალი ამბავი გა-იგე?“ **თუგ-ალ** „მოსმენა“: ღი-ლ (DAT) მი ილწოღი (NOM) თუგოღო „მე გავიგონე შენი ძახილი“, **თიყ-ალ** „ჩხვლეტა“: ჰოღღ-ლ (DAT) ნისოღო აწჟე (NOM) თიყოღო „მას გუღში მოხვღა (ზეღმიწ. „უჩხვლე-ტა“) ნათქვამი სიტყვა“ ღა მისთ.

ამ რიგის პრედიკატული სინტაგმები ნიშანღობღიღია არა მარტო ახღომონათესავე ენათათვის [ბოკა-რევი 1949 : 34-38; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 367; იმნაიშვილი 1963 : 260-261...], არამეღ სხვა წრის ენებისთვისაც [ჩიქობავა 1979 : 197]. რაც უფრო მეტი ენის მონაცემებზე ღაყრღობით გაღამოწმღება ეს მე-ტად საინტერესო მორფოსინტაქსური მოვღენა, მით უფრო მეტად ღამაჯერებელი იქნება თვალსაზრისი მისი ენობრივ უნივერსაღიღ მიჩნევის შესახებ.

ზემოგანხიღული შესიტყვების სტრუქტურაში ჩვენს ყურადღებას იქცევს შემასმენღის სამართავი ბრუნვა. უღვღიღებისას ექსპერიენსერი (მოქმეღების განმცღღელ-აღმქმელი) ყვეღა ღრო-კიღოთა ფორმაში მიცემით ბრუნვას მოითხოვს, თუმცა ზმნა-შემასმენღის სტრუქტურაში ასახვას ვერ ჰპოვებს. მიუხეღავად ამისა, სინტაგმის წვერთა კავშირი გაღმონატულია ქვემღებარის ბრუნვით [ბოკარევი 1949 : 34], რაც შეიღ-ღება ცაღმხრივ მარკირებულ მართვად კვაღიფიცირღეს.

3. გარღუეღალი ზმნებიღან ინტერესს აღძრავს, აგრეთვე, ერთვალენტიანი ღამხმარე ზმნები (ხუნძ. **ბ-უგო**, ანღ. **ჟი,ბოთღ.**, ჭამ. **იღა**, ტინღ. **გიფა**, ბაგვ. **ირა**, კარ. **ეგწ**, ახვ. **გოღი**, ღიღ. **იოღწ**, ხვარშ. **გოღი**, კაპ. **გეღ**, ტღაღ. **გეღი**, ჰუნზ. **ღი, ღო** „არის“, ხუნძ. **ბ-უკანა**, ანღ. **ბ-იკწო**, ბოთღ., კარ. **ბ-უკა**, ჭამ., ბაგვ. **ბ-უკწა**, ტინღ. **ბ-უგო**, ახვ. **ბ-იკწარი**, ღიღ. **ზეყყწ**, კაპ. **ზეყო-იღო**, ჰუნზ. **ზეყყ-რ** „იყო“), რომღებიც, კონტექსტისღა მიხეღვით, კუთვნიღებას გაღმონატავენ ღა ორვალენტიანები ხღებიაღ. მეორე ფუნქციით ხმარებისას რეაღუ-რი სუბიექტი უახღოღეს ობიექტად იქცევა ღა ჩნღება კუთვნიღების სუბიექტი (Genitivus Subjectivus), მაგ.: ხუნძ. ჟაღცაღსა-უღ ჩუ ბუგო „მმას ცხენი ჰყავს“ (ზეღმიწ. „მმ-ისა ცხენი არის“), ინსა-უღ ჟასაღ რუგო „მამას ვაჟიშვიღები ჰყავს“...; საკ. ბეჟ. ოწი-ს ყამ გეღ „ხარს თავი აქვს“ (ზეღმიწ. „ხარ-ის თავი არის“),

შუგა-ს პინა დაჯცა „ცხენს რძეც აქვს“ (ზელმიწ. „ცხენ-ის რძეც არის“) და ა. შ.

ზემოწარმოვლილ პოსესიური კონსტრუქციის შემცველ წინადადებებში ზმნა-შემასმენელი ლაბი-
ლურია, თუმცა გარდამავლობის თვალსაზრისით – ინდიფერენტული. ხუნძური ენის ზმნაში სახელის კლას-
ნიშანი აისახება, ამიტომ კლასში და რიცხვში შეთანხმება გვაქვს. ხელშესახებია მართავც – ზმნა სახელს მო-
ითხოვს ნათესაობითსა (აგენსი) და სახელობითში (პაციენსი).

კუთვნილების გამომხატველ ორვალენტიან ზმნა-შემასმენელთან ქვემდებარე, მიცემითის გარდა, შე-
იძლება შეგვხვდეს ლოკატიურ ბრუნვებშიც, რაც მეტად დამახასიათებელია ყველა საანალიზო ენისთვის
[ბოკარევი 1949 : 192-200; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 366-368; ცერცვაძე 1965 : 293-296;
მაჰომადბეკოვა 1967 : 116-121; იმნაიშვილი 1963 : 264; ლომთაძე 2003 : 48-49...], მაგ.: ჰუნზ. **ცაგრაგ**
(ლოკ.) ზუყუნლი თოფია (ლომთ. 2003 : 48) „მათ ჰქონიათ (ზელმიწ. „მათთან ყოფილა“) თოფები“, ბაღა
უსთარლი-გ (ლოკ.) ლი „ხანჯალი მჭედელს აქვს (ზელმიწ. „მჭედელთან არის“)“...

გარდა ამისა, გარდამავალ ზმნებთან ლოკატიური ბრუნვის ფორმით შეიძლება წარმოვლილი იყოს
ირიბი და უბრალო დამატება [იხ. ვან ლენ ბერგი 1995 : 123].

ლოკატიურ ბრუნვათა გენეზისის გათვალისწინებით (იხ. ზემოთ), ამგვარი სახის სინტაქსური
კონსტრუქციები დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ხუნძურ ანდიურ-დილოურ ენათა ერთობის დროისათვის.

საკვლევ ენათა ზმნის არსებითი მახასიათებელია კლასისა და რიცხვის გრამატიკული კატეგორიები და
მათი მარკირების არცთუ რთული სისტემა. ეს უპირატესად კლასნიშნიან ზმნებს ეხება. ამ ტიპის **ორვალენ-**
ტიანი გარდამავალი ზმნა სახელს მართავს: ა) ქვემდებარეს – ერატიულ ბრუნვაში, ბ) პირდაპირ დამატებას –
სახელობით ბრუნვაში. ეს დამოკიდებულება ფორმულის სახით ასე ჩაიწერება: Ag + Pr + Pat (resp. RS
+ Ver + RO). საილუსტრაციო მაგალითები: ხუნძ. ინსუ-ცაა (Ag/ERG) ხურ (Pat/NOM) ბ-ეტანა
„მამამ ყანა მოხნა“, ინსუ-ცაა (Ag/ERG) ჟინდირგო ჟ-ას (Pat/NOM) წაღლეზე ჟ-იტანა „მამამ თავისი
შვილი სასწავლებლად გაგზავნა“...; ანდ. ილუ-დი (Ag/ERG) კორკონ (Pat/NOM) რ-ილონ „დედამ
კვერცხი მოხარშა“, იმუ-დი (Ag/ERG) ლ-ული (Pat/NOM) ბ-უეი „მამამ შემა დაჭრა“, ვოცუ-დი
(Ag/ERG) ხურ (Pat/NOM) ბ-ეტაი „მამამ ყანა მოხნა...; საკ. ბეჟ. დიდელა ის-ტი (Ag/ERG) შუგრშორჟ
(Pat/NOM) მ-ოყონა „ჩემმა ძმამ ცხენი მოიყვანა“, ვოპლაგი-და (Ag/ERG) ჩახჩო ქალად (Pat/NOM) „მო-
წაფე წერს წერილს“, აჰმად-ი (Ag/ERG) რადიო (Pat/NOM) დ-იტილლო „აჰმადმა რადიო დაწალა“ და
ძრ. სხვ.

როგორც ზემომოყვანილი მაგალითები მოწმობენ, ქვემდებარე კლასნიშნიან ზმნა-შემასმენელს ითანხმებს კლასსა და რიცხვში, თუმცა ვერ მართავს ბრუნვაში, მაგ.: ანდ. ილუ-ღი კორკონ რ-იღონ „ღელამ კვერცხი მოხარმა“, შღრ. იმუ-ღი კორკომ-იღ რ-იღონ „ღელამ კვერცხები მოხარმა“.

მაშასადამე, საურთიერთო კოორდინაცია, რაც ესოდენ ნიშანდობლივია ქართველური ენებისათვის, საკვლევი ენებისთვის ნაკლებად არის დამახასიათებელი.

3. **სამვალენტიანი** ზმნის ორდინარულ აქტანტებს წარმოადგენენ: ქვემდებარე (RS), პირდაპირი დამატება (RO^d) და ირიბი დამატება (RO^{ind}). როგორც ჩანს, ორვალენტიანი და სამვალენტიანი ზმნის სინტაგმაში მეტ სინტაქსურ ძალას ისტორიულადაც პირდაპირი დამატება ავლენდა, რადგანაც მის ნიშანს აირეკლავდა ზმნა, ე. ი. ქვემდებარე ზმნა-შემასმენელს ითანხმებდა კლასსა და რიცხვში: ხუნძ. ჟაცაასა (RS/ERG) ჩუღ-აღ (RO^d /NOM/PL) რ-ოსანა „ძმამ ცხენები იყიდა“. თუ პირდაპირ დამატებას მხოლოდობით რიცხვში გადავიყვანთ, ზმნაში ამ უკანასკნელის მხოლოდობითი რიცხვის კლასის ნიშანი დაჩნდება: ჟაცაასა (RS/ERG) ჩუ (RO^d /NOM/PL) ბ-ოსანა „ძმამ ცხენი იყიდა“.

ავიღოთ სამვალენტიანი ზმნის ორი წინადადება: საკ. ბეჟ. (1) ოჟ-ღი (ERG) მადუჰალღი-ღ (DAT) ხოღ (NOM) მისონა „ვაჟმა მე ზობელს ცხვარი მიჰყიდა“; (2) ღო (ERG) ღიღელა რჟღი-ღ (INS) ჰინის ღნეენიქ (NOM) რ-ეგალიღნაღ „მე ჩემ ვაჟიშვილს (ზეღმიწ. „ჩემი ვაჟით“) თავისი ღლიური ვაჩვენებინე“.

პირველ წინადადებაში წევრთა წყობა და აქტანტთა ზმნასთან მიმართება კლასიკური და ფუძემდებლის დროინდელია: RS ერგატივში ღგას, უახლოესი ობიექტის (O^d) კლასი კი ზმნაში აისახება. რაც შეეხება მეორე წინადადებას, რომელშიც სამვალენტიანი კაუზატიური ზმნა გამოიყენება, აქტანტთა რაოდენობა გაზრდილია ირიბი დამატებით (O^{ind}), რომელიც ფაქტობრივ მოქმედების შემსრულებლად (ექსეკუტორად) გვევლინება და პრედიკატთან ფორმობრივი კავშირის გამოხატვას მოკლებულია. ზმნაში უახლოესი ობიექტის კლასის (და რიცხვის) ნიშანი დაჩნდება. ირიბი დამატების (O^{ind}) ამ კონტექსტში ხმარება დიდოურ ენათა ინოვაციად შეიძლება ჩაითვალოს. ინსტრუმენტალისის ფორმიანი უბრალო დამატების ექსეკუტორის ფუნქციით გამოყენება კიდევ ერთხელ სვამს ერგატივისა და ინსტრუმენტალისის და, აქედან გამომდინარე, ქვემდებარისა და უბრალო დამატების გენეზისური ურთიერთობის საკითხს [იხ. გუღავა 1963 : 67].

საინტერესოა აღინიშნოს, რომ სამვალენტიან გარდამავალ უკლასნიშნო ზმნაში, ორვალენტიანი გარდამავალი ზმნის ანალოგიურად, ზმნისა და სათანადო აქტანტის კავშირის შესუსტება ფუძემდებანაში უკვე რეალიზებული უნდა ყოფილიყო: სახელი ზმნას ვერ ითანხმებდა კლასსა და რიცხვში, თუმცა ზმნა სახელს

მართავდა ბრუნვაში (RS-ერგატივში, RO^{ind} – მიცემითში ან ლოკატივში, RO^d – სახელობითში), მაგ.: ანდ. ილუ-ლი (RS/ERG) ქინი (RO^d/NOM) ყ'იყ'აბშორ „ლედა აკვანს (ზედმიწ. „აკვანი“) არწევს“, შდრ. ილუ-ლი (RS/ERG) ვ-ოშუბო (RO^{ind}/AFF) ხურ (RO^d/NOM) ბ-ეტოლი „ლეამ ვაჟიშვილს ყანა მოახვნივინა“ ...; ჰუნზ. ოლ'უ-ლ (RS/ERG) ნელ'ზრ ტეხ (RO^d/NOM) გსტი-გ (RO^{ind}/ADT) „მან მისცა წიგნი ძმას“, შდრ. გსტი-ლ (RS/ERG) ბ-ოხორ გსტ (RO^{ind}/DA) ზტყად (RO^d/NOM) „ძმამ უყიდა დას ბეჭედი“ და ა. შ.

ფუძეების ქრონოლოგიური დონისთვის საერთო სავარაუდო მეორე წინადადებაში გვაქვს როგორც მართვა (ზმნა ქვემდებარეს მართავს ერგატივში, ირიბ დამატებას – მიცემითში ან აფექტივში, პირდაპირ დამატებას – სახელობითში), ისე შეთანხმება (სახელი ზმნას ითანხმებს კლასსა და რიცხვში). ამასთანავე, ანდიურ ენათა აფექტივი მეორეულია, თუმცა ხუნძური მიცემითისთვის შეიძლება ამოსავალს წარმოადგენდეს [გუდავა 1971 : 83]. მიუხედავად ამისა, გრძობა-აქმისა და კაუზატივის გამომხატველ ზმნა-შემასმენელთან უბრალო დამატების აღსანიშნავად აფექტივის გამოყენებას ხუნძურ-დილოურ ენათა მონაცემები მხარს არ უჭერს.

III. სინტაქსური კონსტრუქციები

3. 1. **სინტაქსური კონსტრუქციები.** პრელიკატულ სინტაგმაში, სუბიექტის ბრუნვის გათვალისწინებით, გამოიყოფა შემდეგი სინტაქსური კონსტრუქციები: 1) ნომინატიური, 2) ერგატიული, 3) დატიური, 4) პოსესიური, 5) ლოკატიური, 6) ინსტრუმენტალისიანი. თითოეული ეს კონსტრუქცია დამოკიდებულია რეალური სუბიექტის (ქვემდებარის) ან მასთან გათანაბრებული აქტანტის (აგენსის) ბრუნვაზე და სახელწოდებაც ამის მიხედვით აქვს შერქმეული.

3. 2. **ნომინატიური კონსტრუქცია.** ნომინატიური კონსტრუქცია, როგორც ცნობილია, დამახასიათებელია გარდაუვალი ზმნისთვის [ჩიქობავა 1979 : 197]. ისტორიულად პრელიკატულ სინტაგმაში აქტანტებიდან წარმოღვენილი უნდა ყოფილიყო ოდენ ქვემდებარე (RS), რომლის კლასის ექსპონენტიც დაჩნდებოდა კლასნიშნის ზმნაში, უკლასნიშნო ზმნებში კი ქვემდებარეზე (რეალურ სუბიექტზე) მითითება ხდებოდა სემანტიკურ დონეზე, თუმცა ცხადია ფუძეებში კლასნიშნის ზმნათა რიცხვი გაცილებით მეტი იქნებოდა. საილუსტრაციო მაგალითები: ხუნძ.

ჟ-აცა (RS/NOM) ჭკოლა „ძმა ღვას“, ა-ას (RS/NOM) ლბიკ კალაღა „ქალიშვილი კარგად ლაპარაკობს“, ჩუ (RS/NOM) ლუნი-ბ ბ-უგო „ცხენი ლუნიბში არის“, როსუტარაღლა ბ-უკანა შამილილ მინა (RS/NOM) „სოფლის თავში იყო შამილის სახლი“...; საკ. ბეჟ. იფო (RS/NOM) ბილ'ოღა ა-ენტუეღო „ღელა შინ წავიღა“, ცემელა მეს (RS/NOM) ბ-აჭოღრა „შემოდგომაზე ამინდი ცივი ხდება“, ლიღე ო'ნ (ლმ/NOM) კოკოს ზედ-მიწ. „ჩემი მუცელი ავაღა“ ლა მრ. სხვ.

პირველადი აბსოლუტური ზმნების გარდა, არაიშვიათად ნომინატიურ კონსტრუქციას ქმნიან მეორეული ერთაქტანტიანი ზმნებიც, რომელთაც განეკუთვნება ნასახელარი ლა პოტენციალისის სემანტიკის შემცველი ზმნები. ამგვარ ზმნებთან შეწყობილი რეალური სუბიექტიც ყოველთვის სახელობით ბრუნვაში და-ისმის [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 341-343; ლომთაძე 2000 : 213-215], მაგ.: ხუნდ. ცოღანა ლობ (RS/NOM) „გაერთიანდა ის“, ბორღ'არო (RS/NOM) ყოყღანა „ბურღი ლამოკღლა“, ლირ აას (RS/NOM) ებელღანა „ჩემი ქალიშვილი ლელა გახღა“...; ჰუნზ. ჟაჰღი სუგო (RS/NOM) კეტელ'იღო „ეს კაცი კარგი გახღა“, ცაგ (RS/NOM) წუნღულერ (ჰუნზ.) „ის (კაცი) გაწითღლა“, ყაზრა (RS/NOM) ბ-გყაღლერ (ნაჰ.) „ბავშვი გაიზარღა“ ლა მისთ.

3. 3. **ერგატიული კონსტრუქცია.** ზოგადად, იბერიულ-კავკასიური ენებისთვის, კონკრეტულად, ხუნძურ-ანღიურ-ღიღოური ენებისთვის თავისებურ კონსტრუქციას ერგატიული ბრუნვა ქმნის. მარტივი წინაღღების სტრუქტურისა ლა პრეღიკატული სინტაგმის აგებუღების კვლევისას გაღამწყვეტი მნიშვნეღობა სწორედ ერგატიულ კონსტრუქციას ენიჭება, რომელიც ორ- ან სამვალენტიანი გარღამავალი ზმნის კონსტრუქციად გვევღინება. ამგვარი პრეღიკატული სინტაგმის თავისებურებას ისტორიულადც ლა ამჟამადც ის ქმნის, რომ გარღაუვალი ზმნის ქვემღებარე (RS) ლა გარღამავალი ზმნის პირღაპირი ლამატება (RO^d) ერთი ლა იმავე ბრუნვით – სახელობითით გაღმოციემა. მასთან, ზმნაში აისახება სახელობითში მღგარი პირღაპირი ლამატების (RO^d-ის) კღასი, ხოლო ფუნქციურ-სემანტიკურად უფრო აქტიური აქტანტის – ქვემღებარის კღასი კი აღუნიშვნელი რჩება – უახლოესი ობიექტის ძალა სუბიექტისას სჭარბობს [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 239], მაგ.: ხუნდ. ლიცაჰ ჰაბ ტენ'ალბულ ტიმულ მაჭარულ რაჭაბაზულ ქუნაზ ბ-უყუღებ ბ-უგო (რ. ჰამზ.) „მე ამ წიღნის ყღას („ტყავს“) ხუნძური სიტყვების ძაფით ვკერავ“, ნიჟერგო ჟ-ას მუჰამაღღიცაღი ქუმექ ჰაბუნაზა ლოსღე (ფ. აღ.) „ჩვენი ვაჟი მაჰამეღიც მიენმარა მას“...; ლიდ. ბელ'ივანა ბ-ენურსი ბოწი „მონღირემ მოკღა მგელი“, ჟეკა ბ-აწსი მაგაღლუ „კაცმა შეჭამა პური“ ლა მისთ.

ანდიურ ენათა და მეტადრე კი ხუნძური ზმნა ლაბილური ბუნებისაა, რაც საფუძველი ხდება გვართა გაურჩევლობისა და ყოველგვარი თავისებური სინტაქსური შედეგისა. კერძოდ, ზმნის ერთი და იმავე ფორმით აღინიშნება როგორც ვნებითი გვარის ზმნა, ისე - მოქმედებითი გვარისაც (უაყასა შიშა ბ-ექანა „ძმამ ბოთლი გატეხა“, შიშა ბ-ექანა „ბოთლი გატყდა“), რაც არქაულ მოვლენად მიიჩნევა [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 242-245]. დიდი ენათა ზმნა, ხუნძურ-ანდიურ ენათა ზმნისაგან განსხვავებით, მეტი სტაბილურობით გამოირჩევა, ამდენად სათანადო სინტაგმებში იგი მოკლებულია ორასროვნებას, მაგ.: დიდ. **ლუტკუ** (RO^d/NOM) დითეუ (RS/ERG) რ-იკუერნ ოლლ'ირი, დალ'ალ ბჰეჟე მიცხირ ბივა ზეყყუ „მე თავად რომ დამეწვა სახლი, ამით ბევრ ფულს ვიშოვიდი“, დი (RS/ERG) მიცხირ (RO^d/NOM) თელ'სი ხედივნო ბარუნნო (RO^{ind}/NOM) „მე ფული მივეცი ცოლსა და ქმარს“...; საკ. ბეჟ. დიდელა უო-დ (RS/ERG) აუდაჰ (RO^d/NOM) ბ-იტჰეო „ჩემმა ძაღლმა ურჩხული მოკლა“, დო (RS/ERG) სიმინდო (RO^d) ბ-იჟეჩ „მე სიმინდს ვთესავ“ და მისთ.

დიდი ენათა სინამდვილეში მარტივი და იტერატიული სემანტიკის ზმნათა შედარება-შეპირისპირების საფუძველზე შემჩნეულია ლაბილური ზმნების არსებობაც [იმნაიშვილი 1963 : 257], რომლებიც ქმნიან როგორც ნომინატიურ, ისე ერგატიულ კონსტრუქციას. ამასთანავე, ერგატიულ კონსტრუქციაში ქვემდებარე ლოკატიურ ბრუნვაში დგას, მაგ.: საკ. დიდ. რირ-ეტუს „თოკი გაწყდა“, მაგრამ: რირ-ეტუს დჷ „თოკი გავწყვიტე მე“...

კაუზატიური და ზოგი გარდამავალი ზმნის ერგატიული კონსტრუქცია ირიბი დამატებით არის წარმოდგენილი. ირიბი დამატება, როგორც წესი, ერთ-ერთ ლოკატიურ ბრუნვაში დგას, რაც შესაძლოა ტრანსფორმაციის შედეგი იყოს, მაგ.: ხუნძ. დიცა (RS/ERG) რეჰანა დოსა (RO^{ind}/LOC) თუმანკ (RO^d/NOM) „მე ვესროლე მას თოფი“, დოსა (RS/ERG) დიდა (RO^{ind}/LOC) ჩუ (RO^d/NOM) ბ-ოსიზა-ბუნა „მან მე ცხენი მაყიდვინა“...; დიდ. მალა-რასანჷ (RS/ERG) ცალოს ხალყიმოჷ (RO^{ind}/LOC) წიკივ ბეტუ (RO^d/NOM) ბოწკო (RO^{ind}/LOC) რ-აწრერნო (იმნ. 1963, 260) „მოლა ნასრედინმა სოფლის ხალხს მთელი ცხვარი მგელს შეაჭმევინებინა“, დი (RS/ERG) დჷ უჟიჷ (RO^{ind}/LOC) ქალათ (RO^d/NOM) ელიმ ჟეკუჷ (RO^{ind}/LOC) ცახრერსი „მე ჩემს ვაჟიშვილს წერილი მცოდნე კაცს დავაწერინებინე“ და სხვ.

საგულისხმოა, რომ მეორეული კაუზატიური ზმნა ირიბ ობიექტს ინსტრუმენტალისში მართავს [არდოტელი 2008 : 77-78], მაგ.: დო (RS/ERG) ყებელი-დ (RO^{ind}/INS) წიბ (RO^d/NOM) რ-რლილო (ლობთაძე 2000 : 198) „მე მჭედელს დანა გავაკეთებინე“, მალლა-რასადან-ი (RO^{init}/ERG) ჯლ'ალა ხალყელი-დ (O^{ind/ex}/INS) რეჰენ (RO^d/NOM) ბაწი-დ (O^{ind/ex}/DAT) რ-უ^ნ-უა-ვილინა „მოლა ნასრედინმა

სოფლის ხალხს ცხვარი მგელს შეაჭმევინებინა“ და სხვ. მისთ.

საყურადღებოა, რომ ახვასური ენის ცეკობურ თქმაში ვაწყლებით საინტერესო თავისებურებას - გრძნობა-აქმის ზმნებთან ქვემდებარე ლოკატიური ბრუნვის ნაცვლად ერგატივში დგას (დინდე ბაყი „მე ვიცი“, შდრ. ხუნდ. დიდა ლაღა „id.“...), რაც სავსებით სამართლიანად მეორეულ მოვლენად არის მიჩნეული [მაჰომედბეკოვა 1967 : 135].

3. 4. **დატიური კონსტრუქცია.** როგორც უკვე ავლინებთ ზემოთ, Verba Sentiendi-ს ტიპის პირველადი ინვერსიული ზმნები ქვემდებარეს (RS) მიცემით ბრუნვაში მოითხოვენ, რაც მრავალი ენის ანალოგიურ მოვლენასთან პოულობს პარალელს [ჩიქობავა 1979 : 197], მაგ.: ინსუდე (RS/DAT) ჟინდროგო ჟას (RO^d/NOM) ჟოტულა „მამას თავისი ვაჟიშვილი უყვარს“, ლო დ-ას (RO^d/NOM) დ-ატინინ დიდე (RS/DAT) „ის გოგო მომწონს მე“...; დიდ. ობიდე-რ (RS/DAT) Ø-იქჟაღს უჟი (RS/DAT) „მამამ დაინახა ვაჟი“, ქიღბე-რ (RS/DAT) Ø-ეთის უჟი (RS/DAT) „გოგოს უყვარს ბიჭი“ და მისთ.

გარდა ამისა, მიცემითი ბრუნვით გამოიხატება მოქმედების ადრესატი და ირიბი ობიექტი, მაგ.: ბეჟ. აბო (RS/ERG) ოჟელ-ლ (RO^{ind}/DAT) ბიტ* (RO^d/NOM) ნილიდო (კაბ.) „მამამ ვაჟიშვილს ცხვარი მისცა“, ოჟელ-ლ (RS/ERG) ქიღბ (RO^{ind}/DAT) (ვათ) მ-იღჰ-რ (ჰუნზ.) „ვაჟმა გოგოს (ხელი) დაარტყა“ და სხვ.

ზემოწარმოვლილ საკითხთან დაკავშირებით სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია შემდეგი მოსაზრება: „ეს კონსტრუქცია (დატიური- ნ. ა.) ძველი და გარდაუვალი ზმნისეული ჩანს (ისევე, როგორც ხუნძურში შესაბამის ზმნათა დატიური და ლოკატიური კონსტრუქციები)“ [ცერცვაძე 1965 : 223]. უნდა ითქვას, რომ მეორე დებულება სიმართლეს შეესაბამება, მაგრამ მათი სიძველე შეიძლება ოდენ ანდიურ ენათა ქრონოლოგიური დონით განისაზღვროს, ვინაიდან აფექტური ბრუნვის პოსტულირება საკვლევ ენათა ერთიანობის ხანისათვის არარეალურია. რაც შეეხება ამგვარ ზმნებთან ქვემდებარის ბრუნვად მიცემითის (resp. ლოკატივის) დაშვებას, ეს გასაზიარებელი ჩანს.

დატიური კონსტრუქციის რეინტერეტირებულ ვარიანტს წარმოადგენს აფექტური კონსტრუქცია, რომელიც ანდიურ ენებში იჩენს თავს, მაგ.: ანდ. ვ-ომუ-რო (RS/AF) ჰილულო ხოჟა (RO^d/NOM) „ვაჟიშვილს უყვარს წიგნი“, იმუ-ჟ-ო (RS/AF) ჰილულო ვოშო (RO^d/NOM) „მამას უყვარს ვაჟიშვილი“ და მისთ.

აფექტური კონსტრუქცია, ერთი მხრივ, შეიძლება დაუკავშირდეს დატიურ, ხოლო, მეორე მხრივ,

ლოკატიურ კონსტრუქციას, რომელსაც ზოგ ენაში (მაგ., ხუნძ.) დატივი ლოკატიური ბრუნვიდან წარმოქმნილად მიიჩნევა [გუდავა 1961 : 348]. ამაზე მიგვანიშნებს ის ფუნქციური სიახლოვეც, რაც მჟღავნდება ხუნძურ მიცემითსა და ანდიურ აფექტივს შორის (იხ. ზემოთ).

3. 5. **პოსესიური (ნათესაობითიანი) კონსტრუქციის პრობლემა.** როგორც ცნობილია, სპეციალურ ლიტერატურაში დამოუკიდებელ სინტაქსურ ერთეულად გამოყოფენ პოსესიურ კონსტრუქციას და მას სხვა მომიჯნავე კონსტრუქციათა თანაბარ უფლებებს ანიჭებენ [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 242; იმნაიშვილი 1963 : 264; კიბრიკი და სხვ. 2001 : 298-299; ლომთაძე 2003 : 45-46].

საკვლევ ენებში პოსესიურ კონსტრუქციას მარტოოდენ მეშველი ზმნები ქმნიან. პოსესიურ (ნათესაობითიანი) კონსტრუქციის აქტანტებიდან გრამატიკულად მარკირებული არ არის არც აგენსი და არც პაციენსი, სათანადო ზმნას კლასიფიკატორი არ მოეპოვება. პოსესიური კონსტრუქციის სტრუქტურა ასეთია: კუთვნილების სუბიექტი (GS=Genitivus Subjectivus) – ქვემდებარე ყოველგვარ ღროულ ფორმასთან დგას ნათესაობითში, ხოლო პირდაპირი დამატება (RO^d) – სახელობითში, მაგ.: ხუნძ. შამილი-ლ (GS) ლბიკ-აბ ჩუ (RO^d) ბ-უგო „შამილს ცხენი ჰყავს (ზედმიწ. „შამილის ცხენი არის“), ინსა-ულ (GS) დ-ას (RO^d) დ-იგო „მამას ქალიშვილი ჰყავს (ზედმიწ. „მამისა ქალიშვილი არის“)...; საკ. ბეჟ. ისტი-ს (GS) თოფი (RO^d) გედ „მმას თოფი აქვს (ზედმიწ. „მმის თოფი არის“), ჟჯლო ხალლი-ს (GS) ჰონს რჟო (RO^d) ზუყონა გედ „იმ მეფეს ერთი ვაჟი ჰყავდა (ზედმიწ. „იმ მეფისა ერთი ვაჟი იყო““ და ა. შ.

მეშველზმნათა ქონა-ყოლის ზმნათა ფუნქციით გამოყენება მეორეული ჩანს, თუმცა მარტოოდენ ეს გარემოება ეჭვქვეშ ვერ დაყენებს ამ კონსტრუქციის ფუძემდებელს.

3. 6. **ლოკატიური კონსტრუქცია.** ლოკატიური კონსტრუქცია ძველისძველი კონსტრუქციაა, რომელსაც აყალიბებენ გრძნობა-აღქმისა და მოღალური სემანტიკის შემცველი ზმნები. ლოკატიურ კონსტრუქციას ქმნიან:

1) Verba Sentiendi-ს ტიპის პირველადი ინვერსიული ზმნების ერთი ნაწილი: ხუნძ. ინსუდა (RS/LOC) ჟინდირგო ლიმერ (RO^d) ბ-იჰულა „მამა ხედავს თავის შვილს (ზედმიწ. „მამისდა თავისი შვილი ჩანს“, ჟაცასადა (RS/LOC) ჰარატჰ რაჟულა (RO^d) „მმას ხმა ესმის“...;

2) ზოგი პოტენციალის სემანტიკის ან კუთვნილების გამომხატველი გარდაუვალი ზმნა: დიდ. ნესი-ვ

(RS/LOC) რ-აწელ'ხო რელ' (RO^d) „მისგან (ზედმიწ. „მასზე“) იჭმება ხორცი“, ღები ღ'ჟა (RO^d) დ-ეხუს ღწ-ვ (RS/LOC) „შენი ძალი შემომაკვდა მე“ (ზედმიწ. „შენი ძალი მოკვდა ჩემგან“, შდრ. ღ'ჟა დ-ეხუს „ძალი მოკვდა“)...; საკ. ბეჟ. მიჟუგ (RS/LOC) შუშა (RO^d) ლიტტო, აწი გიჭკო! „თქვენ თუ ბოთლი გაქვთ (ზედმიწ. „თქვენთან ბოთლი თუ არის“), სასმელი ჩაასხი!“;

3) ერთი რიგის გარდამავალი ზმნები (ბ-იჟ-ა “მოგება“, ბ-აჟ-ა „შედლება“, ბ-ოჟ-ა „ნღობა“, „რწმენა“...) უბრალო დამატებას (სირკონსტანტს) სხვადასხვა ლოკატიურ ბრუნვაში სვამენ [იხ. ვან ღენ ბერგი 1995 : 123-124; ლომთაძე 2003 : 53-55].

ამრიგად, ხუნძურ-ანღურ-ღიღურ ენებში თავჩენილ სინტაქსურ კონსტრუქციებში უმთავრესია კლასიძმართ აქტანტთა დამოკიდებულება პრედიკატთან – შემასმენელთან. როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, პრედიკატულ სინტაგმაში შემასმენელი ქვემდებარეს (RS) მართავს სახელობითში, ერგატივში, მიცემითში და ნათესაობითში, ხოლო დამატებას (RO^d , RO^{ind}) – სახელობითში, მიცემითში და ლოკატივში, რითაც იქმნება სათანადო სინტაქსური კონსტრუქციები. ამ კონსტრუქციებიდან პოსესიური და ლოკატიური კლასიძმართავ აქტანტთა კონსტრუქციებია და, ამდენად, ნაკლები ფუნქციური დატვირთვა აქვთ.

3. ატრიბუტული და პრედიკატული სინტაგმები და მათი წევრთა წყობის საკითხები;

სინტაქსური კონსტრუქციები ლაკურ და დარგულ ენებში

I. ატრიბუტული სინტაგმა და მისი წევრთა წყობის საკითხები

ლაკურ და დარგულ ენებში ატრიბუტივი შეიძლება იყოს ზედსართავი სახელი, არსებითი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი და მიმღეობა, რომლებიც არსებით სახელთან სინტაქსური შეკავშირებით ქმნიან ატრიბუტულ სინტაგმას.

ლაკურ ენაში შეიძლება გამოიყოს ატრიბუტულ სინტაგმათა შემდეგი ტიპები [მურყელინსკი, 1971: 136]:

1) სინტაგმები, რომლებშიც წარმოდგენილია უკლასნიშნო ატრიბუტივები. ასეთ სინტაგმებში შემავალ ატრიბუტივში (მსაზღვრელში), ცხადია, არ აისახება მასთან შეკავშირებული სახელის (საზღვრულის) კლასი და რიცხვი:

ხოუდ-საა „კარგი“, ღირი-საა „სწრაფი“, არხ-საა „შორი“, წაყ-საა „ძლიერი“, ჟაჰილ-საა „ახალგაზრდა“...

ხოუდ-საა აღიმინა „კარგი კაცი“, ხოუდ-საა შაარსა „კარგი ქალი“, ღირი-საა აღიმინა „სწრაფი კაცი“, ღირი-საა შაარსა „სწრაფი ქალი“, არხ-საა შაჰრუ „შორი ქალაქი“, წაყ-საა აღიმინა „ძლიერი კაცი“, წაყ-საა შაარსა „ძლიერი ქალი“, ჟაჰილ-საა აღიმინა „ახალგაზრდა კაცი“, ჟაჰილ-საა შაარსა „ახალგაზრდა ქალი“...
ხოუდ-საა არამთალ „კარგი კაცები“, ხოუდ-საა ჯამი „კარგი ქალები“, ღირი-საა არამთალ „სწრაფი კაცები“, ღირი-საა ჯამი „სწრაფი ქალები“, არხ-საა შაჰრურლე „შორი ქალაქები“, წაყ-საა არამთალ „ძლიერი კაცები“,

წყა-სა წამი „ძლიერი ქალები“, ჟაჰილ-სა არამთალ „ახალგაზრდა კაცები“, ჟაჰილ-სა წამი „ახალგაზრდა ქალები“...

2) სინტაგმები, რომლებშიც წარმოდგენილია კლასნიშნის ატრიბუტივები. ასეთ სინტაგმებში ატრიბუტივი (მსაზღვრელი), როგორც წესი, ეთანხმება მასთან შეკავშირებულ არსებით სახელს (საზღვრულს) კლასსა და რიცხვში. შეთანხმება რიცხვში გამოიხატება მხოლოდ კლასის ნიშნითა ცვლილებით მრავლობითში, ხოლო მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელ სახელურ ფორმანტს საზღვრულთან შეკავშირებული მსაზღვრელი არ დაირთავს. მაგალითად:

I კლ. უჰარასა ადიმინა „მოზრდილი (დიდი) კაცი“

II კლ. დ-უჰარასა შარსა „მოზრდილი (დიდი) ქალი“

III კლ. ბ-უჰარასა ნიც „მოზრდილი (დიდი) ხარი“

IV კლ. დ-წრჟუსა შაინ „ცივი წყალი“

მრავლობითში:

I კლ. ბ-უჰარასა არამთალ „მოზრდილი (დიდი) კაცები“

II კლ. ბ-უჰარასა წამი „მოზრდილი (დიდი) ქალები“

III კლ. ბ-უჰარასა ნიცრუ „მოზრდილი (დიდი) ხარები“

IV კლ. დ-წრჟუსა დანარდუ „ცივი წყლები“

ასეთივე ვითარება ატრიბუტივებში, რომლებშიც კლასის ნიშნები წარმოდგენილია ინფიქსების სახით:

I კლ. ჭა-გ-ასა უსაუ „ახალგაზრდა ძმა“, მრ. რ. ჭა-გ-ასა უსაურვალ „ახალგაზრდა ძმები“

II კლ. ჭა-რ-ასა ნინუ „ახალგაზრდა დედა“, მრ. რ. ჭა-რ-ასა ნინუკლუ „ახალგაზრდა დედები“

III კლ. კუნ-მ-ასა ჩუ „დიდი ცხენი“, მრ. რ. კუნ-მ-ასა ლუჩრი „დიდი ცხენები“

IV კლ. ყა-რ-ყსა ურთაუ „ხმელი ბალახი“, მრ. რ. ყა-რ-ყსა ურთაურდუ „ხმელი ბალახები“

მსაზღვრელი ლაკურ ენაში, ჩვეულებრივ, წინ უძღვის საზღვრულს, ანუ გვაქვს მყარი პრეპოზიციური წყობა. არ ხდება მსაზღვრელის შეთანხმება საზღვრულთან ბრუნვაში. მაგალითად:

სახ. ჯინსა ინსან „კარგი კაცი“

ნათ.-ერგ. ჯინსა ინსანალ „კარგი კაცის“

მიც. ჯინსა ინსანან „კარგ კაცს“

მსაზღვრელი რიცხვითი სახელი ლაკურ ენაში ასევე პრეპოზიციური ბუნებისაა. იგი ეთანხმება საზღვრულს კლასსა და რიცხვში, მაგრამ არა ბრუნვაში. მაგალითად:

ცადა ორჭ „ერთი ბიჭი“ (I კლ.)

ცა-რა შარსა „ერთი ქალი“ (II კლ.)

ცა-ვა ჩუ „ერთი ცხენი“ (III კლ.)

ცა-რა თახთა „ერთი დაფა“ (IV კლ.)

კიდა ორჭ „ორი ბიჭი“ (I კლ.)

კი-რა შარსა „ორი ქალი“ (II კლ.)

კი-ვა ჩუ „ორი ცხენი“ (III კლ.)

კი-რა ქვა „ორი ხელი“ (IV კლ.)

შან-მა (< შან-ბ-ა) ჩუ „სამი ცხენი“ (III კლ.)

არულ-ლა (< არულ-რა) სურთ „შვიდი სურათი“ (IV კლ.) და სხვა.

დარგულ ენაში მსაზღვრელად გამოყენებულ ზედსართავ სახელს, ლაკურისგან განსხვავებით, ეკვეცება დაბოლოება **-სი**, რომელიც ნაჩვენებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზედსართავი სახელი იხმარება დამოუკიდებლად, საზღვრულის გარეშე, მაგ., ავ ლუბურ „მაღალი მთა“ (საზღვრულის გარეშე – ავსი „მაღალი“), მურხ ყადა „ღრმა ხეობა“ (საზღვრულის გარეშე – მურხსი „ღრმა“), ჟად ადამ „ცუდი კაცი“ (საზღვრულის გარეშე – ჟადსი „ცუდი“), აპ რურსი „კარგი გოგო“ (საზღვრულის გარეშე – აპსი „კარგი“)... [აბდულაევი, 1954:127]. ეს **-სი** დაბოლოება მასალობრივ შეესატყვისება ლაკურის **-სა** ფორმანტს ზედსართავებში (ლაკ. ხუდ-სა „კარგი“, წაყ-სა „ძლიერი“ და სხვ.), ოღონდ განსხვავება ის არის, რომ ლაკურ ენაში მსაზღვრელად გამოყენებულ ზედსართავებს **-სა** დაბოლოება არ ეკვეცებათ.

დარგულში მსაზღვრელი, ჩვეულებრივ, ეთანხმება საზღვრულს კლასში:

I კლ. ჟ-აბზა ადამ „მსუქანი კაცი“

უკულა (< ჟ-უკულა) ადამ „გამხდარი კაცი“

- II კლ. რ-აბზა რურსი „მსუქანი გოგო“ რ-უკულა რურსი „გამხდარი გოგო“
 III კლ. ბ-აბზა ყვლ „მსუქანი ძროხა“ ბ-უკულა ყვლ „გამხდარი ძროხა“

მაგრამ დარგულში არ ხდება მსაზღვრელის შეთანხმება საზღვრულთან რიცხვში იმ მხრივ, რომ საზღვრულთან შეკავშირებული მსაზღვრელი, ლაკურის მსგავსად, არ დაირთავს მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელ სახელურ ფორმანტს, რაც ლაკურ და დარგულ ენებს განასხვავებს ზოგიერთ სხვა ნახურ-დაღესტნურ ენათაგან. მაგალითად:

- ავ ლებურ „მაღალი მთა“ – ავ ლებურთი „მაღალი მთები“
 ღწნგ მაღდან „ფართო მოედანი“ – ღწნგ მაღდუნთი „ფართო მოედნები“
 წუბ ქადარ „თეთრი ქაღალდი“ – წუბ ქადურთი თეთრი ქაღალდები“
 ჭჷსიქარ ადამ „ბრაზიანი კაცი“ – ჭჷსიქარ ადამთი „ბრაზიანი კაცები“

დარგული ენის ატრიბუტული სინტაგმისათვის, ისევე როგორც ლაკურისათვის, დამახასიათებელია მყარი პრეპოზიციური წყობა, ანუ სინტაგმაში მსაზღვრელი, ჩვეულებრივ, წინ უძღვის საზღვრულს. ამასთანავე, ლაკური ენის მსგავსად, მსაზღვრელი არ ეთანხმება საზღვრულს ბრუნვაში და წარმოდგენილია ნომინატივში (გაუფორმებელი ფუძის სახით) საზღვრულის წინ. ატრიბუტული სინტაგმის პოსტპოზიციური წყობის (საზღვრული-მსაზღვრელი) შემთხვევები არ დასტურდება.

II. პრედიკატული სინტაგმა და მისი წევრთა წყობის საკითხები

ლაკურ და დარგულ ენებში ზმნა, როგორც წესი, ეთანხმება მასთან სინტაქსურად შეკავშირებულ სახელს კლასსა და რიცხვში, რაც გამოიხატება კლასისა და რიცხვის ნიშანთა ცვალებით ზმნურ ფუძეებში. უცვლელია მხოლოდ ის ზმნები, რომელთაც საერთოდ არ გააჩნიათ კლასის და, შესაბამისად, რიცხვის ნიშნები, ხოლო უკლასნიშნო ზმნების რაოდენობა ამ ენებში დიდად აღემატება კლასნიშნალებისას, ისევე როგორც არაერთ სხვა ნახურ-დაღესტნურ ენაში. გარდაუვალი ზმნა, როგორც წესი, კლასსა და რიცხვში ეთანხმება რეალურ სუბიექტს, ხოლო გარდამავალი ზმნა – რეალურ ობიექტს. მაგალითად, ლაკურში:

გარდაუვალი:

I კლ. ნა ფ-უ-ვ-კრა „მე (კაცი) მოვედი“	ჟუ ბ-უ-ვ-კრუ „ჩვენ (კაცები) მოვედით“
II კლ. ნა დ-უ-რ-კრა „მე (ქალი) მოვედი“ მოვედით“	ჟუ ბ-უ-ვ-კრუ „ჩვენ (ქალები)
III კლ. ნა ბ-უ-ვ-კრა „მე (გოგო) მოვედი“ მოვედით“	ჟუ ბ-უ-ვ-კრუ „ჩვენ (გოგოები)

ამ მაგალითებში კლასნიშნიანი გარდაუვალი ზმნა შეთანხმებულია კლასსა და რიცხვში რეალურ სუბიექტთან, რომელიც, ჩვეულებრივ, სახელობით ბრუნვაშია.

გარდამავალი:

ნა ჰაზ ფ-ავ ორჭ „მე ავიყვანე ბიჭი“	ჟუ ჰაზ-ბ-არღუ ორჭრუ „ჩვენ ავიყვანეთ ბიჭები“
ნა ჰაზ დ-ავ შარსა „მე ავიყვანე ქალი“	ჟუ ჰაზ-ბ-არღუ ვამი „ჩვენ ავიყვანეთ ქალები“
ნა ჰაზ ბ-ავ ღუმ „მე ავიყვანე გოგო“	ჟუ ჰაზ-ბ-არღუ „ჩვენ ავიყვანეთ გოგოები“

ამ მაგალითებში კლასნიშნიანი გარდამავალი ზმნა ეთანხმება რეალურ ობიექტს კლასსა და რიცხვში.

როთელ ფორმებში გარდამავალი ზმნა კლასსა და რიცხვში ერთდროულად ეთანხმება რეალურ სუბიექტსაც და რეალურ ობიექტსაც [მურყელინსკი, 1971: , მაგ., ნა ყაფა ბურუხლად ღურა „მე (ქალი) ქუდს ვკერავ“, სადაც **ბ-** პრეფიქსი ასახავს რეალური ობიექტის კლასს (**ბ-ურუხლად**), ხოლო მეშველი ზმნა (**ღ-ურა**) **დ-** პრეფიქსის მეშვეობით ასახავს რეალური სუბიექტის კლასს. მსგავსადვე სინტაგმაში: ნა ყაფა ბურუხლად ბურა „მე (გოგო) ქუდს ვკერავ“ **ბ-** პრეფიქსი ძირითად ზმნაში (**ბ-ურუხლად**) მიუთითებს რეალური ობიექტის კლასზე, ხოლო მეშველ ზმნაში (**ბ-ურა**) რეალური სუბიექტის კლასზე... ასევე იქნება გარდამავალი ზმნის შემცველ სხვა წინადადებებშიც: ნა დანა ღურუხლად ურა „მე (კაცი) ტანისამოსს ვკერავ“, ნა დანა ღურუხლად ღურა „მე (ქალი) ტანისამოსს ვკერავ“, ნა დანა ღურუხლად ბურა „მე (გოგო) ტანისამოსს ვკერავ“... ამ მაგალითებშიც ძირითადი ზმნა (**ღ-ურუხლად**) კლასშია შეთანხმებული რეალურ ობიექტთან (დანა „ტანისამოსი“), ხოლო მეშველი ზმნა (**ფ-ურა, დ-ურა, ბ-ურა**) – რეალურ სუბიექტთან (ნა „მე“).

ანალოგიური ვითარებაა დარგულ ენაში, სადაც გარდაუვალი ზმნა, როგორც წესი, კლასსა და რიცხვში ეთანხმება რეალურ სუბიექტს, ხოლო გარდამავალი ზმნა – რეალურ ობიექტს. მაგალითად:

გარდაუვალი:

I კლ. ურში ჟ-აკიბ „ბიჭი მოვიდა“

II კლ. რურსი რ-აკიბ „გოგო მოვიდა“

III კლ. ყვლ ბ-აკიბ „ძროხა მოვიდა“.

გარდამავალი:

ნუნი ლუშმან ქა-ჟ-შირა „მე მტერი (კაცი) მოვკალი“

ნუნი ლუშმან ქა-რ-უშირა „მე მტერი (ქალი) მოვკალი“

ნუნი ქალარ ბ-ელკუნრა „მე წერილი დავწერე“

ნუნი ქალართი დ-ელკუნრა „მე წერილები დავწერე“ და სხვა.

III. სინტაქსური კონსტრუქციები

ლაკური და დარგული ენებისთვის, სხვა ნახურ-დალესტნურ ენათა მსგავსად, ნიშანდობლივია წინადადების ერგატიულ და ნომინატიურ (resp. აბსოლუტიურ) კონსტრუქციათა დაპირისპირება, რაც განპირობებულია ლექსიკური თვისებებით ზმნური ლექსემისა, რომელიც წინადადებაში პრედიკატულ ბირთვს წარმოადგენს. გარდამავალი (resp. აგენტური) ზმნები ქმნიან წინადადების ერგატიულ კონსტრუქციას, ხოლო გარდაუვალი (resp. ფაქტიური) ზმნები – ნომინატიურ (resp. აბსოლუტიურ) კონსტრუქციას. აფექტური ზმნები (ე.წ. verba sentiendi) ყველა ნახურ-დალესტნურ ენაში ქმნიან წინადადების აფექტურ (მიცემითიან ან ლოკატივიან) კონსტრუქციას. პოსესივის (კუთვნილების) გამოხატვის ფუნქციით გამოყენებული ზმნები ქმნიან წინადადების პოსესიურ (ნათესაობითიან ან ლოკატივიან) კონსტრუქციას.

ნომინატივი (resp. აბსოლუტივი) ლაკურ და დარგულ ენებში წარმოდგენილია ნულოვანი დაბოლოებით (გაუფორმებელი ფუძის სახით). გარდაუვალ ზმნებთან იგი გამოხატავს რეალურ სუბიექტს, ხოლო გარდამავალ ზმნებთან – რეალურ ობიექტს; ლაკ. გარდაუვალი: ზუზისა ინსან-RS თიქუ უსარ

„მოძუშავე კაცი იქ არის“, ღურქუსა ადმინა-RS იჰა ლაგლად ურ „სწავლული კაცი ისვენებს“, ჰუნარ ბუსა ინსან-RS ზიდ ურ „მარჯვე კაცი მუშაობს“, თა-RS შანად ურ „მას (ზედმიწ. „იგი“) სძინავს“, ღუმ-RS ბუქლად ბიდა „გოგო სწავლობდა“, ნა-RS ღუქლან ტიდა ურა „მე (ქალი) ვისწავლი“, ფაუ-RS ღადტიდა ურ „მამა ხნავს“ ... გარღამავალ ზმნებთან: უუ ღუმან-RO ივჭარღუ „ჩვენ მტერი მოვკალით“, თანალ თა-RO ჰაზ უნნი „მან იგი აიყვანა“, უსიღ ჩუ-RO ღავსუნნი „ძმამ ცხენი იყიღა“, ნა ჩაღარ-RO ჩიჩავ „მე წერილი ღავწერე“... [მურყელინსკი, 1971: 128].

ღარგუულ ენაშიც, ღაკურის ანალოგიურად, ნომინატივი (აბსოლუტივი) ნულოვანი ღაბოლოებითაა წინაღღებაში წარმოღვენილი. იგი გაბოხატავს რეაღურ სუბიექტს გარღაუვალ ზმნებთან ღა რეაღურ ობიექტს –გარღამავალ ზმნებთან:

გარღაუვალი: ღუღუმ-RS.nom. უაკიბ „მამა მოვიღა“, ნემ-RS.nom. რაკიბ „ღეღა მოვიღა“, ყაღ- RS.nom. ბაკიბ „ძროხა მოვიღა“, ღუღუმ-RS.nom. უზული საღ „მამა მუშაობს“, ნემ-RS.nom. რუზული სარი „ღეღა მუშაობს“, ნუ-RS.nom. უჭუღრა მე ვსწავლობ“, ნუ-RS.nom. უზუღრა „მე ვმუშაობ“, ნუ- RS.nom. უქუღრა „მე ვჭამ“, ნუ-RS.nom. ჰაწჩიღიჩი ყანქაღეღებრა „მე სამსახურში ღავიგვიანე“ ... გარღამავალი: ნუნი ყაწ-RO.nom. ბურქუნრა „მე პური შევჭამე“, ნუნი წამი-RO.nom. ცაღიღუღლა „მე ცეცხლს (ზედმიწ. „ცეცხლი“) ვანთებ“, ნუნი ჰუი-RO.nom. ღაღჭუღლა „მე თესღს (ზედმიწ. „თესღი“) ვთესავ“, ღურჰალი მამა-RO.nom. ბუჯული საღ „ბავშვი (ზედმიწ. „ბავშვა“) ძუძუღს (ზედმიწ. „ძუძუ“) წოვს“, რურსიღი ცაწჰაღლა-RO.nom. ღუსული სარი „გოგო (ზედმიწ. „გოგომ“) აბრეშუმს (ზედმიწ. „აბრეშუმი“) ქსოვს“, ნუნი შინ-RO.nom. ღურჟირა „მე წყაღს (ზედმიწ. „წყაღი“) ვსვამ“, ნუნი თაბთარ- RO.nom. ბეღჭუნრა „მე წიგნს (ზედმიწ. „წიგნი“) კკითხუღობ“, ღუღუმლი ნუ-RO.nom. უითირა „მამამ მე მცემა“... [აბღულაევი, 1954: 170-171].

ღარგუულ ენაში (ასევე ღაკურშიც) წინაღღების ნომინატიური კონსტრუქცია არაერთგვაროვანია. ორწევრიანი ნომინატიური სინტაგმები როგორიცაა მაგ., ნუ უჭუღრა „მე ვსწავლობ“, ნემ რაკიბ „ღეღა მოვიღა“, ღუღუმ უზული საღ „მამა მუშაობს“ არ წარმოგვიღვენენ განსაკუთრებულ სირთულეს. ორწევრიან ნომინატიურ წინაღღების წევრთა ურთიერთობა ვღინღება კლასოვან-პიროვან პრეფიქსულ-სუფიქსურ (ნუ ~~ღ~~-უჭუღრა), კლასოვან პრეფიქსულ (ნემ რ-აკიბ) ღა კლასოვან პრეფიქსულ-სუფიქსურ (ღუღუმ ~~ღ~~-უზული-საღ) კოორღინაციებში; მაგ., წინაღღებაში ნუ უჭუღრა („მე ვსწავლობ“) ზმნა-შემასმენელი უჭუღრა ასახავს ქვემღებარის (ნუ „მე) I (მამაკაცი) კლასისა ღა I პირისაღმი კუთვნიღებას (~~ღ~~-უჭუღრა);

კერძოდ, კლასისადმი კუთვნილებას გამოხატავს ნულოვანი პრეფიქსი (**Ø-**), ხოლო პირისადმი კუთვნილებას – სუფიქსური დაბოლოება (**-რა**). შესაბამისად, ორწევრიან ნომინატიურ წინადადებაში ნუ უჭულრა („მე ვსწავლობ“) წარმოდგენილია კლასოვან-პიროვანი პრეფიქსულ-სუფიქსური კოორდინაცია მასში შემავალი წევრებისა. ასეთი კოორდინაცია დამახასიათებელია მხოლოდ იმ წინადადებებისთვის, რომლებშიც ქვემდებარე (რეალური სუბიექტი) წარმოდგენილია I და II პირის ნაცვალსახელებით (ნუ „მე“, ნუშა „ჩვენ“, ჰუ „შენ“, ჰუშა „თქვენ“). წინადადებაში ნემ რაკიბ („ლელა მოვიდა“) ზმნა-შემასმენელი რაკიბ („მოვიდა“) ასახავს ქვემდებარის (რეალური სუბიექტის) II ქალის კლასისადმი კუთვნილებას პრეფიქსული **რ-** კლასის ნიშნის მეშვეობით. ამ წინადადებაში არ გვაქვს წევრთა სუფიქსური კოორდინაცია – არც კლასოვანი და არც პიროვანი. შესაბამისად, აქ საქმე გვაქვს კლასოვან პრეფიქსულ კოორდინაციასთან ქვემდებარესა და შემასმენელს შორის. ასეთი კოორდინაცია დამახასიათებელია III პირისთვის ყველა დროში, გარდა აწმყო-კონკრეტულის ანალიზური ფორმებისა. წინადადებებში, რომლებშიც ზმნა-შემასმენელი წარმოდგენილია აწმყო-კონკრეტული დროის ანალიზური ფორმით, ქვემდებარის კუთვნილება კლასისადმი გამოიხატება პრეფიქსითა და სუფიქსით, მაგ., ღელემ უზული სად „მამა მუშაობს“. ამ წინადადებაში ანალიზურ ზმნა-შემასმენელს (უზული სად „მუშაობს“) აქვს ორმხრივი შეთანხმება ქვემდებარესთან (ღელემ „მამა“). ზმნის აბსოლუტივის ფორმა (უზული) კლასში ეთანხმება ქვემდებარეს პრეფიქსულად (**Ø-უზული**), ხოლო მეშველი ზმნა (სად) – სუფიქსურად. შესაბამისად, ნომინატიურ ორწევრიან წინადადებაში III პირის ფორმით წარმოდგენილი ანალიზური ზმნა-შემასმენლის სახით გვაქვს პრეფიქსულ-სუფიქსური კლასოვანი შეთანხმება შემასმენლისა ქვემდებარესთან.

ორმხრივი პრეფიქსულ-სუფიქსური, კლასოვან-პიროვანი, ობიექტურ-სუბიექტური შეთანხმება დარგუულში წარმოდგენილია მხოლოდ ორი კომბინაციით:

ნუნი ით-RO.nom. **ჟ-ალხულ-რა**

„მე მას (ზედმიწ. „იგი“) ვკვებავ“

ჰუნი ით-RO.nom. **ჟ-ალხულ-რი**

„შენ მას (ზედმიწ. „იგი“) კვებავ“

სადაც **ჟ-** პრეფიქსის სახით ზმნა-შემასმენელში ასახულია რეალური ობიექტის („იგი“) კლასი, ხოლო ამავე ზმნის სუფიქსებიდან **-რა** გამოხატავს I პირს („მე“) და **-რი** – მეორე პირს („შენ“) მოქმედი სუბიექტისა.

მაგრამ ქვემოთ მოცემული პარადიგმის შვიდ კომბინაციაში წარმოდგენილია ცალმხრივი პრეფიქსულ-სუფიქსური შეთანხმება ზმნა შემასმენლისა სამოქმელო ობიექტთან (რეალურ ობიექტთან). ამასთან, ექვს მათგანში შეთანხმება კლასოვან-პიროვანია და მხოლოდ ერთში – ოდენ კლასოვანი; კერძოდ, ზმნა-შემასმენელში არ აისახება III პირი (არც სუბიექტის, არც ობიექტის) და წარმოდგენილია მხოლოდ რეალური ობიექტის კლასი:

ნუნი ნუ-RO.nom. ჟ-ალხულ-რა

„მე ჩემ თავს (ზედმიწ. „მე“) ვკვებავ“

ჰუნი ნუ-RO.nom. ჟ-ალხულ-რა

„შენ მე მკვებავ“

ნუნი ჰუ-RO.nom. ჟ-ალხულ-რი

„მე შენ გკვებავ“

ჰუნი ჰუ-RO.nom. ჟ-ალხულ-რი

„შენ შენს თავს (ზედმიწ. „შენ“) კვებავ“

ითინი ნუ-RO.nom. ჟ-ალხულ-რა

„იგი მე მკვებავს“

ითინი ჰუ-RO.nom. ჟ-ალხულ-რი

„იგი შენ გკვებავს“

ითინი ით-RO.nom. ჟ-ალხული სად

„იგი მას (ზედმიწ. „იგი“) კვებავს“

ღარგუულ ენაში რეალური სუბიექტი გარდამავალ ზმნასთან დაისმის ყოველთვის **ერგატივში** (მისი ნიშნებია **-ნი, -ლი**):

ნუნი-RS.erg. ყაწ ბურქუნრა „მე პური შევჭამე“, ნუნი-RS.erg. წამი ცადილეულა „მე ცეცხლს (ზედმიწ. „ცეცხლი“) ვანთებ“, ნუნი-RS.erg ჰჟი დაღჟულა „მე თესლს (ზედმიწ. „თესლი“) ვთესავ“, ღურჰალი-RS.erg. მამა ბუკული სად „ბავშვი (ზედმიწ. „ბავშვმა“) ძუძუს (ზედმიწ. „ძუძუ“) წოვს“, რურსილი-RS.erg. ცურჰალა ღუსული სარი „გოგო (ზედმიწ. „გოგომ“) აბრეშუმს (ზედმიწ. „აბრეშუმი“)

ქსოვს“, ნუნი-RS.erg. შინ ღურჟირა „მე წყალს (ზედმიწ. „წყალი“) ვსვამ“, ნუნი-RS.erg. თაბთარ ბელჭუნრა „მე წიგნს (ზედმიწ. „წიგნი“) ვკითხულობ“, ლუდეშლი-RS.erg. ნუ უითირა „მამამ მე მცემა“...

ლაკური ენისათვის დამახასიათებელი თავისებურება, არაერთ სხვა ნახურ დაღესტნურ ენათაგან განსხვავებით, როგორც ცნობილია, არის ის, რომ ერგატივის ფუნქციას აქ ასრულებს ნათესაობითი ბრუნვა, რომლის ნიშანია -ლ, მაგ., ორჭალ ჩაღარ ჩივჩუნნი „ბიჭმა წერილი დაწერა“, შღრ. გარღუევალ ზმნასთან: ორჭ ლავგუნა „ბიჭი წავიდა“.

ღარგულისგან განსხვავებით, ლაკურ ენაში რეალური სუბიექტი, თუ იგი გამოხატულია I და II პირის ნაცვალსახელებით, გარღმავალ ზმნა-შემასმენელთანაც გაუფორმებელი ფუძის სახით (ბრუნვის ნიშნის გარეშე) იქნება წარმოდგენილი ისევე, როგორც გარღუევალ ზმნებთან, ანუ ამ შემთხვევაში I და II პირის ნაცვალსახელებში ნომინატიური ბრუნვა (resp. აბსოლუტივი) ითავსებს ერგატივის ფუნქციასაც. შესაბამისად, ლაკურში გარღმავალ ზმნა-შემასმენელთან ერთ წინადადებაში შეიძლება გვექონდეს ორი სახელობითი ბრუნვა (ნომინატივი): მოქმელი სუბიექტის (რეალური სუბიექტის) ნომინატივი და სამოქმედო ობიექტის (რეალური ობიექტის) ნომინატივი. რომელი ნომინატივია მოქმელი სუბიექტი და რომელი სამოქმედო ობიექტი, ეს შეიძლება განისაზღვროს ორგვარად: წინადადებაში მათი ადგილის მიხედვით და ზმნა-შემასმენელთან შეთანხმების ხასიათით. წინადადებაში პირველ ადგილას, ჩვეულებრივ, დაისმის ხოლმე მოქმელი სუბიექტი, ხოლო მის მომდევნოდ – სამოქმედო ობიექტი. ზმნა-შემასმენელში აისახება ნომინატივში დასმული მოქმელი სუბიექტის პირი სუფიქსის სახით, ხოლო პრეფიქსის სახით იმავე ზმნა-შემასმენელში აისახულია სამოქმედო ობიექტის (ასევე ნომინატივში დასმულის) კლასი. მაგალითად:

ნა (RS.nom) ინა (RO.nom.I კლ.) **ღ-ათაბა-რა**

„მე შენ (კაცო) გცემ“

ნა (RS.nom) თა (RO.nom.I კლ.) **ღ-ათაბა-რა**

„მე მას (კაცს) ვცემ“

ინა (RS.nom) ნა (RO.nom.I კლ.) **ღ-ათაბა-რა**

„შენ მე (კაცს) მცემ“

ინა (RS.nom) თა (RO.nom.I კლ.) **ღ-ათაბა-რა**

„შენ მას (კაცს) სცემ“

ნა (RS.nom) ინა (RO.nom.II კლ.) დ-ათაა-რა

„მე შენ (ქალო) გცემ“

ნა (RS.nom) თა (RO.nom.II კლ.) დ-ათაა-რა

„მე მას (ქალს) ვცემ“

ინა (RS.nom) ნა (RO.nom.II კლ.) დ-ათაა-რა

„შენ მე (ქალს) მცემ“

ინა (RS.nom) თა (RO.nom.II კლ.) დ-ათაა-რა

„შენ მას (ქალს) სცემ“

ნა (RS.nom) ინა (RO.nom.III კლ.) ბ-ათაა-რა

„მე შენ (გოგოვ) გცემ“

ნა (RS.nom) თა (RO.nom.III კლ.) ბ-ათაა-რა

„მე მას (გოგოს) ვცემ“

ინა (RS.nom) ნა (RO.nom.III კლ.) ბ-ათაა-რა

„შენ მე (გოგოს) მცემ“

ინა (RS.nom) თა (RO.nom.III კლ.) ბ-ათაა-რა

„შენ მას (გოგოს) სცემ“

I და II პირის ნაცვალსახელთაგან განსხვავებით, III პირის ნაცვალსახელით გამოხატული მოქმედი სუბიექტი (რეალური სუბიექტი) გარდამავალ ზმნა-შემასმენელთან ყოველთვის დაისმის ნათესაობით ბრუნვაში, რომელიც გარდამავალ ზმნებთან გვევლინება ერგატივის ფუნქციით. როდესაც წინადადებაში III პირის ნაცვალსახელია გამოყენებული ქვემდებარედ (ნათესაობითი ბრუნვის ფორმით), გარდამავალი ანალიზური ზმნა-შემასმენელი მას ეთანხმება სხვაგვარად, ვიდრე ორგანული ზმნა-შემასმენელი და ეს დამოკიდებულია სამოქმედო ობიექტის (რომელიც, როგორც წესი, ნომინატივშია) პირზე. აღსანიშნავია, რომ ანალიზურ გარდამავალ ზმნა-შემასმენელს აქვს ორგვარი კლასოვანი შეთანხმება: ცალმხრივი პრეფიქსულ-სუფიქსური და ორმხრივი პრეფიქსულ-სუფიქსური. თუ რეალური სუბიექტის მოქმედება მიმართულია I-სა და II პირებზე, მაშინ ანალიზური ზმნა-შემასმენელი პრეფიქსულად და სუფიქსურად კლასში ეთანხმება

სამოქმედო ობიექტს (რეალურ ობიექტს), ხოლო III პირის მოქმედ სუბიექტს (რეალურ სუბიექტს) არ გააჩნია არც პრეფიქსული და არც სუფიქსური შეთანხმება ზმნა-შემასმენელთან:

თანაღ (I კლ.) ნა (I კლ.) **ფ**-ათლად **ფ**-ურა

„იგი (კაცი) მე (კაცს) მცემს“

თანაღ (I კლ.) ნა (II კლ.) **ღ**-ათლად **ღ**-ურა

„იგი (კაცი) მე (ქალს) მცემს“

თანაღ (I კლ.) ნა (III კლ.) **ბ**-ათლად **ბ**-ურა

„იგი (კაცი) მე (გოგოს) მცემს“

თანაღ (I კლ.) ინა (I კლ.) **ფ**-ათლად **ფ**-ურა

„იგი (კაცი) შენ(კაცს) გცემს“

თანაღ (I კლ.) ინა (II კლ.) **ღ**-ათლად **ღ**-ურა

„იგი (კაცი) შენ (ქალს) გცემს“

თანაღ (I კლ.) ინა (III კლ.) **ბ**-ათლად **ბ**-ურა

„იგი (კაცი) შენ (გოგოს) გცემს“

თუ რეალური სუბიექტის მოქმედება მიმართულია III პირზე, მაშინ ანალიზური ზმნა-შემასმენელი ორგვარი შეთანხმებისა კლასის მიხედვით: ერთ შემთხვევაში იგი პრეფიქსულად და სუფიქსურად კლასში ეთანხმება სამოქმედო ობიექტს:

თანაღ (I კლ.) თა (I კლ.) **ფ**-ათლად **ფ**-ურ

„იგი (კაცი) მას (კაცს) სცემს“

თანაღ (I კლ.) თა (II კლ.) **ღ**-ათლად **ღ**-ურ

„იგი (კაცი) მას (ქალს) სცემს“

თანაღ (I კლ.) თა (III კლ.) **ბ**-ათლად **ბ**-ურ

„იგი (კაცი) მას (ცხენს, ძაღლს, ხარს, გოგოს...) სცემს“

ხოლო მეორე შემთხვევაში პრეფიქსულად ეთანხმება კლასში სამოქმედო ობიექტს (რეალურ ობიექტს), ხოლო სუფიქსურად კლასში ეთანხმება მოქმედ სუბიექტს (რეალურ სუბიექტს):

თანალ (I კლ.) თა (I კლ.) ~~ფ~~-ათლა ~~ფ~~-ურ

„იგი (კაცი) მას (კაცს) სცემს“

თანალ (I კლ.) თა (II კლ.) ~~დ~~-ათლა ~~ფ~~-ურ

„იგი (კაცი) მას (ქალს) სცემს“

თანალ (I კლ.) თა (III კლ.) ~~ბ~~-ათლა ~~ფ~~-ურ

„იგი (კაცი) მას (ცხენს, ძაღლს, ხარს, გოგოს...) სცემს“

ლატივი (მიცემითი) ლაკურ და ღარგუულ ენებში გარდამავალ ზმნებთან გამოხატავს ირიბ ობიექტს ისევე როგორც სხვა დალესტურ ენებსა და ქართველურ ენებში, მაგ., ლაკ. ნა თანან-dat. არცუ ღულავ „მე მას ფული მივეცი“, თაუნ-dat. თანალ ქუმაგ ბუნვა „მე (მიც.) მან დახმარება გამიწია“...

გარდა ამისა, მიცემითი ბრუნვის მეშვეობით ლაკურ და ღარგუულ ენებში აიგება წინადადების ე.წ. ლატიური კონსტრუქცია გრძობა-აღქმის გამომხატველ ზმნებთან (*verba sentiendi*), რაც ნიშანდობლივი მოვლენაა არა მარტო ნახურ-დალესტური და, საერთოდ, კავკასიური ენებისათვის, არამედ მსოფლიოს არაერთი სხვა ენისთვისაც (გავრცელებულია, მაგალითად, ინდოევროპულ ენათა სხვადასხვა ჯგუფებში). დალესტურ ენებში ასეთ ზმნებს წარმოადგენენ „სიყვარულის“, „მოწონების“, „ნდობის“, „ხედვის“, „სმენის“ და, აგრეთვე, „ცოდნის“ სემანტიკის მქონე ზმნები. ასეთი ზმნების შემცველ წინადადებებში რეალური სუბიექტი, როგორც წესი, მიცემითშია, ხოლო ობიექტი სახელობითში დაისმის. მაგალითად: ლაკ. ჟუნ-dat. ვათან-nom. ხაირასარ „ჩვენ სამშობლო გვიყვარს“, თაუნ-dat. ინა-nom. ხაირარა „მე შენ მიყვარხარ“, თანან-dat. ღერა ბივზუნნი „მას მოუნდა“, ორჭან-dat. ბურხ-nom. ხაალ ხუნნი „ბიჭმა (ზედმიწ. „ბიჭს“) კურდღელი დაინახა“... ღარგ. ნაბ-dat. ით-nom. დიგულრა „მე იგი მიყვარს“, ითის-dat. ნუ-nom. დიგულრა „მას მე ვუყვარვარ“, ნაბ-dat. ით-nom. არლიბრა „მე (მიც.) იგი დავინახე“, ნაბ-dat. ბალას „მე (მიც.) ვიცი“ და სხვა.

ნათესაობითი ლაკურ ენაში ორგვარი ფუნქციისაა: ა) გამოხატავს კუთვნილებას და ატრიბუტივის (სუბსტანტიური მსაზღვრელის) ფუნქციას სძენს სახელს: უსილ ვათა „ძმის სახლი“, თაულ ყაფა „ჩემი ქული“... ბ) გვეკვლინება რეალური სუბიექტის ბრუნვად (ერგატივის ფუნქციით) გარდამავალ ზმნებთან: თანალ ჩადარ ჩივჩუნნი „მან წერილი დაწერა“, ღუმნილ ლუ ბუეკუნნი „გოგომ წიგნი წაიკითხა“...

დარგულ ენაშიც ნათესაობითი ბრუნვით გამოიხატება კუთვნილება და აიგება სუბსტანტიური მსაზღვრელი, ხოლო ერგატივის ნიშნად ამ ენას საკუთარი ფორმანტი მოეპოვება და ნათესაობითის გამოყენებას ერგატივის ფუნქციით არ საჭიროებს. არაერთი სხვა დალესტნური ენის მსგავსად, დარგულში არ მოიპოვება „ქონა-ყოლის“ აღმნიშვნელი ზმნები და შესაბამისი შინაარსი ამ ენაში გადმოიცემა წინადადების ნათესაობითიანი (პოსესიური) კონსტრუქციის მეშვეობით: ღილა-RS ჟუზ-RO ლებ „მე წიგნი მაქვს“, ზედმიწ. „ჩემი წიგნი არის“, ანუ მეშველ ზმნა-შემასმენელთან (ლებ „არის“) რეალური სუბიექტი დასმულია ნათესაობით ბრუნვაში (ნათ. ღილა „ჩემი“, სახ. ნუ „მე“).

დარგულისგან განსხვავებული ვითარებაა ამ მხრივ ლაკურში, სადაც „ქონა-ყოლის“ შინაარსის გადმოსაცემად რეალური სუბიექტი მეშველ ზმნა-შემასმენელთან (ბ-ურ „არის“) დაისმის არა ნათესაობით, არამედ V სერიის ლოკატიურ (ადგილობით) ბრუნვაში: თაუჭა-RS ლუ-RO ბურ „მე წიგნი მაქვს“, ზედმიწ. „ჩემთან წიგნი არის“; თანაჭა-RS წაუსა ვათაა-RO ბურ „მას ახალი სახლი აქვს“, ზედმიწ. „მასთან ახალი სახლი არის“ (ლოკატ. თა-ნა-ჭა „მასთან“, სახ. თა „იგი“) და სხვ. ლაკურის ვითარება ანალოგიურია ნახური ენებისა, რომლებშიც მეშველი ზმნა ასევე ლოკატიურ კონსტრუქციას ქმნის, თუ იგი „ქონა-ყოლას“ გამოხატავს, მაგ., ჩენწ. ცუნგაპ-RS გოურ-RO დუ „მას ცხენი ჰყავს“, ზედმიწ. „მასთან ცხენი არის“, განსხვავებით დალესტნურ ენათა დიდი ნაწილისგან, რომელთათვისაც სწორედ ნათესაობითიანი კონსტრუქციაა ნიშანდობლივი პოსესიურობის გამოსახატავად.

ამრიგად, ნახურ დალესტნურ წინადადება ავლენს მკაფიო სტრუქტურას, რომელშიც ცენტრს წარმოადგენს ზმნა. წინადადების ერგატიულ კონსტრუქციაში რეალური სუბიექტი (ქვემდებარე) გაფორმებულია ერგატიული ან ნათესაობითი ბრუნვის ნიშნით, ხოლო რეალური ობიექტი (პირდაპირი დამატება) წარმოდგენილია ნომინატივის (გაუფორმებელი ფუძის) სახით. ნომინატიურ (აბსოლუტივიან) კონსტრუქციაში რეალურ სუბიექტი (ქვემდებარე) წარმოდგენილია ნომინატივის (გაუფორმებელი ფუძის) სახით. აფექტურ კონსტრუქციაში რეალური სუბიექტი დაირთავს მიცემითის ან ლოკატივის ნიშანს, ხოლო ობიექტი წარმოდგენილია ნომინატივის სახით. პოსესიურ კონსტრუქციაში რეალური სუბიექტი ნათესაობით ან ლოკატიურ ბრუნვაში დაისმის, ხოლო ობიექტი გვეკვლინება ნომინატივის სახით. ლაკურ და დარგულ ენებში არსებული ყველა ეს სინტაქსური კონსტრუქცია მეტ-ნაკლებად ნიშანდობლივია დანარჩენი დალესტნური ენებისთვისაც, რაც ამ ენათა ისტორიული განვითარების ერთგვაროვნებაზე მიანიშნებს.

4. ატრიბუტული და პრედიკატული სინტაგმები და მათ წევრთა წყობის საკითხები;

სინტაქსური კონსტრუქციები ლეზგიურ ენებში

I. ატრიბუტული სინტაგმა და მისი წევრთა წყობის საკითხები

ატრიბუტული სინტაგმა სახელურ შესიტყვებას წარმოადგენს. ეს შესიტყვება საზღვრულია და მსაზღვრელიაგან შედგება. მსაზღვრელი საზღვრულის რაიმე ნიშანზე, თვისებაზე მიუთითებს, განსაზღვრავს მას. საზღვრული ყოველთვის არსებითი სახელია, ან მასთან გათანაბრებული, გასუბსტანტივიებული სახელი, ხოლო მსაზღვრელად შეიძლება გვექონდეს ნათესაობით ბრუნვაში დასმული არსებითი სახელი ან სხვადასხვა ადიექტივი (ზეღსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, მიმღობა, ნაცვალსახელი).

ლეზგიური ენებისათვის, იშვიათი გამონაკლისის გარდა, დამახასიათებელია ფორმაუცვლელი მსაზღვრელი, ანუ მსაზღვრული არ იბრუნვის და, მაშასადამე, არ ეთანხმება საზღვრულს ბრუნვასა და რიცხვში, მაგ. უდ.:

მხ. რიცხვი

მრ. რიცხვი

სახ. ქალა ხოდ „დიდი ხე“

სახ. ქალა ხოდ-რუხ

ერგ. ქალა ხოდ-ენ

ერგ. ქალა ხოდ-როლ-ონ

ნათ. ქალა ხოდ-დად

ნათ. ქალა ხოდ-როლ-ო[დ]

მიც. ქალა ხოდ-და[ხ]

მიც. ქალა ხოდ-როლ-ო[ხ]

აბლ. ქალა ხოდ-დახო

აბლ. ქალა ხოდ-როლ-ოხო

კომიტ. ქალა ხოდ-დახოლ[ან]

კომიტ. ქალა ხოდ-როლ-ოხოლ[ან]

ადეს. ქალა ხოდ-დასტა

ადეს. ქალა ხოდ-როლ-ოსტა

ალატ. ქალა ხოდ-დაჭ

ალატ. ქალა ხოდ-როლ-ოჭ

სუპერ. ქალა ხოდ-დალ

სუპერ. ქალა ხოდ-როლ-ოლ

ბენეფ. ქალა ხოდ-ენკ[ენა]

ბენეფ. ქალა ხოდ-როლ-ონკ[ენა]

მსაზღვრელი, როგორც წესი, დაისმის საზღვრულის წინ, თუმცა ზოგჯერ პოსტპოზიციური წყობაც შეიძლება გვქონდეს. ასეთ შემთხვევაში მსაზღვრელი ზოგჯერ ეთანხმება რიცხვში საზღვრულს, ხოლო ბრუნვაში შეთანხმება არც მაშინ დასტურდება, მაგ. უდ.:

ადამარ-უხ არ-ც-ი-ო-რ ბუნიყუნ-ა ა=ყო=კ-ე ქალა ხაშ

ადამიანი-PL დამსხდარი-LV-AOP-NA-PL ბნელი-DAT ხილვა=3PI=ST-PERF
დიდი ნათელი

„ადამიანებმა დამსხდართა ბნელში იხილეს დიდი ნათელი“ (მთ. 4, 16)...

აღსანიშნავია, რომ პოსტპოზიციური წყობა საკვლევ ენებში იშვიათ შემთხვევებში დასტურდება.

ამას გარდა, საერთოლენგუური მდგომარეობისათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი ის, რომ მსაზღვრელი გადმოსცემდა საზღვრულის კლასს. მსაზღვრელი საზღვრულისაგან კლასში იმართებოდა ოდენ მხოლოდობით რიცხვში და ასეთი მდგომარეობა დღესაც დასტურდება იმ ლენგუურ ენებში, რომელთაც გრამატიკული კლას-კატეგორია შემორჩა.

როგორც აღინიშნა, ხშირია შემთხვევები საზღვრულის მიერ მსაზღვრულის მართვისა ნათესაობით ბრუნვაში. გენეტივფორმიანი არსებითი სახელით გამოხატული განსაზღვრება გადმოსცემს:

კუთვნილებას: ლეზგ. სიკრენ ტეკუენ „მელიის სორო“, თაბ. ბაბან შალ „დედის შალი“, აღ. კუენშიდინ თულა „მეზობლის ძაღლი“, არჩ. დიჰან ნოტ „მამის სახლი“, კრიწ. შიფ თაჰაზ „ძმის ფაფახი“, უდ. უდინ მუზ „უდიური ენა“ (ზედმიწ. „უდის ენა“)...

მასალას: ლეზგ. წაურენ ქაჰარ „სპილენძის ღოქი“, თაბ. ლუანდინ ხულარ „ქვის სახლი“, აღ. კურანინ ყას „ხის საწოლი“, არჩ. ლაცუთაენ ბალიჟა „რკინის რკალი“, კენაჯ ჯოვ „ხის ხიდი“, უდ. ღურუტუნ კოჯ „ხის სახლი“...

მსაზღვრელს, რომლის საზღვრულია მსაზღვრელის ნაწილი (ურთიერთობა „მთლიანი-ნაწილი“): ლეზ. თაარცაინ ფაუნ „ხის ფესვი“, თაბ. სთულის ლიქ „სკამის ფეხი“, აღ. წარმარინ დარშა „ურმის თვალი“, არჩ. ხაშნან ხალაწი „პერანგის სახელო“, კრიწ. ბეჰრანშაჰი ხალხაჯ „id“...

კრებიტის შედგენილობას: ლეზ. ინსანრინ კაპალ „ადამიანთა ბრბო“, თაბ. ნაღლარინ ლჷარჩ „ზღაპრების კრებული“, არჩ. ნოწორჩენ ხან „ფრინველთა გუნდი“, კრიწ. ლაჰარბე თუფა „ქვეების გროვა“...

სივრცის განსაზღვრებას: ლეზ. სუვან ცუქქერ „მთის ყვავილი“, თაბ. ლულან ლუხთირ „სოფლის ექიმი“, არჩ. ხუჯელინ ხელექუ „ტყის ქათამი“...

დროის განსაზღვრებას: ლეზ. დიქენ ახუარ „ლამის სიზმარი“...

განსაზღვრებითი ურთიერთობებს: ლეზ. იჩინ თაარ „ვაშლის ხე“, არჩ. ლაცუთაენ უსთა „მჭედელი“ (ზედმიწ. „რკინის ოსტატი“)...

ადიექტიურ მსაზღვრელს, როგორც უკვე აღინიშნა, მიეკუთვნება ზედსართავი სახელი, ნაცვალსახელი, რიცხვითი სახელი ან მიძლეობა. უნდა აღინიშნოს, რომ რიცხვითი სახელი და სიმრავლის აღმნიშვნელი სიტყვები ჩვეულებრივ არ ითანხმებს საზღვრულს მრავლობით რიცხვში, მაგ., სამალულჯი დაღჯვარ ღე-რ აღმი ვა-რ-ღედ „საწყობიდან ხუთი ადამიანი გამოვიდა“.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ლეზგიურ ენებში დასტურდება თავისებური შესიტყვების მოდელი, რომელშიც რიცხვითი სახელები გამოიყენება ისეთ არსებით სახელებთან, რომელთა დათვლაც შეუძლებელია (რიცხვითი სახელი + ნუმერატივი + არსებითი სახელი, რომლის დათვლა შეუძლებელია), მაგ., სჰბ ისთჰან ხჰდ „ერთი ჭიქა წყალი“. ეს კონტრუქცია ნასესხები ჩანს (შდრ. აზ. ბირ ჭინჯან სუ „id.“). ამოსავალ მოდელად აქაც უნდა მოვიჩინოთ ატრიბუტული სინტაგმა გენეტივფორმიანი მსაზღვრელით, მაგ., არჩ. ლჷნენენ ისთაჰან „ჭიქა წყალი“ (ზედმიწ. „წყლის ჭიქა“).

II. პრედიკატული სინტაგმა და მისი წევრთა წყობის საკითხები

პრედიკატული სინტაგმა შედგება პრედიკატისაგან (შემასმენელი) და სუბიექტისაგან (ქვემდებარე): შემასმენელი და ქვემდებარე პრედიკატული სინტაგმის მთავარი წევრებია; მათ გარდა შეიძლება სხვა წევრებიც გვქონდეს, ესენია: დამატება (პირდაპირი და ირიბი), განსაზღვრება და გარემოება (ადგილისა, დროისა, ვითარებისა, მიზნისა და მიზეზისა). ლეზგიურ ენებში ყველაზე გავრცელებულია პრედიკატული

სინტაგმის შემდეგი წყობა: ქვემდებარე – დამატება – შემასმენელი. ზოგიერთ ენაში ასეთი განლაგება სავალდებულოც კი არის.

შემასმენელი: შემასმენელი ლეზგიურ ენებში გამოინატება, როგორც წესი, ზმნის პირიანი ფორმით, თუმცა ნაზმნარსახელიანი კონსტრუქციებიც დასტურდება, ანუ შემასმენლის ფუნქციით ზოგჯერ გამოდის ნაზმნარი სახელი – მიმღება და აბსოლუტივი. აღსანიშნავია, რომ ამ კონსტრუქციებში ნაზმნარი სახელი ისევე მართავს ქვემდებარესა და დამატებას ბრუნვაში, როგორც ზმნის პირიანი ფორმა.

სინტაქსურ კონსტრუქციათა საკითხი გადაჯაჭვულია ზმნის გარდამავლობა-გარდაუვალობის საკითხთან. სწორედ შემასმენლის ტიპი განსაზღვრავს პრედიკატული სინტაგმის კონსტრუქციას: გარდაუვალ ზმნასთან გვექნება აბსოლუტური (ნომინატიური) კონსტრუქცია, გარდამავალთან – ერგატიული, ხოლო გრძნობა-აქმის სემანტიკის გამომსატველ ზმნებთან – დატიური (აფექტური). ასეთი ვითარება ყველა ლეზგიურ ენაში დასტურდება და, ბუნებრივია, სავალდებულოა საერთოლეზგიური ქრონოლოგიური ღონისათვის.

ზმნურ ლექსემათა დიდი ნაწილი მიეკუთვნება ან გარდამავალ, ანდა გარდაუვალ ზმნებს, თუმცა ლეზგიურ ენებში დასტურდება არაერთი ლაბილური (დიფუზური) ზმნა, რომელსაც ფორმის შეუცვლელად შეუძლია მოგვევლინოს როგორც გარდამავლად, ისე გარდაუვლად. ასე, მაგალითად, ლეზგიურში ასეთ ზმნათა რიცხვს მიეკუთვნება ყინ „მოკვდობა“, „მოკვდინება“, ხუნ „გატყდობა“, „გატყვება“, „შობა“, „დაბადება“, ჩაურუნ „ცხობა“, „გამოცხობა“, ქაუნ „წვა“, „ლაწვა“, ყურუნ „ხმობა“, „შრობა“, ატუნ „წყვეტა“, „გაწყვეტა“, რუგუნ „ლულილი“, „ალულება“, ვაზუნუნ „დახევა“ [გაჯიევი 1954: 98-100].

არჩიბულში 23 ლაბილური ზმნა დასტურდება [კიბრიკი და სხვ. 1977, I: 75-76], მათ შორის: აკას „ჩამოტყვება“, „გარეკვა“, ავას „გატყვება“, ას „შექმნა“, ახას „გალესვა“, „გაჭუჭყიანება“, ეცას „ტირილი“ (გულამოსკენილი), „დასხმა“, ეხას „დარჩენა“, „დავარცხნა“, ელას „წოლა“, „დადება“, გერქიგ-ბოს „რწევა“, „დაკიდება“, გუყყას „შეგროვება“, „გამზადება“, ჰარშ-ბოს „ლულილი“, „ალულება“, ლურ-ბოს „ხეხვა“, „გახეხვა“, ოლას „ყიღვა“, „გაყიღვა“, ოყას „დახრჩობა“, „ყლაპვა“, ყას „დაყოფა“, „გაყოფა“, საას „მოხვედრა“, „შეხება“, საუბუს „ხარშვა“, „მოხარშვა“, ცახას „გარღვა“, „სროლა“, წურ-ბოს „წუხილი“ (ტკივილისაგან), „გაწუწუნა“, ჩარას „ცხობა“, „გამოცხობა“, „წვა“, „შეწვა“, ჩუარდ-ბოს „გადასხმა“, უქას „წვა“, „ლაწვა“, ხაშას „დახევა“, „გახეხვა“.

როგორც მ. ალექსეევი ვარაუდობს, გარდამავლობისა და გარდაუვალობის შეთავსება ლეზბიურ ენებში აღინიშნება იმ ზმნებში, რომლებიც შემდეგი საერთოლეზბიური ლექსემებისაგან მომდინარეობს [ალექსეევი 1985: 132]: *ცოქჲ „წვა“, „დაწვა“, *ცორლჲარ „ხარშვა“, „მონარშვა“, „ლეული“, „აღლება“, *იჩარ „წვა“, „შეწვა“, *ციხა „შობა“, „დაბაღება“, ციტჲ „მოკვდომა“, „მოკვდინება“ და ზოგიერთი სხვა.

ვფიქრობთ, რომ საერთოლეზბიურში ლაბილური ზმნების რიცხვი დიდი უნდა ყოფილიყო. ამის შესახებ მეტყველებს ის ფაქტი, რომ ლეზბიურ ენათა შორის დადასტურდება იზოლექსები, რომლებშიც გაერთიანებულია როგორც გარდამავალი, ისე გარდაუვალი ზმნური ფორმები, მაგ.:

წახ. გითიგანას : კრიწ. წვენიჯ „გაცურება“ ~ ლეზგ. ჭუგუას : თაბ. ზიგუხ : აღ. დიუას (თფილ.) : არჩ. ლ'უმბუს : კრიწ. დიგნიჯ : ბუდ. დუნუ „გაწევა“, „გაჭიძვა“;

ლეზგ. ალციფიხ „დალექვა“ (წყალზე ითქმის) ~ აღ. წუფიხ „წოვა“ : წახ. გეწერახუას „გაცრა“;

უდ. არცესუნ „ჯღომა“, „დაჯღომა“ ~ თაბ. ურსუხ „დასმა“;

თაბ. უტუყუხ „დასმა“ ~ ლეზგ. აცუყიხ : აღ. იყუას : რუთ. სუეყუას : არჩ. ოყის : ბუდ. ალყოლ „ჯღომა“, „დაჯღომა“;

წახ. აღჩკარას „ტრიალი“ ~ თაბ. არკუხ „გაფრტყელება“ (ცომის) : რუთ. გუერკას „შეხვევა“;

არჩ. ჩაჰ-ბოს „დინება“, ჩაჰარ „დასველება“ (სველად ყოფნა) : აბხ. აჯ „გაჭუჭყიანება“ ~ ლეზგ. ჩუხუხ „რეცხვა“ : ქჩაჰუხ „წასმა“, „ფხეკა“;

აღ. ალლარქას „წაქცევა“ : უდ. საქსუნ „წაქცევა“, „ჩამოვარდნა“ ~ თაბ. აღლაქუხ : წახ. ჰილაქარას : არჩ. ებქას : ბუდ. ჰასქი „დაცემა“...

ასეთი სემანტიკური რყევები ადვილად აიხსნება, თუ ვივარაუდებთ ამ ზმნური ლექსემების თავდაპირველ ლაბილურობას და შემდგომ ლექსიკალიზაციას გარდამავალი ან გარდაუვალი მნიშვნელობისა.

ქვემდებარე: ყველა ლეზბიურ ენაში რეალური სუბიექტი სამი ბრუნვის ფორმითაა გადმოცემული, ესენია: აბსოლუტივი (სახელობითი); ერგატივი; მიცემითი. დასტურდება სუბიექტი ნათესაობითში და, აგრეთვე, ლოკატიური ბრუნვების ფორმით.

აბსოლუტივი – აბსოლუტივის ფორმით გადმოცემულია გარდაუვალი ზმნის სუბიექტი, მაგ., ლეზგ. ბუბა ქენა „მამა წავიდა“, თაბ. რიშ ჟარლურა „გოგონა მირბის“, წადუქარ ულუბყუ „გაზაფხული დადგა“, აღ. შინიქჲ ითარხუნე „ბავშვი დაავადდა“, რუთ. ხ'ად ლარხერა „წყალი აიმღვრა“, წახ. სანიხ'ა დექ ვარგ

„გუმინ მამა დაბრუნდა“, არჩ. ღია ვირხუინშივი „მამა მუშაობს“, კრიწ. ლიქ უხუარაჯ „მტრელი ლულუნებს“, ბუდ. ვირალ დგხ ვარჭუური „მზე ადრე ამოღის“, უდ. ჩობან ონებბსინ ენესა კუა „მწყემსი ტირილით მოღის შინ [სახლში]“ და სხვ.;

ერგატიული ბრუნვა – მისი ფორმით გადმოცემულია გარდამავალი ზმნის სუბიექტი, მაგ., ლეზგ. ფაფაჟა ქაჟარ ვაჩუნა „ქალმა ღოქი აიღო“, თაბ. ჰურჩაბნი ლუყ ღიბისნუ „მონადირემ არწივი დაჭირა“, აღ. ხაფაჟანდი ხუბ რუქუნე „მეცხვარემ ცხვარი დაკლა“, რუთ. ნინგ დაქ ჰუნ ჟარა „ღელ ხორცს ხარშავს“, წახ. დექე ბალქან ალიჟმუნა „მამამ ცხენი იყიდა“, არჩ. ჰელმი ნაჟუ ჭარ აჟ „წვიმამ მიწა დაასველა“, კრიწ. ჟირარ ხანიდარ ქუტულჯი „კაცმა კამეჩები შეაბა“, ბუდ. სოქულღურ ჯიბჯიბერ საყალჯი „მელიამ წიწილები შეჭამა“...

ერგატივის ფორმა თანაბრად იხმარება ყველა ღრო-კილოს ფორმასთან და ქართულ თარგმანში მას შეესატყვისება ხან მოთხრობითი, ხან სახელობითი, ხოლო ზოგჯერ – მიცემითი ბრუნვაც, შღრ. უდ. ვა^ა ფინე **ისუს-ენ** ბაჩნა კალატუ „და უთხრა **იესომ** ასეულის უფროსს“; შეთაბახტინ-თე ჰარ სო **ბესალ-ტ-ინ** ანეყსა „რადგანაც ყოველი **მთხონელი** (ერგ.) მიიღებს“; **ჩუბღ-ონ** ეკათე იტუბაქსა, ეხნე იშეხ „**ცოლს** (ერგ.) რაც ესმის, ეუბნება ქმარს“...

მიცემითი ბრუნვა – მისი ფორმით გადმოცემულია გრძნობა-აღქმის (Verba Sentiendi) ზმნების რეალური სუბიექტი, მაგ., ლეზგ. რუშაზ ქაჯ აქუნა „გოგონამ კატა დაინახა“, თაბ. შუბარიზ ნიძჟარ ღიღიჯნუ „გოგონებმა ტყის მარწყვი იპოვეს“, აღ. ზუს ვე თაურ ხუდეყ „მე შენი სახელი ვიცი“, რუთ. ხენიძეშის დიმაღლღ ლულჩეს ბალა ჰგვარ „ბავშვებს ვირით გასეირნება ძალიან უყვართ“, წახ. დელის ჯენა ღის ექან „ღელას თავისი ვაჟი უყვარს“, არჩ. ბეზ დამუბ წად ბაქურშიბი „მე ამ თხას ვხედავ“, კრიწ. ზას ხორ ზას ინჯჯი „მე ძაღლის ყეფა გავიგე“, ბუდ. ზგზ ვგნ ინჯითიბი სიყი დიქედღ „შენი შეწუხება არ მინდა“, უდ. მე **ადამარ-ა** ბუტუყსა ჩუბუხ „ამ **ადამიანს** უყვარს ცოლი“...

პირდაპირი დამატება: ერგატიული სისტემა, სხვასთან ერთად, იმასაც გულისხმობს, რომ გარდამავალი ზმნის უახლოესი (პირდაპირი) ობიექტი იმავე ფორმითაა წარმოდგენილი, რითაც გარდაუვალი ზმნის სუბიექტი. ამ მხრივ თითქმის ყველა ლეზგიურ ენაში ერთგვაროვანი მდგომარეობა დასტურდება – პირდაპირი ობიექტი წარმოდგენილია ოდენ აბსოლუტივის ფორმით, ისე როგორც გარდაუვალი ზმნის სუბიექტი. განსხვავებული ვითარება კავკასიის ალბანურსა და უდიურში გვხვდება. უდიურში პაციენსი

აგრეთვე შეიძლება იყოს წარმოდგენილი II მიცემითის (ზოგჯერ – I მიცემითის) ფორმით, ხოლო კავკასიის ალბანურში პირდაპირი ობიექტი გადმოიცემა აკუზატივის ტიპის ბრუნვით (უდიური II დატივის ანალოგი), რომელიც ლოკატივადაც გამოიყენებოდა, მაგ., უდ. ზუ თასსა ქურუფსან ბელ-ნ-უხ ყა ხამ-ნ-უხ „მე მივდივარ საძებნელად მზისა და მთვარისა“, კავკ.-ალბ. ჰეყანე დ[ესუ]სენ პეტროს-ახ უნ იაკობ-ახ უნ იოჰანან-ახ ვიჩი-ეხ ოდა „წაიყვანა იესომ პეტრე და იაკობი და იოანე ძმა მისი“, ქ[რისტო]ს-ენ ბუყანაბი-ად ჰაჭინკ ეკლესია-ახ „როგორც ქრისტემ შეიყვარა ეკლესია“...

ამას გარდა, პირდაპირი ობიექტი უდიურსა და კავკასიის ალბანურში, სხვა ლეზგიური ენების მსგავსად, აბსოლუტივითაც არის წარმოდგენილი. აბსოლუტივი უდიურში გვევლინება პირდაპირ ობიექტად როგორც გარდამავალ ზმნებთან, ისე მიცემით-სუბიექტიან და ნათესაობით-სუბიექტიან ზმნებთანაც, მაგ.:

ელახუნ კიწკე დოლდაშენ თანედე ხიბ თოგინ-ლუ ჟე „წასვლისას პატარა ამხანაგმა მისცა სამი ძვირფასი ქვა“ [გარდამავალი ზმნა];

ზა აზაკსა შელ, ლწხთლუ ფაქ „მე (მიც.) ვხელავ კარგ, ლამაზ ბაღს (აბს.)“ [მიცემით-სუბიექტიანი ზმნა];

კუა ნანად ბოხეცი დადალ-ტა-ბაქსა „სახლში დედას (ნათ.) მოხარშული მამალი აქვს“ [ნათესაობით-სუბიექტიანი ზმნა].

მსგავსი ვითარება კავკასიის ალბანურშიც დასტურდება, მაგ., ბიდად-ყა ჟან ხიბ ტალავარ. სა ვა, სა მუსედს-ა, სა ელიდა „გავაკეთოთ ჩვენ სამი კარავი. ერთი შენ, ერთი მოსეს, ერთი ელიას“...

ირიბი დამატება: ირიბი ობიექტის სხვადასხვა სახეობიდან ლეზგიურ ენებში გავრცელებულია ადრესატული და ინსტრუმენტალური. პირველი, როგორც წესი, დატივის ფორმითაა გადმოცემული, ხოლო მეორე ისტორიულად უნდა ყოფილიყო ერგატივით (ერგატივ-ინსტრუმენტალისით) წარმოდგენილი.

ადრესატის დატივით მარკირების მაგალითებია: ლეზგ. ზა ჩუკულ სთხადიხ განა „მე ძმას დანა მივეცი“, თაბ. დადადი შურაზ ჟაკულ ბალიშ ლაპნუ „დედამ ქალიშვილს თოჯინა აჩუქა“, აღ. ქუნაქ აყე მი ინსანდის „დეხმარე ამ ადამიანს“, კრიწ. გაღწრ შიდიხ ქუ ვუდიჯ „ბიჭმა ძმას პური მისცა“, ზენ ზევეზ სუყალ დევეჯვი „მე შენ კითხვა დაგისვი“, უდ. ჩობანღონ არზყუნბესა ტე ჩობანა „მწყესები საჩივარს მიაართმევენ ამ მწეშის“...

ადრესატად მიიჩნევა გარეგანი ზემოქმედების ობიექტიც: ლეზგ. ალა ვიჩინ თუპუზ რაბ აყადარნა „მან

თითში იჩხვლიტა“, აღ. მი გადადს ს'ადვანინ ლაქ ქირყუნე „ამ ბიჭს ცხენმა წიხლი ამოარტყა“, რუთ. ჰანოვე ზას ლუნ გზგრ „იმან მხარი გამკრა“, კრიწ. ლადირ რიში იჟინჯის კუფ ვუდიჯ „ლეღამ ქალიშვილს სახეზე აკოცა“...

ადრესატი ლეზგიურ ენებში შეიძლება ლოკატივის ფორმითაც იყოს გადმოცემული. ადრესატის მარკირება ლოკატივით აძლევს მას უფრო მეტ კონკრეტულობას, შდრ. კრიწ. პნუ (ლოკ.) ლი ქითაბ მუწუ და პნგზ (მიც.) ლი ქითაბ მუწუ „მას ამ წიგნს ნუ აძლევ“. ამ შემთხვაში, ლოკატივის გამოყენება აყალიბებს უფრო კონკრეტულ მოთხოვნას – „ნუ აძლევ კონკრეტული დროით“.

ინსტრუმენტალური დამატება ლეზგიურ ენებში სხვადასხვაგვარად იწარმოება. აღმოსავლურ-ლეზგიურ ენებში იგი, როგორც წესი, წარმოდგენილია ერთ-ერთი მიმართულებითი ბრუნვის ფორმით, შდრ. ლეზგ. ზა ბუშქაადად ქრუშქააილლი დად ქანა „მე კასრიდან ჭიქით წყალი ამოვიღე“... სხვა ენებში ამ ფუნქციას კომიტატივი ასრულებს: რუთ. ვუნშიდირ ქანტგქუან ნგვ რატურა „მეზობელი დანით პურს ჭრის“, კრიწ. ჰადალჯირ დალარანყუან შუშა ხუალჯჯ „ბავშვმა ქვით შუშა გატეხა“, ბუდ. ჰეჯირ ვედრეჯიზენ ვის ჩულაჯ სუქ ურჯი „ქალმა სათლით წყარო ამღვრია“...

იქიდან გამომდინარე, რომ ეს ფორმები სხვადასხვა წარმოშობისაა, შეიძლება ვივარაუდოთ მათი მეორეულობა. ჩვენი აზრით, თავდაპირველად ინსტრუმენტალური დამატების ფუნქციით ერგატივის (ერგატივ-ინსტრუმენტალისის) ფორმა გვევლინებოდა. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ლეზგიურ ენაში ერგატივი დღესაც არის აღჭურვილი ამ ფუნქციით კომიტატივის პარალელურად, შდრ. რუთ. ვუნშიდირ ქანტგრ (ერგ.) ნგვ რატურა და ვუნშიდირ ქანტგქუან (კომ.) ნგვ რატურა „მეზობელი დანით პურს ჭრის“... შედარებით მცირეა ასეთი მაგალითების რაოდენობა კრიწულში, თუმცა ისინი იქაც დასტურდება, მაგ., ჩუგუნ დითარ ჰაწუ „ქვაბი თაფლით (ერგ.) სავსეა“, მაგრამ: გერექი ჩუხურ ნეყუყყან ჰაწუპრიჯ „საჭიროა მისი მიწით (კომ.) ამოვსება“...

აღსანიშნავია, რომ აღმოსავლურ-ლეზგიურ ენებში ერგატივი დამატების ფუნქციით თითქმის არ გვხვდება, თუმცა თაბასარანული ენის ზოგიერთ თქმაში ერგატივიანი კონსტრუქციები დასტურდება, მაგ., გაგადი დაკუ კაკულარ ჰირიტუდა „მამა ნავჯახით შეშას ჩეხავს“ [მაჰომეტოვი 1965: 132]. ერგატივის ინსტრუმენტალური ფუნქციით გამოყენების ნაშთი სხვა აღმოსავლურ-ლეზგიურ ენებშიც გვხვდება. უ. მეილანოვას აზრით, „ლეზგიური ერგატიული ბრუნვა ისტორიულად ავიწროებს თავის მნიშვნელობებს, თანდათანობით იტოვებს მხოლოდ გარდასავალი ზმნის ქვემდებარის ფუნქციას. ამ ვარაუდის დასტურია არა

იმდენად ის ფაქტი, რომ ერგატიური ბრუნვა იმსტრუმენტალურ ან სხვა მნიშვნელობით ლეზგიურ ენაში გვხვდება ძალზე იშვიათად, არამედ ის, რომ არ შეინიშნება ასეთი გამოყენების შემდგომი განვითარების ტენდენცია“ [მეილანოვა 1960 : 51].

რაც შეეხება ირიბი ობიექტის მარკირების სხვა საშუალებებს, აღნიშვნის ღირსია „ორიენტირის ჰორიზონტალურ ზედაპირზე“ სერიის აბლატივის გამოყენება ისეთ ზმნებთან, როგორებიცაა „თქმა“, „მოყოლა“, „კითხვა“ და სხვ., მაგ., რუთ. ჰანოვე ზად ჰადიქ-ლა სუდქურ „მან მე ამის შესახებ მკითხა“; „ორიენტირის ზედაპირზე“ ლაკაციის აბლატივის გამოყენება შედარებით კონსტრუქციებში, მაგ., ლეზგ. გადადი-ლ-ად რუმა ვსან კელზავად „გოგონა ვაჟზე უკეთ სწავლობდა“; „ორიენტირის ქვეშ“ სერიის აბლატივის გამოყენება ზმნასთან „შიში“, მაგ., კრიწ. ვულბეს ებილ-ქ-ირ ქიჭი „ცხვრებს მგლისა ეშინიათ“; „ორიენტირის იქით“ ლაკაციის ალატივით ხდება „ყურება“ და მსგავსი სემანტიკის ზმნების ირიბი დამატების მარკირება, მაგ., ელემი ხენხ-ხ-დგ გარჯაარა „კაცი ბიჭს უყურებს“. არ არის გამორიცხული, ასეთ კონსტრუქციათა რიცხვი ლეზგიურ ენებში უფრო დიდი იყოს.

გარემოება: ისევე როგორც თანამედროვე ლეზგიურ ენებში საერთოლეზგიურში ადგილის გარემოება იყო წარმოდგენილი ან სახელით ამა თუ იმ ლოკატიურ ბრუნვაში, ანდა ადგილის ზმნისართით, რომელიც იწარმოებოდა შემდეგი პრინციპით: ნაცვალსახელური ფუძე + ადიექტივის მაწარმოებელი + ლოკატივის ბრუნვის ნიშანი. თანამედროვე ლეზგიურ ენებში აღინიშნება დატივის ფორმის გამოყენებაც ადგილის გარემოების ფუნქციით, თუმცა ეს გვიანდელი მოვლენა უნდა იყოს. როგორც სამართლიანად აღნიშნავს ბ. ხანმაგომელოვი, „დატივის მიმართულებითი მნიშვნელობა ლეზგიურ ენაში, ისევე როგორც თაბასარანულში, არის გვიანდელი მოვლენა, რომელიც უკავშირდება ლეზგიური ქვეჯგუფის ენებში მომხდარი დატივის მიერ I სერიის მიმართულებითი ბრუნვის ჩანაცვლებით“ [ხანმაგომელოვი 1970: 93].

მიზეზის გარემოება საერთოლეზგიურ ქრონოლოგიურ დონეზე იყო გამონატული ამა თუ იმ სერიის აბლატივებით, რის შესახებაც მეტყველებს მათი ფართო გამოყენება ამ ფუნქციით თანამედროვე ლეზგიურ ენებში, მაგ., არჩ. კინოლითაიშ ზონ მახ' რუნ ევთაი „ფილმის გამო მე დავმწუხრდი“, კრიწ. ვაჰდიქირ ჰადალბი ბასწრაჰაჯიბ „ბავშვები სიცივის გამო კანკალებდნენ“, ბუდ. ალ ლახა კულ ბარხუდასგუგვლჯიქირ ჰოსუჯი „ის ზედა სახლი უპატრონობისაგან დაინგრა“. როგორც ჩანს, ამ ფუნქციით ერგატივის ფორმაც გამოიყენებოდა, მაგ., არჩ. თოვმუნ შუშტილი ეზ ნაწ კოტუ „მისი ჩურჩულის

გამო ვერაფერი გავიგე“...

მიზნის გარემოების მარკირების ძირითად საშუალებას წარმოადგენდა დატივი, რომელიც ინარჩუნებს კიდეც ამ ფუნქციას თანამედროვე ლეზბიურ ენებში, მაგ., რუთ. ზად დაქ ყვდის სინგრ „მე ხორცი ზამთრისათვის მოვამზადე“, აღ. მი ინსანდი წეკინის ბარშ ზუბ რუქუენე „ამ აღამიანმა ქორწილისთვის ასი ცხვარი დაკლა“, კრიწ. კოლხოზჯირ ჰადალბეს წიდა მჰქთაზ ვუხლუ „კოლმეურნობამ ბავშვებისათვის ახალი სკოლა ააშენა“... ამ ფუნქციით შეიძლება ინფინიტივის ფორმაც მოგვევლინოს, მაგ., რუთ. ხენიმპრ დამე უს ჰაჟას ჰადჰგრ „ბავშვები ტყეში წავიდნენ შეშის შესაგროვებლად“ (ზედმიწ. „გასაკეტებლად“).

საერთოლეზბიური ქრონოლოგიური დონისათვის უნდა ვივარაუდოთ აბსოლუტივის სხვადასხვა ფორმის ფართო გამოყენება გარემოების ფუნქციით, განსაკუთრებით – დროის გარემოების. დროის გარემოების ფუნქციით გვხვდება დროის სემანტიკის გამომხატველი სახელებიც („დღე“, „ღამე“, „ზაფხული“, „ზამთარი“ და ა. შ.) ამა თუ იმ ბრუნვის ფორმით. თანამედროვე ლეზბიური ენები ამ მხრივ ძალზე ჭრელ სურათს გვიჩვენებს. დროის გარემოება შეიძლება იყოს გამოხატული გენეტივით, დატივით, ერგატივით ან სხვადასხვა ლოკატივით, ანუ თითქმის ყველა ირიბი ბრუნვის ფორმით, რაც, ცხადია, არქეტიპების გამოყოფას ართულებს. ამას გარდა, დროის გარემოებად გვევლინებოდა დროის ზმნისართები, მაგ., *დი//*და „დღეს“, „დროსით“, *მოსა „როდის“, *ნაყ(ა) „გუშინ“, *შუა[ს] „შარშან“ და სხვ.

პრედიკატული სინტაგმის წევრთა მართვა-შეთანხმების საკითხი

მართვა: ლეზბიურ ენებში შემასმენელი მართავს ქვემდებარესა და დამატებას ბრუნვაში. იმ ლეზბიურ ენებში, რომლებშიც გრამატიკული კლას-კატეგორია მოქმედია (არჩიბული, რუთულური, წახური, კრიწული, ბუდუხური, ხინალულური და თაბასარანული ენის სამხრული კილო) შემასმენელი იმართვის სუბიექტისა (გარდაუვალი ზმნა) და ობიექტის (გარდამავალი ზმნა) მიერ კლასის მიხედვით. უდიურსა და კაკკასიის ალბანურში პრედიკატი (გარდაუვალი და გარდამავალიც) იმართვის სუბიექტის მიერ პირის მიხედვით, ხოლო თაბასარანულში – ობიექტის მიერაც. ლეზბიურსა და ალულურში არც სუბიექტი და არც ობიექტი ვერ მართავს შემასმენელს ვერც კლასსა და ვერც პირში.

ლუზგიურ ენებში, როგორც წესი, ქვემდებარესა და დამატებას მართავს სახელზმნური ფორმებიც. მაშასადამე, ლუზგიურ ენებში პრედიკატული მნიშვნელობის წევრებად გვევლინება როგორც ზმნის პირიანი ფორმა, ისე მასდარი, მიმღობისა და აბსოლუტივის ფორმები.

შეთანხმება: ქვემდებარე-შემასმენლის (გარდაუვალი ზმნის) და დამატება-შემასმენლის (გარდამავალი ზმნის) შეთანხმება ხდება რიცხვის მიხედვით, რომელიც ზმნაში კლასისა (არჩიბული, რუთულური, წახური, კრიწული, ბუღუსური, ხინალულური და თაბასარანული ენის სამხრული კილო) ან პირის (თაბასარანული, უდიური, კავკასიის ალბანური) მეშვეობით გადმოიცემა. აღსანიშნავია, რომ უდიურსა და კავკასიის ალბანურში ობიექტის რიცხვი ზმნაში არ აისახება. ლუზგიურსა და ალულურში რიცხვში შეთანხმება შემასმენელსა და ქვემდებარე-დამატებას შორის არ გვაქვს.

III. სინტაქსური კონსტრუქციები

ზოგადი. დღეს ყველა ლუზგიური ენისათვის დამახასიათებელია შემდეგი სტრუქტურის მარტივი წინადადება: აბსოლუტიური (ნომინატიური), ერგატიული და დატიური (აფექტური). ამას გარდა, ზოგიერთ ენაში ქონა-ყოლის აღმნიშვნელ ზმნასთან გენეტიური (პოსესიური) კონსტრუქცია გვხვდება. დასტურდება რამდენიმე ლოკატიური კონსტრუქციაც.

ის ფაქტი, რომ დასახელებული სამი კონსტრუქცია ყველა ლუზგიურ ენაში დასტურდება (მათ შორის – კავკასიის ალბანურშიც), გვაძლევს საფუძველს, თითოეული მათგანის არსებობა ვივარაუდოთ უკვე საერთოლუზგიურ ქრონოლოგიურ დონეზე. ლუზგიურ ენათა ჩვენების საფუძველზე აგრეთვე ადვილად ხერხდება წინადადების წევრების განლაგების სქემის დადგენაც, რომლის წარმოდგენაც შემდეგი სახით შეგვიძლია: სუბიექტი - (ობიექტი) - პრედიკატი.

აბსოლუტიური (ნომინატიური) კონსტრუქცია. აბსოლუტიურ კონსტრუქციაში, სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მსგავსად, ლუზგიურ ენებშიც პრედიკატს გარდაუვალი ზმნა წარმოადგენს. ამ კონსტრუქციასათვის ნიშანდობლივია გარდაუვალ ზმნა-შემასმენლთან ერთადერთი აქტანტის არსებობა, ესაა – სუბიექტი ნომინატივის ფორმით, რომელიც ყველა ლუზგიურ ენაში გაუფორმებელ ფუძეს ემთხვევა¹³ (აბსოლუტივი), თუმცა არჩიბულში ნომინატივის ნიშნის (*-ა) შესაძლო კვალზე მიუთითებენ [კიბრიკი და

¹³ ს. ლუზგ. *-თ > ლუზგ. -თ: თაბ. -თ: აღ. -თ: რუთ. -თ: წახ. -თ: კრიწ. -თ: ბუღ. -თ: არჩ. -თ: ხინ. თ: უდ. -თ: კავკ. -ალბ. -თ.

სხვ. 1977: II-10]. აქედან გამომდინარე, აბსოლუტიური კონსტრუქციის არსებობა უნდა ვივარაუდოთ უკვე საერთოლესიური ქრონოლოგიურ დონეზე.

აბსოლუტიური კონსტრუქცია, როგორც აღინიშნა, ყველა ლესიური ენაში დასტურდება, მაგ., ლესი. ბუბა ქენა „მამა წავიდა“, თაბ. რიშ ქარლურა „გოგონა მირბის“, ნალექარ ულუბყუ „გაზაფხული დაღა“, აღ. შინიქუ ითარს უნე „ბავშვი დაავადდა“, რუთ. ნად ლარხერა „წყალი აიძღვრა“, წას. ზერბე ვადღე „ძროხები დაბრუნდნენ“, არჩ. დიდა ვირხუინშივი „მამა მუშაობს“, კრიწ. ლიქ უსუარაჯ „მტრედი ლულუნებს“, ბუდ. ვირალ ღვზ ვარჭუი „მზე აღრე ამოღის“, უდ. ადამარ არცინე „ადამიანი ზის“, ლარ ბასკინე „ბიჭი წევს“ და სხვ.

აბსოლუტიური კონსტრუქციის სახესხვაობად უნდა მივიჩნიოთ ისეთი უპირო წინადადებებიც, როგორებიცაა, მაგ., ბუდ. ქედი ვი „ცხელა“ და ექვატიური, ისეთი როგორიც რუთ. იზღ ნინ ლაფ ჰიხღ რიცი „დეღჩეში ძალიან კარგია“...

ერგატიული კონსტრუქცია. ერგატიული კონსტრუქციის შემადგენელი ნაწილებია გარდამავალი ზმნა და მასთან დაკავშირებული ორი სახელი – რეალური სუბიექტი ერგატივში (აგენსი) და პირდაპირი ობიექტი აბსოლუტივის ფორმით (პაციენსი).

ერგატიული კონსტრუქციის ნიმუშებია: ლესი. ფაფაა ქუტარ ვაჩუნა „ქალმა ღოქი აიღო“, თაბ. ჰურჩაბნი ლუყ ღიბისნუ „მონადირემ არწივი დაიჭირა“, აღ. ზაფაჰანდი ზუბ რუქუნე „მეცხვარემ ცხვარი დაკლა“, რუთ. ნინგ დაქ ჰუნუარა „დედა ხორცს ხარშავს“, წას. ღექჰ ბალქან ალიჰშუნა „მამამ ცხენი იყიდა“, არჩ. ჰელში ნაჰუჰ ჭარ აჟ „წვიმამ მიწა დასველა“, კრიწ. ქირარ ხუნდიარ ქუტულუჯი „კაცმა კამეჩები შეაბა“, ბუდ. სოქულღურ ჯიბჯიბერ საყალჯი „მელიამ წიწილები შეჭამა“...

ერგატიული კონსტრუქცია ლესიური ენებში ჩვეულებრივ დასტურდება ისეთ გარდაუვალ ზმნებთან, როგორებიცაა – „ქნევა“, „რწევა“, „ბაკუნი“, მაგ., რუთ. რიშერ ლუყულ სუბღ ვაყარა „გოგონა თავს აქნევს“, ბუდ. ვაილ ვუმოტუ „ფეხს ნუ აბაკუნებ!“...

ერგატიული კონსტრუქციის გვერდით უდიურსა და კავკასიის ალბანურში დასტურდება თავისებური კონსტრუქცია, რომელშიც პირდაპირი ობიექტი წარმოდგენილია მიცემითი ბრუნვის ფორმით. ასეთ წინადადებაში შემასმენელია – გარდამავალი ზმნა, ქვემდებარე გამოხატულია ერგატიული ბრუნვით, პირდაპირი დამატება უდიურში შეიძლება იყოს I ან II მიცემითში, ხოლო კავკასიის ალბანურში პირდაპირი ობიექტი გადმოიცემა აკუსატივის ტიპის ბრუნვით, რომელსაც ლოკატივადაც გამოიყენებოდა. ეს ბრუნვა

უდიური II ლატივის იდენტურად იწარმოებოდა და ამ სახელით იხსენიება სამეცნიერო ლიტერატურაში,¹⁴
მაგ.,

უდიური:

მივილა, ზუ აყა=ზ=ბ-ესა ბეზ ჟარიშტინ-ა ვი-ბეშ

ამ წამს მე გავზავნა=1SG=LV-PRS ჩემი ანგელოზი-DAT I შენ-LOC

„ამ წამს მე ვგზავნი ჩემ ანგელოზს შენს წინაშე!“;

უ=ყუნ=ჩერი-ი შე-ტ-ა-ტოლოლ ბუთუნ აზარ-ულ-ონ ვა^ც ჯინბატ-ლ-ონ

მოყვანა=3PL=ST-AOR DIST-NO-DAT-LOC ყველა ავადმოფი-PL-DAT II და

შეპყრობილი-PL-DAT II

„მოიყვანეს მასთან ყველა ავადმოფი და ავი სულით შეპყრობილი [ავი სულით]“...

კავკასიის ალბანური:

პეყ-ად-ნე ე[ესუ]სენ პეტროს-ას უნ აკობ-ას უნ დოჰანან-ას ვიჩი-ეს ოდა

წაყვანა-AOR იესო-ERG პეტრე-DAT II და იაკობი-DAT II და იოანე-DAT II ძმა-DAT II

მისი

“წაყვანა იესომ პეტრე და იაკობი და იოანე ძმა მისი”;

ქ[რისტო]ს-ენ ბუყანაბი-ად ჰაჭინკ ეკლესი-ას (< *ეკლესია-ას; ა+ა=ა)

ქრისტე-ERG შეყვარება-PERF როგორც ეკლესია-DAT II

“როგორც ქრისტემ შეიყვარა ეკლესია”...

აღსანიშნავია, რომ მიცემითი ბრუნვა პიდაპირი ობიექტის გადმოსაცემად მთის იბერიულ-კავკასიურ ენათაგან მხოლოდ კავკასიის ალბანურსა და უდიურს ახასიათებს. უეჭველია, რომ ეს ვითარება ინოვაციას წარმოადგენს. მეორე მიცემითი ბრუნვა ლოკატიური წარმოშობისა ჩანს, მით უფრო, რომ ლოკატიური ფუნქციები მას დღემდე არ ჩამოსშორებია. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული [ალექსევი 1985 : 51-52], უდიური -ხ მაწარმოებელი “ორიენტირთან” ლოკალიზაციის საერთოლუზგიურ მაჩვენებელს (*-ლ^ჰW-) უნდა უკავშირდებოდეს, რომელიც, თავის მხრივ, ლუზგიურ ენებში შემდეგი რეფლექსებითაა

¹⁴ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ უდიურში აკუსატივი (ა. დირი; ზოგიერთი მკვლევარი ამ „ბრუნვას“ აფექტივს უწოდებს – ა. შიფერი, ფ. მიულერი, რ. ერკერტი) ან მეორე მიცემითი ბრუნვა უნდა გვქონდეს (ვლ. ფანჩიძე, ვ. შულცე...). უკანასკნელი მოსაზრება გასაზიარებელი ჩანს. აღსანიშნავია ორივე მიცემითი ბრუნვის (ხ თანხმონით და მის გარეშე) ფუნქციური ტოლობა – ორივე ერთნაირად გამოყენებულია სუბიექტად verba sentiendi ზმნებთან, პირდაპირ და ირიბ ობიექტად და ლოკატივად. საყურადღებოა, რომ ეს ფორმები ფაკულტატურად იხმარება ლექსიკური მნიშვნელობის შეუცვლელად.

წარმოდგენილი: ლეზგ. -ჟ: თაბ. -ხ^რ (Φ): აღ. -ჟ: რუთ. -ხ^რჟ: კრიწ. -ჟ: ბუდ. -ჟ: არჩ. -ლზუ: უდ. -ხ: კავკ.-აღბ.
-ხ.

როგორც ჩანს, ამ ბრუნვით ჯერ პირდაპირი ობიექტის მარკირება ხდება (აბსოლუტივის პარალელურად), ხოლო მოგვიანებით უდიურში მოხდა ორივე დატივის სინტაქსური ფუნქციების აღრევა. ამას გარდა, II დატივის უდიურსა და კავკასიის ალბანურში სერიულობის ნიშნები აქვს შენარჩუნებული, რაც აგრეთვე მისი ლოკატიური წარმოშობის შესახებ მეტყველებს: უდიურში იგი ერთადერთი შემორჩენილი სერიის ნაშთად უნდა მივიჩნიოთ დატივი II-ს (-Vხ), აბლატივისა (-Vხ-ო) და კომიტატივის (-Vხ-ოლ) წარმოება, ხოლო კავკასიის ალბანურში II დატივის ფორმაზე დაყრდნობით იწარმოება ხუთი ბრუნვა, ესენია: აბლატივი II (-Vხ-ოც), სუპერესივი III (-Vხ-ოლ), ანტეაბლატივი II (-Vხ-ოსტად), კომიტატივი (-Vხ-ომ) და ღირექტივი (-Vხ-უ).

უდიურსა და კავკასიის ალბანურში პირდაპირი დამატება აბსოლუტივის ფორმიდან არის გადმოცემული, ანუ კლასიკური ერგატიული კონსტრუქციაც დასტურდება:

უდიური:

რუსტამ-ენ ეხ=ნე: შელ! ჰაზირ-ბ-ა=ნან ვუ^ლდ ყათირ, სა თავარ,

რუსტამი-ERG თქმა: PRS=3SG კარგი მომზადება-LV-IMP=2PL შვიდი სახედარი

სა კირო, ჰარო პა^წწე ფუთ

ერთი ცული თითო თორმეტი ფუთი

„რუსტამი ეუბნება: კარგი! მოამზადეთ შვიდი სახედარი, ერთი ცული, ერთი კირო, თითო თორმეტი ფუთი“;

ჰუნჯარ რუსტამ-ენ=ნე ბ-ესა

საგმირო საქმე რუსტამი-ERG=3SG კეთება-PRS

„საგმირო საქმეს რუსტამი აკეთებს.

კავკასიის ალბანური:

ბიდად-ყა ჟან ხიბ ტალავარ.

კეთება-IUSS ჩვენ : ERG სამი კარავი.

“გავაკეთოთ ჩვენ სამი კარავი.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ უდიურში აბსოლუტივით გადმოცემულია ამ დამატების განუსაზღვრელი ფორმა, ხოლო მიცემით – განსაზღვრული ფორმა (ჰ. შუენარტი). ეს დებულება შეგვიძლია მხოლოდ ნაწილობრივ გავიზიაროთ: როდესაც პირდაპირი დამატება შემასმენელს წინ უსწრებს და წარმოდგენილია დატვივით, გვეძლება დამატებას განსაზღვრული ფორმა, მაგ., უსტან კუახ სერ-რე-ბე „ოსტატმა **სახლი** (მიც.) აავო“ – ის „სახლი“, რაზედაც უკვე ითქვა...

როდესაც შემასმენელს მისდევს პირდაპირი დამატება, იგი ფაკულტატურად დაისმის სახელობითსა და მიცემით ბრუნვაში, მასთან ისე, რომ ამ ორი ბრუნვის ფუნქცია ასეთ შემთხვევაში არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგ., ღარა ბუტუყსა **ხინჯრა-//ხინჯრა** „ვაჟს უყვარს **ქალიშვილს//ქალიშვილი**“...

დატიური (აფექტური) კონსტრუქცია: ეს კონსტრუქცია თანამედროვე ლეზიურ ენებში დასტურდება შემდეგ გრძნობა-აღქმის ზმნებთან: „ყვარება“, „ნღობა“, „ხელვა“, „სმენა“, „ცოდნა“, „დავიწყება“, „პოვნა“, „შიში“, მაგ., ლეზგ. რუშახ ქაც აქჟუნა „გოგონამ კატა ღაინახა“, თაბ. შუბარიზ ნიმჯარ ღიღიჯნუ „გოგონებმა ტყის მარწყვი იპოვეს“, აღ. ზუს ვე თჟურ ხ'უდეჟ „მე შენი სახელი ვიცი“, რუთ. ხენიმეშის დიმალჯლ ლულჩეს ბალა ჰგარ „ბავშვებს ვირით გასეირნება ძალიან უყვართ“, წახ. დელის ჯენა ღიხ გქან „ღელს თავისი ვაჟი უყვარს“, არჩ. ბეზ დამუბ წად ბაქჟურშიბი „მე ამ თხას ვხელავ“, კრიწ. ზას ხორ სას ინჯჯი „მე ძაღლის ყეფა გავიგე“, ბუღ. ზეზ ვენ ინჯითმი სიცი დიქედღდ „შენი შეწუხება არ მინდა“...

დატიური კონსტრუქცია მოიშალა უდიურში. გრძნობა-აღქმის ზმნებთან მიცემითი შეცვლილია ერგატივით, თუმცა ვართაშნულში შემონახულია მიცემით-სუბიექტიანი პირის ნიშნების სპეციალური სერია, ხოლო ნიჯურში დატიური კონსტრუქციის მოშლის პროცესი დასრულებულია – მიცემით-სუბიექტიანი უღვლილება მოშლილია, და თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ შემთხვევას (ფჟუ „ქონა“, „ყოლა“), არც მიცემით-სუბიექტიანი სერიის პირის ნიშნები დასტურდება.

მიცემითის შეცვლა ერგატივით უდიურში ახალ მოვლენას წარმოადგენს. ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში გრძნობა-აღქმის ზმნების სუბიექტი ხშირად გვეკვლინებოდა როგორც დატივი I-ის, ისე მეორე მიცემითის ფორმით, მაგ., ტე ვახტა ისუსა ანდახტუბი იჩენ იჩბოშ, თე ჭერინე იჩხო ზორ „მაშინ იესომ (მიც. I) იგრძნო თავის თავში, რომ მას ძალა გამოსვლია (წართმევია)“ (მრკ. 5, 30); ტაღან ტეჩო თაცი, ატუკი შოტუ ყეფრი ჰა^ც ვიჩიმუღონ „იქიდან იმ მხარეს წავიდა, ღაინახა მან (მიც. I) სხვა ორი ძმა“ (მთ. 4, 21); ვა^ც თეტუაბად შეტუხ, ეთარ ახრახ შეტინ ბინეხი იჩ „და არ იცოდა იგი (მიც. II), თუ მან როგორ შობა ბოლოს თავისი პირველი შვილი“ (მთ. 1, 25)...

გრძნობა-აქტის ზმნების სუბიექტი უკვე იმჟამად ხშირად გვხვდებოდა ერგატიული ბრუნვის ფორმით, მაგ., შეტაბახტინთე იროდენ ბუტუყსა აველახ ჩურუყანე „რადგანაც ჰეროდეს (ერგ.) სურს ბავშვი მოძებნოს“ (მთ. 2, 13)...

რთული კონსტრუქციები

რთულ კონსტრუქციებში, ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ ისეთ წინადადებას, რომელსაც მოეპოვება მეშველი ზმნით გამოსატული დამატებითი მოდალური მნიშვნელობა. თანამედროვე ლეზგიური ენების მონაცემები გვაძლევს საშუალებას საერთოლეზგიურში სულ მცირე ორი ასეთი კონსტრუქცია ვივარაუდოთ. „ყოფნა“ ზმნის მეშვეობით იწარმოება წინადადება, რომელიც რაიმე მოქმედების შეძლებას, შესაძლებლობას აღნიშნავს, მაგ., ლეზგ. ადავად ი ქარ იდიზ ვანა „ის ამ საქმის შესრულება შეძლო“, თაბ. ჟარა სადაღნიინდი უხან ინ ჩიქრარ აჩუჟ აჰუზ შულდარ „სხვა საშუალებით ჩემი აზრების გამოსატვა არ შემიძლია“, აღ. ზავას ნედ უხა ბადადა „წყლის დაღვეა არ შემიძლია“, რუთ. გადიდედა ხალგ ვიყას ჰეჟეს „ბიჭი სახლში მოსვლას შეძლებს“, ბუდ. ჰანეგორ ჩუთბოლ სუჟჟორ დუნ ორი „ვის შეუძლია ფეხბურთის თამაში?“...

ამდგვარ კონსტრუქციათა სტრუქტურა ტიპიურია: აბლატივით გაფორმებული სუბიექტი + ძირითადი ლექსიკური შინაარსის მატარებელი ინფინიტივი (მისი გარდამავლობის შემთხვევაში მას წინ უძღვის ობიექტი) + „ყოფნა“ მეშველი ზმნა. განსხვავებანი ლეზგიურ ენათა შორის შეიძლება ეხებოდეს როგორც სუბიექტის გაფორმებას (რუტულურსა და არჩიბულში), ისე ძირითადი ლექსიკური შინაარსის მატარებელ ზმნურ ფორმას (ბუდუხური). ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ლეზგიურ ენებში მსგავს მნიშვნელობათა გადმოცემის სხვა საშუალებანიც დასტურდება – ზმნური ლექსემები „ცოდნა“ და „მოხერხება“.

აუცილებლობითის მნიშვნელობა ლეზგიურ ენებში გამოიხატება ზმნებით „ყვარება“, „ნღომა“, შდრ. თაბ. დულუ მესყელა ჰალ დახუ ქუნდუ „მან აუცილებლად უნდა ამოხსნას ამოცანა“, რუთ. ულიქ ნაყუ სევეირ ჰეგარ „ჯერ აუცილებლად უნდა მოიტანოს მიწა“ და სხვ. წინა კონსტრუქციისაგან განსხვავებით აქ ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელი ზმნის მართვის მოდელი შენარჩუნებულია. ის წარმოდგენილია აბსოლუტივის ერთ-ერთ ფორმით – ტერმინატივით (წახურში – ინფინიტივით).

უკანასკნელ პერიოდში ეს კონსტრუქცია იცვლება წინადადებით ამა თუ იმ ნასესხები სიტყვით: გერექ, ლაზიმ, მაჯბურ „უნდა“, „აუცილებელია“, „ვალდებულია“...

როულ კონსტრუქციებს პირობითად შეიძლება მივაკუთვნოთ კაუსატიური წინადადებაც, რომელიც ლეზგიურ ენებში, როგორც წესი, „კეთება“ ზმნის მეშვეობით იწარმოება, მაგ., რეთ. ზად წად ლიკუ ჰეცგერ „მე ცეცხლი დავანთე“, არჩ. ჭიშილი ლო ელას ავ „ხმაურმა ბიჭი გააღვიძა“. თუ ამდაგვარ წინადადებაში გვაქვს აბსოლუტივფორმიანი სუბიექტი ან ობიექტი, მაშინ ძირითადი ლექსიკური მინიშვნელობის მატარებელი ზმნური ფორმის (ინფინიტივი – არჩიბულში, ტერმინატივი – რეთულურში) სუბიექტი ერთ-ერთი ლოკატიური ფორმით იქნება წარმოდგენილი და არა ერგატივით, მაგ., ლეზგ. ჭუგჯაზ თამირ ნა ზავ ი აჰ „ნუ მაიძულებ მოთქმით ტირილს“...

უშუალოდ რთული წინადადების გამოყოფა თანამედროვე ლეზგიურ ენებში სიძნელეებთან არის დაკავშირებული. როგორც ჩანს, რთული წინადადების შესახებ შეიძლება ვისაუბროთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოყენებულია თანწყობილი ან ქვეწყობილი კავშირები, რომელიც ან ნასესხებია ან აშკარად ინოვაციურია. ეს არ გვაძლევს საშუალებას, რომ რთული წინადადება აღვადგინოთ საერთოლეზგიურში. ქვეწყობილი წინადადების მაგივრობას საერთოლეზგიურში, საფიქრებელია, მიმღობური, აბსოლუტივიანი და მასდარული კონსტრუქციები უწევდა. რაც შეეხება თანწყობილ წინადადებას, ერთგვაროვნების გამოხატულება მიიღწეოდა *ნა და *რა კავშირებითი ნაწილაკების გამოყენებით, რომელიც სახელურ შესატყვევბათა დასაკავშირებლად გამოიყენებოდა; იხ. [ალექსეევი 1985: 140]. იგივე ფუნქციით აბსოლუტივიანი კონსტრუქციებიც გვევლინებოდა, შდრ. რეთ. სიფენბიში მაჰნიბერ ჰაკარ ლულგერად „ყველა [სიმღერებს] მღეროდა და ცეკვავდა“ [ზედმიწ. „სიმღერებს აკეთებდა-რა, ცეკვავდა“]...

*

*

*

საერთოლეზგიურმა სინტაქსმა ლეზგიურ ენებში შემდეგი ცვილებები განიცადა: ლეზგიურში, ალულურში, უდიურსა და თაბასარანული ენის სამხრულ კილოში მოიშალა გრამატიკული კლას-კატეგორია და, შესაბამისად, კლასოვანი შეთანხმებაც. მეორე მხრივ, კავკასიის ალბანურში, უდიურსა და თაბასარანულში ჩამოყალიბდა პიროვანი შეთანხმების სისტემა. სამივე ენაში პირის ნიშნებად მოგვევლინა

პირის ნაცვალსახელები, რომელიც პრედიკატს (კავკასიის ალბანურსა და უღიურში – წინადადების სხვა წევრებსაც) უერთდებოდა. ამასთან, პირის ნიშნის გვერდით აუცილებელია ფორმობრივად იგივე პირის ნაცვალსახელის გამოყენება იმავე წინადადებაში. თაბასარანულში პირის ნიშნის ფუნქციით შეიძლება მოგვევლინოს პირის ნაცვალსახელთა თითქმის ნებისმიერი ბრუნვის ფორმა [ხანმაგომელოვი 1970, 71], მაგ., დიზ ბად ლურა-დიზ „ჩემი შვილი მოდის“, უზუჰნა რიშ ლურა-ზუჰნა „ჩემთან ქალიშვილი მოდის“ და ა. შ., თუმცა სისტემურად თაბასარანულში ზმნაში აღინიშნება მხოლოდ სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის პირი. თავდაპირველი სისტემა თაბასარანულ ენაში პირის ნიშანთა სამი სერიით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი: აბსოლუტიური (-ზუ (I პ., მხ. რ.), -ვუ (II პ., მხ. რ.) და ა. შ.), ერგატიული (-ზა (I პ., მხ. რ.), -ვა (II პ., მხ. რ.) და ა. შ.), აფექტური (-ზუზ (I პ., მხ. რ.), -ვუზ (II პ., მხ. რ.) და ა. შ.). ერგატიული სერიის პირის ნიშნები ამჟამად როგორც გარდამავალი, ისე თითქმის ყველა გარდაუვალი ზმნის სუბიექტს აღნიშნავს, ხოლო პირის ნიშანთა აბსოლუტიურ სერიას შემორჩენილი აქვს პირდაპირ ობიექტისა და ზოგიერთი გარდაუვალი ზმნის აღნიშვნის ფუნქცია. აბსოლუტიური სერიის პირის ნიშნებით აღინიშნება იმ გარდაუვალ ზმნათა სუბიექტი, რომელიც გადმოსცემს უნებურ მოქმედებას, მაგ., სარუნ ლავრი ლან-უნ-ზუ „ეხლა მე გავიგე“, უგუ რაჰდიჰან ჰაპუზ ადაჰნა-ვუ „შენ რატომ შეგეშალა გზა?“ [ხანმაგომელოვი 1970: 68]. ერგატიული და აბსოლუტიური სერიების პირის ნიშნების ამდაგვარი დაპირისპირება სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია აქტიური სისტემის დამადასტურებელ ფაქტად [კიბრიკი 1979: 23], თუმცა ამას ყველა მკვლევარი არ იზიარებს და თაბასარანულში გარდამავალ (ერგატიულ-აქტიურს) სისტემას ვარაუდობს [ალექსევი 1985: 134].

უღიურში როგორც გარდაუვალ, ისე გარდამავალ ზმნასთან აღინიშნება ოდენ სუბიექტის პირი. უღიურ ზმნაში შეგვიძლია გამოვყოთ სამი ჯგუფი, რომლებსაც ახასიათებს პირის ნიშანთა საკუთარი სერია. I ჯგუფში შედის ზმნების აბსოლუტური უმრავლესობა, ესაა – გარდაუვალი და გარდამავალი ზმნები, რომლებიც მოითხოვენ სუბიექტს სახელობით ბრუნვას ან ერგატივში. II ჯგუფს განეკუთვნება გრძნობა-აქტის სემანტიკის გამომხატველი ზმნები (Verba Sentienti), III ჯგუფში კი ერთი ლეფექტური ზმნა ბუ „ყოლა“, „ქონა“ შედის (ეს ზმნა მხოლოდ აწმყოსა და ნამყო-უწყვეტელის დროებს აწარმოებს, ხოლო დანარჩენ პარადიგმას ბაქ-ეს „ყოფა“, „არსებობა“ „გახდომა“ ზმნის დრო-კილოები ივსებენ).

განსხვავებული ვითარება დასტურდება ნიჯურ დიალექტში. ვართაშნულ კილოში „ქონა“-„ყოლის“ აღმნიშვნელი ზმნისათვის (ნიჯ. ფაუ) დამახასიათებელი III (პოსესიური; გენეტიური) სერიის პირის

ნიშნები შეიცვალა II (მიცემითსუბიექტიანი) სერიის პირის ნიშნებით, ხოლო ვართაშნულში გრძნობა-აღქმის ზმნებთან დადასტურებული ლატიური კონსტრუქცია ნიჯურში შეიცვალა ერგატიულით და შესაბამისად Verba Sentiendi ზმნები I სერიის პირის ნიშნებს დაირთავს. მაშასადამე, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ერთი ზმნის ჩვენებას (ფ-უ „ყოლა“, „ქონა“), შეიძლება ითქვას, რომ ნიჯურში მოხდა პირის აღნიშვნის სისტემათა უნიფიკაცია.

აღსანიშნავია, რომ უღიურში ჩამოყალიბდა თავისებური პიროვანი შეთანხმების სისტემა, რომელსაც ახასიათებს პირის ნიშნით ფოკუსის მარკირება, ანუ თუ წინადადებაში შემასმენელი არ იმყოფება ფოკუსში, ასეთ შემთხვევაში პირის ნიშანი დაერთვის არა პრედიკატს, არამედ ფოკუსში მყოფ წინადადების სხვა წევრს. კითხვით წინადადებებში ფოკუსშია, როგორც წესი, კითხვის გამომხატველი სიტყვები (მაგ., ეკა-ნ ბესა „რას აკეთებ?“); უარყოფით წინადადებებში პირის ნიშანი დაერთვის უარყოფის გამომხატველ სიტყვებს (მაგ., უდინ ოლიტბა ბუ-თე-ნე „უღიური ანბანი არ არსებობს“; უკ-ეს თე-ზ-ბაქ-სა „ჭამა არ შემოიღია“). წინადადებაში, რომელიც კითხვაზე პასუხს შეიცავს, ფოკუსში მოექცევა ის სიტყვა, რომლებიც უშუალოდ პასუხობს დასმულ კითხვას, მაგ., წინადადებაში „ბავშვმა აიღო ორი ვაშლი“ თუ წინასწარ ცნობილია, რომ ვიღაცამ აიღო ორი ვაშლი, მაშინ ფოკუსში მოექცევა სახელი „ბავშვი“, როგორც ნათქვამის მომენტში არაპროგნოზირებადი და ლოგიკურად აუხსნელი. შესაბამისად, პირის ნიშანი ამ წინადადებაში დაერთვის არა პრედიკატს („აიღო“), არამედ სუბიექტს („ბავშვი“):

პდელ-ენ=ნე აყ-ე პა^ც ეშ^ც-ნ-უხ

ბავშვი-ERG=III SG აღება-PERF ორი ვაშლი-O-DAT

ბავშვმა აიღო ორი ვაშლი

თუ დაისმის კითხვა, რა აიღო ბავშვმა, ანდა რამდენი ვაშლი აიღო, ფოკუსში მოექცევა სახელური ჯგუფი „ორი ვაშლი“:

პდელ-ენ პა^ც ეშ^ც=ნე აყ-ე

ბავშვი-ERG ორი ვაშლი=III SG აღება-PERF

ბავშვმა აიღო ორი ვაშლი

ჩვეულებრივ თხრობით წინადადებაში კი ეს ფრაზა ასეთ სახეს მიიღებს:

პა^ც ემ^ნ-ნ-უხ ა=ნე=ყ-ე

ბავშვი-ERG ორი ვაშლი-O-DAT აღება=III SG=ST-PERF

ბავშვმა აიღო ორი ვაშლი

პირის ნიშანი დაერთვის, აგრეთვე, იმ სიტყვებს, რომლის გამოყოფა მთხრობელის სურვილით ხდება და რომელიც გამონათქვამის ძირითად აზრს გამოხატავს, მაგ.:

დან სა ქალა წაზ-ე-დან ბაქსა „ჩვენ ერთ დიდ სოფელში ვცხოვრობთ“;

წაჭა ზუ თბილისი-ნ-ა-ზ თადასა „მე ხვალ თბილისში მივლივარ“;

ბა-ნე-ქე, თე-ნე-ბაქე, სა იშუ-ჩუბუხ-ნე ბაქე „იყო და არა იყო რა, იყო ერთი ცოლ-ქმარი“...

ამ შესიტყვებებში პრედიკატის მარკირება პირის ნიშნით იქნება გაუმართავი და არასწორი. აქედან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ სინტაქსური ურთიერთობები უდიურში უშუალოდ მოქმედებს პირის ნიშანთა განაწილებაზე.

პიროვანი სუბიექტური შეთანხმების ფაქტები კრიწულშიც შეინიშნება, მაგ., ზენ ქარჯან თეზფან შერ-ზენ „მე სამსახურში მივიჩქარი“, ზენ მარქა ქონვეროჯუ ვაქქოლუ-ზენ „მე კონვერტს მარკა მივაწებე“, მაგრამ: პნერ ზენ პთაჯი „მან მე მცემა“. ბულუხურში ამდგვარი მაწარმოებლები პრეფიქსებად გვევლინება და ერთვის ნაცვალსახელით გამოხატულ დამატებას, მაგ., ზენ ზე-ვეზ სუქალ დევედჯი „მე შენ დავისვი კითხვა“...

მეორე დამახასიათებელ ინოვაციად ლეზგიურ ენებში უნდა მივიჩნიოთ კლასიკური ერგატიული კონსტრუქციის სხვადასხვა რყევები. წახურსა და არჩიულში გარდამავალი ზმნის ანალიტიკურ ფორმასთან დასაშვებია როგორც ერგატივფორმიანი, აგრეთვე აბსოლუტივფორმიანი სუბიექტი, მაგ., წახ. დაქაჟ ზერ ტალაბ ვო-ბ (ერგ.) ~ დაქა ზერ ტალაბ ვო-რ (აბს.) „მამა ძროხას ეძებს“ [კიბრიკი 1980: 3], არჩ. ბოშორძე კოს არში ი (ერგ.) ~ ბოშორ კოს არში ვ-ი (აბს.) „კაცი დანას აკეთებს“. ის, რომ აბსოლუტივიანი ფორმები შეზღუდული რაოდენობით გვხვდება, მათ მეორეულობაზე მეტყველებს. საფიქრებელია, რომ ამდგვარ ფორმათა გაჩენა განპირობებულია წინადადების სხვადასხვა წევრების ლოგიკური გამოყოფის სურვილით [კიბრიკი 1975].

ასევე უნდა აღინიშნოს უდიურსა და კავკასიის ალბანურში აკუზატივის ტიპის ბრუნვის ჩამოყალიბება. როგორც გვიჩვენებს სპეციალური გამოკვლევა, უდიური „აკუზატივი“ მეორეულია და ერთ-

ერთ ლოკატის უკავშირდება [ფანჩვიძე 1940]. შემდგომი ტრანსფორმაცია სუბიექტურ-ობიექტური ურთიერთობებისა უდიურში უკვე სუბიექტის გამოხატვის უნიფიკაციისკენ განვითარდა: ნიჯური კილოს მირზაბეილის თქმაში გარდამავალ ზმნებთან ერგატივის ცვლის აბსოლუტივი, მაგ., ბაბა უმე ქაჯუე „მამა შემას ჩეხავს“, ვიჩი ონე ცაფე „ძმა ბალახს თიბავს“ [გუკასიანი 1977 : 289].

ასევე ინოვაციად უნდა ჩაითვალოს სუბიექტის გაფორმება წახურში სპეციალური აფექტური ბრუნვით, მაგ., ზაკლე აწან დეღენ დო „მე ვიცი შენი სახელი“... ამ მოღელის ინოვაციურობის შესახებ, ერთი მხრივ, მეტყველებს ის ფაქტი, რომ ყველა დანარჩენ ლეზგიურ ენაში აფექტური კონსტრუქციის სუბიექტი გადმოცემულია დატივის ფორმით, ხოლო, მეორე მხრივ, ის, რომ აფექტივის მაწარმოებელს წახურში -კლე არ მოეძევა პარალელები სხვა ლეზგიურ ენებში. სავარაუდებელია ამ ბრუნვის ლოკატიური წარმომავლობა.

ტიპოლოგიური თვალსაზრისით, თანამედროვე ლეზგიური ენები ერგატიულ სისტემებად უნდა მივიჩნიოთ, თუმცა ნომინატიური სტრუქტურის გარკვეული ელემენტები უკვე შესამჩნევია. მათ რიცხვში უნდა დავასახელოთ ზემოთ აღნიშნული ერგატივის აბსოლუტივით შეცვლის ფაქტები წახურსა და არჩიულში, პიროვანი სისტემის ჩამოყალიბება თაბასარანულში, უდიურსა და კავკასიის ალბანურში და მისი ჩამოყალიბების პროცესი კრიწულში, რომელშიც უკვე უპირისპირდება არა ერგატიული და აბსოლუტიური სერიების პირის ნიშნები, როგორც ეს არის თაბასარანულში, არამედ სუბიექტური და ობიექტური სერიები. ერგატიული სტრუქტურის ნორმებისაგან გადახვევას წარმოადგენს ერგატიული ბრუნვის ფუნქციონირების არეალის შემცირება, სახელბოდრ – ინსტრუმენტალის ფუნქციის ჩამოშორება და ოდენ გარდამავალი ზმნის სუბიექტის ფუნქციის დარჩენა, რომელიც, თავის მხრივ, მეტყველებს სუბიექტურ-ობიექტური დიქტომიის გაზრდის შესახებ, რაც აგრეთვე დამახასიათებელია ნომინატიური სტრუქტურის ენათათვის. ამის შესახებ მეტყველებს გენტივის გამოყენება სუბიექტისა და ობიექტის აღსანიშნავად ზოგიერთ ლეზგიურ ენაში და აკუზატივის ტიპის ბრუნვის ჩამოყალიბება კავკასიის ალბანურსა და უდიურში.

ამრიგად, თუ გავიზიარებთ ენობრივ ტიპთა გავრცელებულ ისტორიულ იერარქიას (აქტიური-ერგატიული-ნომინატიური), ლეზგიურ ენათა თამედროვე მდგომარეობა შეიძლება განვსაზღვროთ როგორც „გვიანი ერგატიული“. რაც შეეხება საერთოლეზგიურ ენობრივ რეკონსტრუქციას, ის, ჩვენი აზრით, უეჭველად განსაზღვრავს ამ ენის ერგატიულ ტიპს. კარგად იკვეთება აბსოლუტიურ და ერგატიულ კონსტრუქციათა დაპირისპირება, რომელიც ამა თუ იმ ფორმით დღესაც ყველა ლეზგიურ ენას ახასიათებს. ასევე საყურადღებოა გრამატიკული კლას-კატეგორიის რეკონსტრუქცია, რომლის ფორმანტები

აბსოლუტიზმის სახელების კლასზე მიგვიტოვებდა მისი სუბიექტური თუ ობიექტური კუთვნილების მიუხედავად. მნიშვნელოვანია საერთოლესიური ერგატივის სუბიექტურ-ობიექტური დიფერენცია, რომელიც გამოიხატებოდა მის მიერ გარდამავალი ზმნის სუბიექტისა და ინსტრუმენტალური დამატების მარკირებით.

რაც უფრო შორს ვიხედებით ლესიურ ენათა ისტორიაში, მით უფრო შესამჩნევი ხდება აქტიური სტრუქტურის ელემენტები. ამ თვალსაზრისით ყველაზე მეტად რელევანტურია ზმნური ლექსიკის სტრუქტურული ორგანიზების პრინციპები, რომელიც განაპირობებს იმპლიკაციათა მთელ რიგს სხვა ენობრივ დონეებზე. იმის მიუხედავად, რომ თანამედროვე ლესიურ ენებში გვაქვს ოპოზიცია გარდამავლობა/გარდაუვალობის მიხედვით (მაგ., არჩ. კის „მოკვდობა“ ~ არჩ. „მოკვდინება“, ბუდ. სარყარ „მოკვდობა“ ~ აროტუ „მოკვდინება“), ხოლო ზოგჯერ ეს ოპოზიცია სპეციალური აფიქსებითაც კი არის გამოხატული (ბუდ. ალსალ „დაბრუნება (გარდაუვ.)“ ~ ალსი „დაბრუნება (გარდამ.)“), მაინც უნდა ვივარაუდოთ, რომ საერთოლესიური ამოსავალი სისტემისათვის ნიშანდობლივი იყო ლაბილურ ზმნათა დიდი რაოდენობა (იხ. ზემოთ). ეს ფაქტი და კიდევ ის, რომ ზედსართავი სახელის კატეგორიად ჩამოყალიბება მოხდა შედარებით გვიან, ხოლო ჩვენ შეგვიძლია ამ ლექსიკო-გრამატიკული კლასის ინტერპრეტაცია როგორც ისტორიულად სტატიკური ზმნების, გვადლევეს საშუალებას ვივარაუდოთ გარდამავლობა-გარდაუვალობის მიხედვით ოპოზიციის მეორეულობა, ხოლო ამოსავალად მივიჩნიოთ ოპოზიცია აქტიურობა-ინაქტიურობის მიხედვით. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ისიც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველა ლესიურ ენაში დღემდე შემორჩენილია აფექტურ ზმნათა ჯგუფი, რომელიც თავის ანსნას ჰპოვებს სწორედ აქტიურობა-ინაქტიურობის მიხედვით ოპოზიციის ფარგლებში.

აქტიურობა-ინაქტიურობის ოპოზიცია სახელებშიც ვლინდება. აქ აქტიურისა და ინაქტიურის დაბირისპირებად შეიძლება მივიჩნიოთ პიროვნების აღმნიშვნელი (I-II) და საგნის აღმნიშვნელი (III-IV) კლასების დაბირისპირება, ერთი მხრივ, და უპირო კლასთა შორის III და IV კლასების, მეორე მხრივ. თუ პირველ შემთხვევაში დაბირისპირება აქტიურობა-ინაქტიურობის მიხედვით ცხადია, მეორე შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ ის სემანტიკური ჯგუფები რომელიც აღნიშნულ კლასებს მიეკუთვნებოდა საერთოლესიურში: III კლასში შედიოდნენ ცხოველები, ციურ სხეულთა სახელები, მცენარეები, ხოლო IV კლასში – აბსტრაქტული ცნებები, ნივთიერებათა სახელები და სხვ.

აქტიური ტიპოლოგიის თანამდეგ მოვლენებს მიეკუთვნება თანამედროვე ლესიურ ენებში დადასტურებული თუ მათი ჩვენების საფუძველზე რეკონსტრუირებული სხვა ბევრი ფაქტი, მაგ.,

სინგულარული და პლურალური ან სულიერი და უსულო ფორმების დაპირისპირება ზოგიერთ ზმნურ ლექსემაში (ასეთ მაგალითთა რიცხვი არ არის დიდი, თუმცა ეს ფაქტი ძალზე მნიშვნელოვანია, ჩვენი აზრით), ჩვენებით ნაცვალსახელთა ექსკლუზიური და ინკლუზიური ფორმების დაპირისპირება, ტემპორალობის მეორეულობა ზმნურ სიტყვათცვლილებაში ასპექტუალობასთან შედარებით და სხვ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მოვლენა, რომელიც ლეზგიურ ენებს აქტიური ტიპოლოგიის ენებთან აკავშირებს, არ შეიძლება მიჩნეულ იქნას რელიქტურად. ასე, მაგალითად, პიროვანი შეთანხმების სისტემა თაბასარანულში ინოვაციურია და ერგატიული სისტემიდან ნომინატიურზე გადასვლის საფეხურს უნდა წარმოადგენდეს. ინოვაციური უნდა იყოს, აგრეთვე, ორგანულისა და არაორგანულის დაპირისპირება ბუღუხურში.

5. ატრიბუტული და პრედიკატული სინტაგმები და მათ წევრთა წყობის საკითხები; სინტაქსური კონსტრუქციები ნახურ და დაღესტნურ ენებში

(შეჯერებული ვერსია)

I. ატრიბუტული სინტაგმა და მისი წევრთა წყობის საკითხები

ნახურ და დაღესტნურ ენათა გენეტიკური ნათესაობის დასამტკიცებლად თანხვედნათა საფუძველზე აუცილებელია პოსტულირება იმ არქეტიპული სისტემისა, რომელიც წარმოდგენილი იქნება ენის მაღალ ქრონოლოგიურ დონეზე. მართალია, ფონემათშესატყვისობებისა და მორფოლოგიური კატეგორიების ტოლფარდი ძალა სინტაქსური კატეგორიების რეკონსტრუქციას ვერ მიენიჭება, მაგრამ ფუძეენისეული სისტემების აღსადგენად სინტაქსური არქეტიპების აღდგენასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. როგორც ატრიბუტული, ისე პრედიკატული სინტაგმები შეიცავენ ერთმანეთთან მჭიდროდ და აზრობრივად შესიტყვებულ წევრებს, რომლებიც გარკვეულ სინტაქსურ დამოკიდებულებაში იმყოფებიან ერთმანეთთან. ამ თვალსაზრისით ატრიბუტულ სინტაგმაში უნდა გამოიყოს: 1) მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსური ურთიერთობა; 2) ატრიბუტული შესიტყვების კომპონენტთა წყობის საკითხი.

1) ატრიბუტული სინტაგმის წევრთა სინტაქსური ურთიერთობა. ამჟამად, ატრიბუტულ სინტაგმაში მსაზღვრელ-საზღვრულის კავშირის სინტაქსური სახეებია: ა) შეთანხმება, ბ) მართვა გ) მირთვა. რაც შეეხება ამ ჩვენების ისტორიულ ინტერპრეტაციას, ნახურ-დაღესტნურ ენათა ერთიანობის ხანისათვის გაბატონებული უნდა ყოფილიყო შეთანხმება კლასის, რიცხვისა და ბრუნვის მიხედვით. ცხადია, იარსებებდა მირთვაც.

ატრიბუტივის სახეობის საფუძველზე, უნდა გამოიყოს ორი სახის მართვა (შეთანხმება): ა) ატრიბუტივ-მსაზღვრელიანი სახელური შესიტყვება (მსაზღვრელი სახელობითში დაისმოდა); ბ) სუბსტანტივ-მსაზღვრელიანი სახელური შესიტყვება (მსაზღვრელი ნათესაობით ბრუნვაში იდგა). ამასთანავე, ნათესაობით ბრუნვას ჰქონდა როგორც პოსესიურობის, ისე კლასური კუთვნილებითობის ფუნქცია.

ა) ატრიბუტივ-მსაზღვრელიანი სახელური შესიტყვების უშუალო შემადგენელთა მართვა-შეთანხმების საკითხისათვის. სავარაუდოა, ფუძეენაში გაბატონებული პრეპოზიციური წყობის დროს შესიტყვების

უშუალო შემადგენელთა შორის შეთანხმებას ადგილი ჰქონდა კლასსა და ბრუნვაში. კლასიფიკატორების მეშვეობით რიცხვში შეთანხმება ამ ქრონოლოგიური ღონითვის ნაკლებად არის საფიქრებელი. მასთან, მმართველი (საზღვრული) იყო მთავარი (ბირთვი), ხოლო მართული (მსაზღვრელი) - მასზე დამოკიდებული. საილუსტრაციო მაგალითები სქემების სახით:

სქემა 1. შეთანხმება კლასსა და რიცხვში ჩეხურში

კლასი	მხოლოდობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი	ლექსიკური მნიშვნელობა
I	ჟ-ჟოვკა კანთ	ბ-ავვიდ კვენთ-იი	„ღიღი ბიჭი“
II	დ-ჟოვკა დურთ	დ-ავვიდ დართ-აშ	„ღიღი სოფელი“
III	ბ-ჟოვკა ლამ	დ-ავვიდ ლმნ-აშ	„ღიღი მთა“
IV	დ-ჟოვკა ხი	დ-ავვიდ ხი-შ	„ღიღი წყალი“

სქემა 2. შეთანხმება კლასსა და რიცხვში ხუნძურში

კლასი	მხოლოდობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი	ლექსიკური მნიშვნელობა
I	ჟ-აწად ჟ-ას	რ-აწად ჟ-ას-ალ	„სუფთა გაჟიშვილი“
II	დ-აწად დ-ას	რ-აწად დ-ას-ალ	„სუფთა ქალიშვილი“
III	ბ-აწად განჭ	რ-აწად განჭ-ალ	„სუფთა ქვა“
*IV	რ-აწად რ-აკ	რ-აწად რ-აკ-ალ	„სუფთა გული“

სქემა 3. შეთანხმება კლასსა და რიცხვში ლაკურში

კლასი	მხოლოდობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი	ლექსიკური მნიშვნელობა
I	უჰარასა აღიძინა	ბ-უჰარასა არამთალ	„ღიღი კაცი“
II	დ-უჰარასა შარასა	ბ-უჰარასა ჯამი	„ღიღი ქალი“

III	ბ-უჰარასა ნიც	ბ-უჰარასა ნიცრუ	„დიდი ხარი“
IV	დ-უჰარასა შინ	დ-უჰარასა დანარღუ	„დიდი წყალი“

როგორც ზემოთხსენებული სქემებიდან ირკვევა, ციტირებულ შესიტყვებებში სუბორდინაციული შეთანხმება გვაქვს – საზღვრული (ქვემდებარე) მსაზღვრელს (განსაზღვრებას) ითანხმებს კლასსა და რიცხვში. როგორც ჩანს, კლასში შეთანხმება კლასიფიკატორების საშუალებით ისტორიულადაც ხდებოდა, ხოლო კლასის ექსპონენტებით რიცხვში შეთანხმება საკვლევ ენათა ერთობის ხანიასთვის სავარაუდებელი არ არის. კერძოდ, ამგვარ შემთხვევაში აღინიშნებოდა ოდენ მხოლოდობით რიცხვის კლასი, თუმცა ატრიბუტს შეიძლება დართოდა საზღვრულთან შესთანხმებელი სუფიქსი, მაგ.: ბუჟ. რ-უყყო **დაკო** „დიდი გული“ – მრ. რ. ბ-უყ-არ **დაკუჯა**, შდრ. წიკკარ-**აბ ხოშხო** „უზარმაზარი ხე“ – მრ. რ. წიკკარ-**აბ-ლ ხოშხო** ...

აღსანიშნავია, რომ სინქრონიულად მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებისას ერგატივსა და ე. წ. ირიბ ბრუნებებში მსაზღვრელი ჩვეულებრივ არ იცვლება, თუმცა კლასის მიხედვით იცვლება ზოგ დადესტურ ენაში (ანდ., კარ., ხუნდ. ენის ანწ. ლიალ...), უბრუნველი მსაზღვრელი ნიშანდობლივია არა მარტო საკვლევ ენებისთვის, არამედ გავრცელებულია სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებშიც [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 194]. კლასსა და რიცხვში შეთანხმებისას ბრუნვაში შეთანხმება არ გვაქვს, როგორც წესი, დასტურდება მართვა. მიუხედავად ამისა, სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ნახურ და დიდურ ენებში მსაზღვრელის ფორმა მინიმალურად მაინც განსხვავდება სახელობითის ფორმისაგან, რაც სავსებით სამართლიანად მიჩნეულია ძველი ვითარების გადმონაშთად [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 194], მაგ.:

ინგუშური ენა	ბეჟიტური ენა
სახ. ლავა ლოამ „მაღალი მთა“	სახ. ბუყ-ო ბიტო „დიდი ცხვარი“
ნათ. ლავა-ჩა ლოამ ⁵	ერგ. ბუყ-ა ბიტოი
მიც. ლავა-ჩა ლოამ ⁵	მიც. ბუყ-ა ბიტოი-ლ
ერგ. ლავა-ჩა ლოამ-ჟო	ნათ. ბუყ-ა ბიტოი-ს

კლასში შეთანხმება დამასათიებელი შეიძლება ყოფილიყო როგორც სახელობით ბრუნვაში მღვარი ატრიბუტული სინტაგმისათვის, ისე ნათესაობითში მღვარი საზღვრულისთვისაც: ანდ. იძუ-ვ ვ-ოჯი „მამის ძმა“, იძუ-ფ

დ-ოკთ „მამის და“ და ა. შ.

ისმის კითხვა: რა სახის სინტაქსური კავშირი არსებობდა ატრიბუტივ-მსაზღვრელიანი სახელური შე-
სიტყვების უშუალო შემადგენლებს შორის?

როგორც ცნობილია, სინქრონიულ დონეზე იბერიულ-კავკასიურ ენებში მსაზღვრელები (ზელსართავი
სახელი, ნამყო დროის მიმღეობა, ნაცვალსახელი...) პრეპოზიციური წყობის ატრიბუტულ სინტაგმაში არ იც-
ვლებიან [როზენი 1844 : 6; ჩიქობავა 2008 : 85-88; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 193-194; ლომთაძე 1956 :
409; 1996 : 214-216; ბოკარევი 1959 : 42; 92-93; მაღივა 1965 : 92-95; შდრ. ვან დენ ბერგი 1995 : 57;
ისაყოვი, ხალილოვი 2001 : 265-266; მაჰომედოვა 2012 : 111...].

ერთი რიგის ზელსართავი სახელები და ნამყოს მიმღეობის ფორმები ჰინუსურ ენასა და საკუთრივ ბეჟი-
ტურ დიალექტში განიცდიან სუბსტანტივ-მსაზღვრელიანი სინტაგმის მსგავს ცვლილებას – სახელობითში
მდგარი ფორმის ბოლოკიდური ხმოვანი ერგატივსა და ირიბ ბრუნვებში იცვლება, მაგ.: ჰინ. სახ. დეგუჟე ქელ
„პატარა გოგო“ – ერგ. დეგუჟე-ა ქელი-ფ, სახ. ნექუჟე-ს ცი^წშ „მშვიერი ხარი“ – ერგ. ნექუჟე-ზა ცი^წში^წ -ფ...; ბეჟ.
სახ. Ø-უყო რჟრ „დიდი ბიჭი“ – ერგ. Ø-უყ-ა რჟ-დი, სახ. წუდლო ე^წშ „წითელი ვაშლი“ – წუდლ-ა ე^წს-ა, სახ.
Ø-უტიდო რჟრ „დაწოლილი ვაჟი“ – ერგ. Ø-უტიდა რჟ-დი და მისთ.

შემოწარმოდგენილი რელიქტური არქაიზმი, როგორც შემოთავ აღინიშნა, მიგვიტოთებს იმაზე, რომ ამ
ენათა ერთიანობის ხანაში მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსური დამოკიდებულება კლასისა და ბრუნვის
მიხედვით შეთანხმება იყო.

ბ) **სუბსტანტივ-მსაზღვრელიანი სახელური შესიტყვება.** არაიშვიათად ზოგი ტიპის ატრიბუტული სინ-
ტაგმის კომპონენტებად სუბსტანტიური მსაზღვრელი წარმოდგენილია ნათესაობითი ბრუნვაში, ხოლო
საზღვრული – სახელობითში, მაგ.: ხუნძ. ვენას-ულ (ნათ.) ჟ-ას (სახ.) „მწყემსის ვაჟი“. ამ შესიტყვებაში
საზღვრული მართავს სუბსტანტიურ მსაზღვრელს ბრუნვაში – **ვენას-ულ ჟ-ას „მწყემსის ვაჟი“** – ერგ.
ვენას-ულ ჟ-ას-ასა, მიც. **ვენას-ულ ჟ-ასასა-ე...**

ანალოგიური ვითარებაა ნახურ ენებში – საზღვრული მართავს მსაზღვრელს ნათესაობით ბრუნვაში,
მაგ.: ჩენჩ. ტულგ-ან⁵ (შდრ., სახ. ტულგ „ქვა“), წა „ქვის სახლი“, მალხან⁶ (შდრ., სახ. მალხ „მზე“) ზდენარ
„მზის სხივი“...; ინგ. დოღა⁶ (შდრ., სახ. დოღა „წვიმა“) ხიდ „წვიმის წვეთი“, წასთა (შდრ., წასთა
„სპილენძი“) კუდალ „სპილენძის თუნგი“...

ფაქტობრივ მსგავს ვითარებას ვაწყდებით ლეზგიურ ენებშიც, მაგ.: ლეზგ. სიკრენ ტეკუენ „მელიის სორო“, თაბ. ბაბან შალ „დედის შალი“, არჩ. ღიდან ნოჭ „მამის სახლი“, აღ. ვუნშიდინ თულა „მეზობლის ძაღლი“ და ა. შ.

ნათესაობით ბრუნვაში დასმული მსაზღვრელის უცვლელობა ზემომოყვანილ შესიტყვებებში ისტორიულადაც და ახლაც შეპირობებული ჩანს მისი ფლექსიური ბუნებით – წარმოადგენს ნათესაობითი ბრუნვის ფორმას, რომელსაც ატრიბუტულ სახელთა ფუნქცია დაჰკისრება. გარდა ამისა, მას აქვს პოსესიურობისა და კლასური კუთვნილებითობის ფუნქციაც.

მიუხედავად ამისა, არაერთ საკვლევ ენაში ნათესაობითში მდგარი მსაზღვრელი, ქართულია და ზოგი სხვა მონათესავე ენისაგან განსხვავებით, უფრო შეთანხმების ტენდენციას ამჟღავნებს, ვინემ მართვის მიღრეკილებას. კერძოდ, ანდიურ ენაში, ბრუნებასთან ერთად, მსაზღვრელის სინტაქსური ძალის მოღუნების ტენდენცია კლასსა და რიცხვში შეთანხმებისასაც თვალშისაცემია [ცერცვაძე 1965 : 294].

ნახურ-დაღესტნურ ენათა ისტორიულ სინამდვილეში ატრიბუტული სინტაგმის უშუალო შემადგენელთა შორის რელევანტური ოპოზიცია რეალიზებული უნდა ყოფილიყო, ერთი მხრივ, სახელობითში მდგარი ნანათესაობითარი მსაზღვრელისა და, მეორე მხრივ, დანარჩენ ბრუნვებში წარმოღვენილი მსაზღვრელის ფორმებს შორის, საილუსტრაციო მაგალითები:

მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების პარადიგმები

ა) დილოური ენა

ბრუნვები	ატრიბუტული სინტაგმა	ლექსიკური მნიშვნელობა
სახელობითი	ხანა-ს ქიდ	„მეფის გოგო“
ერგატივი	ხან-ზო ქიდბ-ჰ	„მეფის გოგომ“
მიცემითი	ხან-ზო ქიდბე-რ	„მეფის გოგოს“
ნათესაობითი	ხან-ზო ქიდბე-ს	„მეფის გოგოსი“

ცხადი ხდება, რომ სუბსტანტივ-კომპონენტებიანი ატრიბუტული სინტაგმა საკვლევ ენებში ამჟამად არასრული შეთანხმების სახით წარმოგვიდგება, რაც ისტორიულად არსებული კლასიფიკატორებით სრულად

მარკირებული შეთანხმების ტრანსფორმაციის შედეგია. ნათესაობითში მღვარი მსაზღვრელი გამოსატყულების პლანში ნულოვანი ან ნაწილობრივად მარკირებული სახით არის რეალიზებული, რაც შეპირობებულია არაერთდროული და არაერთგვაროვანი მორფოსინტაქსური ცვლილებებით [შდრ. ლომთაძე 2003 : 56-57].

2) ატრიბუტული სინტაგმის წევრთა წყობის საკითხი. ამჟამად ნახურ-დაღესტნურ ენათა სინამდვილეში დასტურდება პრეპოზიციური ტიპის მსაზღვრელ-საზღვრული: ჩენჩ. დიქა გოურ „კარგი ცხენი“, ხუნძ. შურჩინ/-აბ ხერ „მწვანე ბალახი“, ანდ. ჩონჩი ჰეკა „კარგი კაცი“, დიდ. ბ-იგუ ტექ „კარგი წიგნი“, ლაკ. უჰარასა ადიმინა „მოზრდილი (დიდი) კაცი“ და სხვ.

ნახურ და დაღესტნურ ენებში ატრიბუტული სინტაგმა უმთავრესად პრეპოზიციური (ცენტრისკენული) წყობისაა, თუმცა მსაზღვრელ-საზღვრულის პოსტპოზიციური (ცენტრიდანული) რიგიც იშვიათად დასაშვებია – იგი, როგორც წესი, გათიშულ შესიტყვებაში ან კომპოზიტებში გვხვდება.

ა) პრეპოზიციური წყობა გაბატონებულია: ჩენჩ. დ-ჟოჰვა დითთ „დიდი ხე“, დ-ჟოგხა ბდედარ „თბილი ტანსაცმელი“, ბ-ჟოგხა ქუდ „თბილი ქული“...; ხუნძ. ინსულ წარ „მამის სახელი“, ნეჟერ//ნეჟერაბ რუყ „ჩვენი სახლი“, მეთერისაებ ყო „ხვალინდელი დღე“, ლზიკაბ ჩუ „კარგი ცხენი“...; ანდ. ვოჭუნხა ვოშო „უფროსი ვაჟი“, ჩონჩი კოთუ „კარგი ცხენი“, ვოცაუვ ვოშო „მამის ვაჟი“, შივიულ’ი მიწი „დედა ენა“ (ზედმიწ. „რძის ენა“)...; ტინდ. ბეცაანუბ კაჩი „ლამაზი კაბა“, ყენუბ ზინი „მოგებული ძროხა“, ბალუბ იჟუ „ნახმარი ტანსაცმელი“...; საკ. ბეჟ. ნუქრ ჟო „მშვიდი ძაღლი“, ბუყო ბისა „დიდი თევზი“, ლ’ანა მესელო „სამი ოქრო“, კოტო ჰამძან „კარგი ცხოველი“...; ჰუნხ. ჰალღუ აკიჭალ, წაღილ ხაბარ, შიღო რატ? „თეთრი ზღაპარი, შავი ამბავი, რას ისურვებ?“ (ზაპრის დასასრული), ღა^ნყენოს სუკუ „მომავალი კაცი“, ქოშენოს სუკუ „მთიბავი კაცი“, მესეღლ’ერუ ქიდ „ოქროსფერი გოგო“ („მზეთუნახავი“), ხო ნუჯურუ სუკუ „ხორცის მჭამელი კაცი“...; ლაკ. დირი-საა ადიმინა „სწრაფი კაცი“, დირი-საა შარსა „სწრაფი ქალი“, არხ-საა შაჰრუ „შორი ქალაქი“ და მრ. სხვ.

ბ) პოსტპოზიციური წყობა ფაკულტატიურ ხასიათს ატარებს: ხუნძ. მიჯალ-კოლო „დიდუღვამებანი“ (ზედმიწ. „უღვამებ-დიდი“), მეჟერ-ხაღათ „გრძელცხვირა“ (ზედმიწ. „ცხვირ-გრძელი“), რას-ტერენ „ნახმატყლიანი“ (ზედმიწ. „მატყელ-ნახი“)...; დიდ. ჰუჰ-რეტჰივოსი „პირსახოცი“ (ზედმიწ. „სახე-ხელიანი“), ნოლ’უ-ქექა „ნაცარქექია“ (შდრ. ქართ. ნაცარ-ქექია) და მისთ.

პრეპოზიციური წყობის ჩამოყალიბება და გაბატონება, როგორც ვარაუდობენ, დამოკიდებულია საზღვრულის გავლენის გაფართოებაზე: „...იგი მყარად არის ბლოკირებული საზღვრულის მიერ“ [უთურგაძე

2009 : 163, 167]. ეგვე ითქმის ქართულისა და ქართველურ ენათა მსაზღვრელ-საზღვრელის შესახებ [ჩიქოვაძე 2008 : 87-88]. რაც შეეხება ნახურ-დაღესტნურ ენებს, სავარაუდოა, ფუძეენაშივე პრეპოზიციური წყობა იყო გაბატონებული (**მსაზღვრელი + საზღვრული**), რომლისთვისაც ხელი უნდა შეეწყო საზღვრულის (დამატების) ფაქტორს.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია საფუძვლიანი მოსაზრება, რომ ქართველურსა და აფხაზურ-ადიღურ ენებში პირველადია პრეპოზიციური წყობა: «Следовательно, для картвельских и абхазско-адыгских языков в атрибутивных синтагмах первичным является препозиционный строй, вторичным – постпозиционный» [როგავა, 1987 : 14].

ზემონათქვამი მოსაზრება შეიძლება გავრცელდეს ნახურ-დაღესტნურ ენათა როგორც ატრიბუტივ-მსაზღვრელიანი სახელური შესიტყვების, ისე სუბსტანტივ-მსაზღვრელიანი სინტაგმის სტრუქტურულ წყობაზე. ვინაიდან ყოველგვარი ატრიბუტული სინტაგმა, თუ არ ჩავთვლით სახელურ პრედიკატს, გულისხმობს მსაზღვრელ-საზღვრულს, რომელიც თავის მხრივ დაკავშირებულია პრედიკატთან – შემასმენელთან. შემასმენლისაკენ მისი გადანაცვლება მისივეს უმთავრესი ფუნქციის – საზღვრულთან სინტაქსური კავშირის მოღუნებას იწვევს. ამდენად, ყოველგვარი ატრიბუტივის ბუნებრივი ადგილი საზღვრულის წინ არის და ამიტომაც ითვლება სინტაქსურ არქაიზმად. შეიძლება ითქვას, რომ იგი, სხვადასხვა ენათა მონაცემების გათვალისწინებით, ენობრივი უნივერსალის რანგში აღის. სწორედ ამგვარი სინტაქსური არქაიზმი, ცალკეული მარგინალური ტენდენციების მიუხედავად, ნახურ-დაღესტნურ ენებში კარგად არის დაცული.

II. პრელიკატული სინტაგმა და მისი წევრთა წყობის საკითხები

პრელიკატული სინტაგმა შედგება პრელიკატისაგან (შემასმენელი) და მისი ოქტანტებისაგან: სუბიექტისა (ქვემდებარე) და ობიექტისაგან (დამატება). პრელიკატული სინტაგმის მთავარი წევრების გარდა, შეიძლება სხვა (მეორადი) წევრებიც გამოვყოთ, ესენია: განსაზღვრება და გარემოება (ადგილისა, დროისა, ვითარებისა, მიზნისა და მიზეზისა). ნახურ-დაღესტნურ ენათა ჩვენების საფუძველზე ადვილად ხერხდება პრელიკატული სინტაგმის წევრთა განლაგების სქემის დადგენაც, რომლის წარმოდგენაც შემდეგი სახით შეგვიძლია: სუბიექტი - (ობიექტი) - პრელიკატი. თანამედროვე ნახურ-დაღესტნურ ენებში წინადადების წევრთა წყობა მეტ-ნაკლებად თავისუფალია – საკვლევ ენათა შემასმენელი ამგვარ შესიტყვებაში ჩვეულებრივ ქვემდებარის მომდევნო ადგილს იჭერს, თუმცა ქვემდებარის წინაც შეიძლება დაგვიდასტურდეს, ე. ი. წინადადების წევრთა წყობა ძირითადად თავისუფალია. ამგვარი წყობისაგან თვალსაჩინოდ განსხვავდება ზმნური სინტაგმის წევრთა წყობა, რომელშიც გაბატონებულია პოსტპოზიციური წყობა (ქვემდებარე + შემასმენელი), ხოლო შებრუნებული წყობა (შემასმენელი + ქვემდებარე) – მასზე დამოკიდებული და ფაკულტატიური ხასიათის მატარებელი. სამწევრა შესიტყვებაში, როგორც წესი, ამგვარი ფორმულა დასტურდება: „ქვემდებარე + პირდაპირი დამატება + შემასმენელი“.

შემასმენელი ნახურ-დაღესტნურ ენებში ენებში გამოიხატება, როგორც წესი, ზმნის პირიანი ფორმით, თუმცა ზოგიერთ ენაში ნაზმნარსახელიანი კონსტრუქციებიც დასტურდება. აღსანიშნავია, რომ ამ კონსტრუქციებში ნაზმნარი სახელი ისევე მართავს ქვემდებარესა და დამატებას ბრუნვაში, როგორც ზმნის პირიანი ფორმა. სინტაქსურ კონსტრუქციათა საკითხი გადაჯაჭვულია ზმნის გარდამავლობა-გარდაუვალობის საკითხთან. სწორედ შემასმენლის ტიპი განსაზღვრავს პრელიკატული სინტაგმის კონსტრუქციას: გარდაუვალ ზმნასთან გვექნება აბსოლუტური (ნომინატიური) კონსტრუქცია, გარდამავალთან – ერგატიული, ხოლო გრძნობა-აქმის სემანტიკის გამომხატველ ზმნებთან – დატიური (აფექტური). შედარებით იშვიათად დასტურდება პოსესიური („ყოფნა“ ზმნასთან, როდესაც იგი ქონა-ყოლის მნიშვნელობას გადმოსცემს) და ლოკატიური კონსტრუქციები. იქიდან გამომდინარე, რომ პირველი სამი კონსტრუქცია ყველა ნახურ-დაღესტნურ ენაში დასტურდება, ძნელი არ იქნება მათი არსებობა ნახურ-

დაღესტნურ ენათა ერთობის დონეზე ვივარაუდოთ. პოსესიური და ლოკატიური კონსტრუქციების არსებობის დაშვება კი საერთო-ნახურ-დაღესტნურ დონეზე სათუთა.

კონსტრუქციის შესაბამისად სუბიექტი ნახურ-დაღესტნურ ენებში ძირითადად სამი ბრუნვის ფორმითაა გადმოცემული, ესენია: აბსოლუტივი (სახელობითი), ერგატივი, მიცემითი. როგორც აღინიშნა, დასტურდება სუბიექტი ნათესაობითში და ლოკატიური ბრუნვების ფორმით.

აბსოლუტივის ფორმით გადმოცემულია გარდაუვალი ზმნის სუბიექტი, მაგ., ჩენ. ჰორზა დ-დექა „ჩიტი გალობს“, ბ'ასთაღე დ-რლუ „გაზაფული მოღის“; ინგ. ხა დ-ჟორა „დრო მიღის“; ლოა დ-დეღს „თოვლი მოღის“; მუხ ჰაღევ „ქარი ქრის“; ბაცბ. ფჰარჩ ახე „ძაღლები ყეფენ“; ბადერ დ-ათხე „ბავშვი ტირის“; მემცხორ ლათთერა „მეცხვარე იღვა“; ბეჟ. იღო ბილ'ოლა დ-ენტედო „ლეღა შინ წავიდა“; ჰუნზ. ქიდ დ-იღზარ „გოგონა ატირდა“; დარგ. ნემ რ-აკიბ „ლეღა მოვიდა“; ლეზგ. ბუბა ძენა „მამა წავიდა“, თაბ. რიმ ჟარღურა „გოგონა მირბის“, ნალუქარ ულუბყუ „გაზაფხული დაღვა“, აღ. შინიქჟ ითარზ'უნე „ბავშვი დაავადდა“, რუთ. ნ'ად ლარზგრა „წყალი აიძვრა“, წახ. სანიზა დექ ვარგ „გუშინ მამა დაბრუნდა“, არჩ. დიდა ვირხუენშივი „მამა მუშაობს“, კრიწ. ლიძ უხუარაჯ „მტრელი ლულუნებს“, ბუდ. ვირაღ დგხ ვარჭური „მზე ადრე ამოღის“, უდ. ჩობან ონებზისინ ენესა კუა „მწყემსი ტირილით მოღის შინ [სახლში]“ და სხვ.;

ერგატიული ბრუნვის ფორმით გადმოცემულია გარდამავალი ზმნის სუბიექტი, მაგ., ჩენ. კანთა სინთარნა ხი დოთთი „ბიჭმა ნერგს წყალი დაუსხა“, თრაქთორჟორ არღე ოხუ „ტრაქტორი მინდორს ხნავს“; დანს გოჟრ დიგი „მამამ ცხენი წაიყვანა“; ხუნძ. დიცაჰ ჰაბ ტენ'აღ'ულ ტიმულ მაჭარულ რაჭაბაზულ ქუნანზ ბ-უყუღებ ბ-უგო „მე ამ წიგნის ყდას („ტყავს“) ხუნძური სიტყვების ძაფით კეკრავ“, ნიჟერგო ჟ-ას მუჰამადიცაგი ქუმექჟ ჰაბუნანა დოსდე „ჩვენი ვაჟი მაჰამედიც მიეხმარა მას“; დიდ. ბელ'იჯანზ ბ-ენურსი ბოწი „მონადირემ მოკლა ძგელი“, ჟეკა ბ-აწსი მაგალუ „კაცმა შეჭამა პური“; ბეჟ. დიდელა ოდ აჟდაჰ ბ-იტედო „ჩემმა ძაღლმა ურჩხული მოკლა“; დარგ. ნუნი ყაწ ბურქუნრა „მე პური შევჭამე“; ლურჰალი მამა ბუჯული სად „ბავშვი ძუძუს წოვს“; ლეზგ. ფაფაჰა ქუარ ვაჩუნა „ქალმა დოქი აიღო“, თაბ. ჰურჩაბნი ლეყ ლიბისნუ „მონადირემ არწივი დაიჭირა“, აღ. ხაფაჯანდი ხუბ რუქუნე „მეცხვარემ ცხვარი დაკლა“, რუთ. ნინღ დექჟ ჰუნ'ჟარა „ლეღა ხორცს ხარშავს“, წახ. დექჟე ბალქჰან ალიჟ'შუნა „მამამ ცხენი იყიდა“, არჩ. ჰელში ნაჟუჟ ჭარ აჟ „წვიმამ მიწა დასველა“, კრიწ. ძირარ ხ'ანიდარ ქუტულჯი „კაცმა კამეჩები შეაბა“, ბუდ. სოქულდურ ჯიბჯიბერ საყალჯი „მელიამ წიწილები შეჭამა“...

ერგატივის ფორმა თანაბრად იხმარება ყველა ღრო-კილოს ფორმასთან და ქართულ თარგმანში მას შეესატყვისება ხან მოთხრობითი, ხან სახელობითი, ხოლო ზოგჯერ – მიცემითი ბრუნვაც, შდრ. ჩენ. ბერ-ჟო შურა მოლუ „ბავშვი (ერგ.) რძეს სვამს“; ნანა-ს კანთანა შურ დ-ელი „დედამ ბიჭს რძე მისცა“; ნანა-ს ბერ დ-ჟგუ „დედას (ერგ.) ბავშვი მიჰყავს“...

მიცემითი ბრუნვის ფორმით გადმოცემულია გრძნობა-აქმის (verba sentiendi) ზმნების რეალური სუბიექტი, მაგ., ჩენ. დენა **გაზიეთ დ-დემ** ლა' ა „მამას გაზეთის წაკითხვა უნდა“, სთუდენტაშნა დიქა ხა' ა ხალყან ხეღობარშ „სტუდენტებმა (მიც.) კარგად იციან ხალხური ცეკვები“; ხუნდ. ინსუდ-ე ჟინდორგო ჟ-ას ჟ-ოტუულა „მამას თავისი ვაჟიშვილი უყვარს“, ლოდ დ-ას დ-ატინინ დიდე „ის გოგო მომწონს მე“; დიდ. ობიდე-რ იქჟადს **უჟი** „მამამ დაინახა ვაჟი“, ქილბე-რ ეთის **უჟი** „გოგოს უყვარს ბიჭი“; ბეჟ. აბო ოუდი-ლ ბიტუ ნილიდო „მამამ ვაჟიშვილს ცხვარი მისცა“, ჰუნზ. ოუ-დი-ლ ქილ-მან (ვათ) მი-დარ „ვაჟმა გოგოს (ხელი) დაარტყა“; ლეზგ. რუმაზ ქაჯ აქოუნა „გოგონამ კატა დაინახა“, თაბ. შუბარიზ ნიმჟარ დიდიჟნუ „გოგონებმა ტყის მარწყვი იპოვეს“, აღ. ზუს ვე თაურ ხ'უდეჟ „მე შენი სახელი ვიცი“, რუთ. ხენიმემის დიმაღლლ ლუღრეს ბალა ჰგეგარ „ბავშვებს ვირით გასეირნება ძალიან უყვართ“, წახ. დედის ჯენა დის გქან „დედას თავისი ვაჟი უყვარს“, არჩ. ბეზ დამუბ წად ბაქოურშიბი „მე ამ თხას ვხედავ“, კრიწ. წან ხორ წან ინ-ჯი „მე ძაღლის ყეფა გავიგე“, ბუდ. ზგზ ვგნ ინჯითმი სიფი დიქდღდ „შენი შეწუხება არ მინდა“, უდ. მე **ადამარ-ა** ბუტუყსა ჩუბუხ „ამ **ადამიანს** უყვარს ცოლი“...

ერგატიული სისტემა, სხვასთან ერთად, იმასაც გულისხმობს, რომ გარდამავალი ზმნის უახლოესი (პირდაპირი) ობიექტი იმავე ფორმითაა წარმოდგენილი, რითაც გარდაუვალი ზმნის სუბიექტი. ამ მხრივ თითქმის ყველა ნახურ-დაღესტნურ ენაში ერთგვაროვანი მდგომარეობა დასტურდება – პირდაპირი ობიექტი წარმოდგენილია ოდენ აბსოლუტივის ფორმით, ისე როგორც გარდაუვალი ზმნის სუბიექტი. განსხვავებული ვითარება კავკასიის ალბანურსა და უდიურში გვხვდება. უდიურში პაციენსი აბსოლუტივთან ერთად შეიძლება იყოს წარმოდგენილი II მიცემითის (ზოგჯერ – I მიცემითის) ფორმით, ხოლო კავკასიის ალბანურში პირდაპირი ობიექტი გადმოიცემოდა აკუსატივის ტიპის ბრუნვით (უდიური II დატივის ანალოგი), რომელიც, ამავე ღროს, ლოკატივადაც გამოიყენებოდა, მაგ., უდ. ზუ თასსა ჩურუფსან **ბედ-ნ-უხ** ყა **ხამ-ნ-უხ** „მე მივდივარ სამებნელად **მზისა** და **მთვარისა**“, კავკ.-ალბ. ჰეყადნე დ[ესუ]სენ **პეტროს-ან** უნ **დაკობ-ან** უნ **დოჰანან-ან** ვიჩი-ეხ ოდა “წაიყვანა იესომ **პეტრე** და **იაკობი** და **იოანე** ძმა მისი”, ქ[რისტო]ს-ენ ბუყანაბი-ად ჰაჭინკ **ეკლესი-ან** “როგორც ქრისტემ შეიყვარა ეკლესია”...

აბსოლუტივი ნახურ-დალესტნურ ენებში პირდაპირ ობიექტად მიცემით-სუბიექტიან, ნათესაობით-სუბიექტიან და ლოკატივ-სუბიექტიან ზმნებთანაც გვევლინება, მაგ., ხუნძ.: ინსუდ-ე (RS/DAT) ჟინდირგო ჟ-ას (RO^d/NOM) ჟ-ოტუულა „მამას თავისი ვაჟიშვილი უყვარს“, დოჲ დ-ას (RO^d/NOM) დ-ატუინინ დიდე (RS/DAT) „ის გოგო მომწონს მე“; შამილი-ლ (GS) ლზიკ-აბ ჩუ (RO^d) ბ-უგო „შამილს ცხენი ჰყავს (ზედმიწ. „შამილს ცხენი არის“), ინსა-ულ (GS) დ-ას (RO^d) დ-იგო „მამას ქალიშვილი ჰყავს (ზედმიწ. „მამისა ქალიშვილი არის“)“; ინსუდა (RS/LOC) ჟინდირგო ლზიმერ (RO^d) ბ-იჰულა „მამა ხედავს თავის შვილს (ზედმიწ. „მამისდა თავისი შვილი ჩანს“, ჟაცასადა (RS/LOC) ჰარატუ რაჰულა (RO^d) „მამას ხმა ესმის“...

ორიბი ობიექტის სხვადასხვა სახეობიდან ნახურ-დალესტნურ ენებში გავრცელებულია ადრესატული და ინსტრუმენტალური. პირველი, როგორც წესი, დატივის ფორმითაა გადმოცემული, ხოლო მეორე ისტორიულად უნდა ყოფილიყო ერგატივით (ერგატივ-ინსტრუმენტალისით) წარმოდგენილი.

პრედიკატული სინტაგმა, რომელიც, ჩვენი აზრით, საერთო-ნახურ-დალესტნურ ღონეზე სამი კონსტრუქციით იყო წარმოდგენილი (აბსოლუტიური, ერგატიული, დატიური), ნახურ-დალესტნურ ენებში სხვადასხვა ცვლილებები განიცადა. ზოგიერთ ენაში თვალმისაცემია კლასიკური ერგატიული კონსტრუქციის რყევები. წახურსა და არჩიბულში გარდამავალი ზმნის ანალიტიკურ ფორმასთან დასაშვებია როგორც ერგატივფორმიანი, აგრეთვე აბსოლუტივფორმიანი სუბიექტი, მაგ., წახ. დაქჲ ზერ ტალაბზ ვო-ბ (ერგ.) ~ დაქჲ ზერ ტალაბზ ვო-რ (აბს.) „მამა ძროხას ეძებს“ [კიბრიკი 1980: 3], არჩ. ბომორმუ კოს არმი ი (ერგ.) ~ ბომორ კოს არმი ვ-ი (აბს.) „კაცი დანას აკეთებს“. ის, რომ აბსოლუტივიანი ფორმები შეზღუდული რაოდენობით გვხვდება, მათ მეორეულობაზე მეტყველებს. საფიქრებელია, რომ ამდგვარ ფორმათა გაჩენა განპირობებულია წინადადების სხვადასხვა წევრების ლოგიკური გამოყოფის სურვილით [კიბრიკი 1975].

ლაკური ენისათვის დამახასიათებელი თავისებურება, არაერთ სხვა ნახურ დალესტნურ ენათაგან განსხვავებით, როგორც ცნობილია, არის ის, რომ ერგატივის ფუნქციას აქ ასრულებს ნათესაობითი ბრუნვა, რომლის ნიშანია -ლ, მაგ., ორჯალ ჩალარ ჩივჩუნნი „ბიჭმა წერილი დაწერა“, შდრ. გარდაუვალ ზმნასთან: ორჯ ლავგუნა „ბიჭი წავიდა“.

ასევე უნდა აღინიშნოს უდიურსა და კავკასიის ალბანურში აკუსატივის ტიპის ბრუნვის ჩამოყალიბება. როგორც გვიჩვენებს სპეციალური გამოკვლევა, უდიური „აკუსატივი“ მეორეულია და ერთ-ერთ ლოკატივს უკავშირდება [ფანჩვიძე 1940]. შემდგომი ტრანსფორმაცია სუბიექტურ-ობიექტური

ურთიერთობებისა უდიურში უკვე სუბიექტის გამოხატვის უნიფიკაციისკენ განვითარდა: ნიჯური კილოს მირზაბეილის თქმაში გარდამავალ ზმნებთან ერგატივს ცვლის აბსოლუტივი, მაგ., ბაბა უშე ქაჯაე „მამა შეშას ჩეხავს“, ვიჩი ონე ცაფე „მამა ბალახს თიბავს“ [გუკასიანი 1977 : 289].

დატიური კონსტრუქციის რეინტერეტირებულ ვარიანტს წარმოადგენს აფექტური კონსტრუქცია, რომელიც ანდიურ ენებსა და წახურში იჩენს თავს, მაგ.: ანდ. ვ-ოშე-რ-ო (RS/AF) ჰილულო ხაუჩა (RO^d/NOM) „ვაიშვილს უყვარს წიგნი“, იმუ-ჟ-ო (RS/AF) ჰილულო ვოშო (RO^d/NOM) „მამას უყვარს ვაიშვილი“; წახ. ზა-კლე (RS/AF) აწან (RO^d/NOM) დგლზ ლო „მე ვიცი შენი სახელი“... სავარაუდებელია ამ ბრუნვის ლოკატიური წარმომავლობა.

საყურადღებოა, რომ უდიურ ენასა და ახვასური ენის ცეჰობურ თქმაში ვაწყდებით საინტერესო თავისებურებას - გრძნობა-აქმის ზმნებთან ქვემდებარე ლოკატიური ბრუნვის ნაცვლად ერგატივში დგას. მიცემითის შეცვლა ერგატივით უდიურში ახალ მოვლენას წარმოადგენს. ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში გრძნობა-აქმის ზმნების სუბიექტი ხშირად გვევლინებოდა როგორც დატივი I-ის, ისე მეორე მიცემითის ფორმით, მაგ., ტე ვახტა ისუსა (RS/DAT I) ანდახტუბი იჩენ იჩბოშ, თე ჭერინე იჩხო ზორ „მამინ იესოშ იგრძნო თავის თავში, რომ მას ძალა გამოსვლია (წართმევია)“; ვა^c თეტუაბა შეტუხ (RS/DAT II), ეთარ ახრახ შეტინ ბინეხი იჩ „და არ იცოდა იგი, თუ მან როგორ შობა ბოლოს თავისი პირველი შვილი“... ახვასურშიც ეს მოვლენა სავსებით სამართლიანად მეორეულად არის მიჩნეული [მაჰომედბეკოვა 1967 : 135].

ნახურ-დაღესტნურ ენებს არ მოიპოვებათ „ქონა-ყოლის“ აღმნიშვნელი ზმნები და შესაბამისი შინაარსი ზოგიერთ ენაში (ხუნძურ-ანდიურ-დილოური ენები, დარგუული, ზოგიერთი ლეზგიური ენა) გადმოიცემა წინადადების ნათესაობითიანი (პოსესიური) კონსტრუქციის მეშვეობით, მაგ., დარგ. დილა-RS უუზ-RO ლებ „მე წიგნი მაქვს“, ზედმიწ. „ჩემი წიგნი არის“.

განსხვავებული ვითარება დასტურდება ამ მხრივ ლაკურში, ნახურ ენებსა და ზოგიერთ ლეზგიურ ენაში. ლაკურში „ქონა-ყოლის“ შინაარსის გადმოსაცემად რეალური სუბიექტი მეშველ ზმნა-შემასმენელთან (ბ-ურ „არის“) დაისმის არა ნათესაობით, არამედ V სერიის ლოკატიურ (ადგილობით) ბრუნვაში: თოუჭა-RS ლუ-RO ბურ „მე წიგნი მაქვს“, ზედმიწ. „ჩემთან წიგნი არის“; თანაჭა-RS წოუსა ვათაა-RO ბურ „მას ახალი სახლი აქვს“, ზედმიწ. „მასთან ახალი სახლი არის“ (ლოკატ. თა-ნა-ჭა „მასთან“, სახ. თა „იგი“) და სხვ. ლაკურის ვითარება ანალოგიურია ნახური ენებისა, რომლებშიც მეშველი ზმნა ასევე

ლოკატიურ კონსტრუქციას ქმნის, თუ იგი „ქონა-ყოლას“ გამოხატავს, მაგ., ჩეჩნ. ცუნგაჰ-RS გოქრ-RO დუ „მას ცხენი ჰყავს“, ზედმიწ. „მასთან ცხენი არის“, განსხვავებით დაღესტნურ ენათა დიდი ნაწილისგან, რომელთათვისაც სწორედ ნათესაობითიანი კონსტრუქციაა ნიშანდობლივი პოსესიურობის გამოსახატავად.

ლოკატიური კონსტრუქცია კიდევ რამდენიმე ფუნქციით დასტურდება:

1) Verba Sentiendi-ს ტიპის პირველადი ინვერსიული ზმნების ერთი ნაწილი: ხუნძ. ინსულა (RS/LOC) ჟინდირგო **ღიმერ** (RO^d) ბ-იჰ-ულა „მამა ხელავს თავის შვილს (ზედმიწ. „მამისდა თავისი შვილი ჩანს“, ჟაცასაღა (RS/LOC) ჰარაუტ^ა რაჰ-ულა (RO^d) „მმას ხმა ესმის“...;

2) ზოგი პოტენციალიის სემანტიკის ან კუთვნილების გამომხატველი გარდაუვალი ზმნა: დიდ. ნესი-ვ (RS/LOC) რ-აწელ'ხო რელ' (RO^d) „მისგან (ზედმიწ. „მასზე“) იჭმება ხორცი“, ლები ლ'ჟაჲ (RO^d) დ-ეხუს ლჷ-ვ (RS/LOC) „შენი ძალლი შემომაკვდა მე“ (ზედმიწ. „შენი ძალლი მოკვდა ჩემგან“, შღრ. ლ'ჟაჲ დ-ეხუს „ძალლი მოკვდა“)...; საკ. ბეჟ. მიჟუგ (RS/LOC) შუშა (RO^d) ლიტტო, აწი გიჭკო! „თქვენ თუ ბოთლი გაქვთ (ზედმიწ. „თქვენთან ბოთლი თუ არის“), სასმელი ჩაასხი!“;

ამას გარდა, ერთი რიგის გარდამავალი ზმნები (ბ-იჟ-ა „მოგება“, ბ-აჰ-ა „შეძლება“, ბ-ოჟ-ა „ნლობა“, „რწმენა“...) უბრალო დამატებას (სირკონსტანტს) სხვადასხვა ლოკატიურ ბრუნვაში სვამენ [იხ. ვან დენ ბერ-გი 1995 : 123-124; ლომთაძე 2003 : 53-55].

იქიდან გამომდინარე, რომ გენეტიური და ლოკატიური კონსტრუქციები არ გვხვდება ნახურ ენებში (თუ არ ჩავთვლით ლოკატივის გამოყენებას პოსესიური კონსტრუქციის ნაცვლად), ხოლო დაღესტნურ ენებში არაერთგვაროვანი ვითარება დასტურდება, ვფიქრობთ, რომ საერთო-ნახურ-დაღესტნურ ქრონოლოგიურ დონეზე გენეტიური და ლოკატიური კონსტრუქციების პოსტულირება არამართებულია.

იმის მიუხედავად, რომ ყველა თანამედროვე ნახურ-დაღესტნურ ენაში გვაქვს ოპოზიცია გარდამავლობა/გარდაუვალობის მიხედვით, მაინც უნდა ვივარაუდოთ, რომ ამოსავალი სისტემისათვის ნიშანდობლივი იყო ლაბილურ ზმნათა დიდი რაოდენობა. მათი რაოდენობა დღესაც დიდია ლეზგიურ ენებში. ანდიურ ენათა და მეტადრე კი ხუნძური ზმნა ლაბილური ბუნებისაა, რაც საფუძველი ხდება გვართა გაურჩევლობისა და ყოველგვარი თავისებური სინტაქსური შედეგისა. კერძოდ, ზმნის ერთი და იმავე ფორმით აღინიშნება როგორც ვნებითი გვარის ზმნა, ისე - მოქმედებითი გვარისაც (ჟაცასა **შიშა ბ-ეჰანა** „მამამ ბოთლი გატეხა“, **შიშა ბ-ეჰანა** „ბოთლი გატყდა“), რაც არქაულ მოვლენად მიიჩნევა [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 242-245]. დიდოურ ენათა ზმნა, ხუნძურ-ანდიურ ენთა ზმნისგან განსხვავებით, მეტი სტა-

ბილურობით გამოირჩევა, თუმცა დილოურ ენებშიც მარტივი და იტერატიული სემანტიკის ზმნათა შედარება-შეპირისპირების საფუძველზე შემჩნეულია ლაბილური ზმნების არსებობაც [იმნაიშვილი 1963 : 257], რომლებიც ქმნიან როგორც ნომინატიურ, ისე ერგატიულ კონსტრუქციას. ამასთანავე, ერგატიულ კონსტრუქციაში ქვემდებარე ლოკატიურ ბრუნვაში დგას, მაგ.: საკ. დიდ. **როჩ რ-**ეტუს „თოკი გაწყდა“, მაგრამ: **როჩ რ-**ეტუს დჰჰ „თოკი გაწყვიტე მე“...

პრელიკატული სინტაგმის წევრთა მართვა-შეთანხმების საკითხი

საერთო-ნახურ-დალესტნურ ქრონოლოგიურ დონეზე მართვა-შეთანხმების საერთო პრინციპებად უნდა მივიჩნიოთ: შემასმენელი მართავდა ქვემდებარესა და დამატებას ბრუნვაში. გარდაუვალი ზმნა ქვემდებარესაგან მოითხოვდა აბსოლუტივის ფორმას, გარდაუვალი – ერგატივის, ხოლო გრძნობა-აქმის ზმნები – დატივის. პირდაპირი დამატების ბრუნვა ნებისმიერი ტიპის კონსტრუქციაში (ერგატიულდა თუ დატიურში) იყო აბსოლუტივი, ხოლო ირიბი დამატების – დატივი. თავის მხრივ, სახელი (ქვემდებარე-შემასმენელი) მართავდა ზმნას კლასში. აღსანიშნავია, რომ ზმნას კლასში ყოველთვის მართავდა აბსოლუტივში მდგომი სახელი, ანუ გარდაუვალი ზმნა – სუბიექტს, ხოლო გარდამავალი – პირდაპირ ობიექტს.

ქვემდებარე-შემასმენლის (გარდაუვალი ზმნის) და დამატება-შემასმენლის (გარდამავალი ზმნის) შეთანხმება ხდებოდა რიცხვის მიხედვით. რიცხვში შეთანხმება ხორციელდებოდა კლასის მეშვეობით.

ნახურ-დალესტნურ ენებში სინტაქსურმა ურთიერთობებმა შემდეგი ცვილებები განიცადა: ლეზგიურში, ალუურში, უდიურსა და თაბასარანული ენის სამხრულ კილოში მოიშალა გრამატიკული კლას-კატეგორია და, შესაბამისად, ზმნის კლასოვანი უღვლილება. მეორე მხრივ, ბაცბურში, ლაკურში, დარგუულში, კაკასიის ალბანურში, უდიურსა და თაბასარანულში ჩამოყალიბდა პიროვანი უღვლილების სისტემა.

თაბასარანულში პირის ნიშნის ფუნქციით შეიძლება მოგვევლინოს პირის ნაცვალსახელთა თითქმის ნებისმიერი ბრუნვის ფორმა [ხანმაგომელოვი 1970, 71], მაგ., დიზ ბად ლურა-დიზ „ჩემი შვილი მოდის“, უზუჰნა რიშ ღურა-ზუჰნა „ჩემთან ქალიშვილი მოდის“ და ა. შ., თუმცა სისტემურად თაბასარანულში ზმნაში აღინიშნება მხოლოდ სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის პირი. თავდაპირველი სისტემა თაბასარანულ

ენაში პირის ნიშანთა სამი სერიით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი: აბსოლუტიური (-ზუ (I პ., მხ. რ.), -ვუ (II პ., მხ. რ.) და ა. შ.), ერგატიული (-ზა (I პ., მხ. რ.), -ვა (II პ., მხ. რ.) და ა. შ.), აფექტური (-ზუზ (I პ., მხ. რ.), -ვუზ (II პ., მხ. რ.) და ა. შ.). ერგატიული სერიის პირის ნიშნები ამჟამად როგორც გარდამავალი, ისე თითქმის ყველა გარდაუვალი ზმნის სუბიექტს აღნიშნავს, ხოლო პირის ნიშანთა აბსოლუტიურ სერიას შემორჩენილი აქვს პირდაპირ ობიექტისა და ზოგიერთი გარდაუვალი ზმნის აღნიშვნის ფუნქცია. აბსოლუტიური სერიის პირის ნიშნებით აღინიშნება იმ გარდაუვალ ზმნათა სუბიექტი, რომელიც გადმოსცემს უნებურ მოქმედებას, მაგ., სარუნ ღავრი ღან უნ-ზუ „ეხლა მე გავიგე“, უკუ რაზუდიცან ჰაპუზ ადაუნა-ვუ „შენ რატომ შეგეშალა გზა?“ [ხანმაგომელოვი 1970: 68].

უდიურსა და კავკასიის ალბანურში როგორც გარდაუვალი, ისე გარდამავალი ზმნასთან აღინიშნება ოდენ სუბიექტის პირი. უდიურ ზმნაში შეგვიძლია გამოვყოთ სამი ჯგუფი, რომლებსაც ახასიათებს პირის ნიშანთა საკუთარი სერია. I ჯგუფში შედის ზმნების აბსოლუტური უმრავლესობა, ესაა – გარდაუვალი და გარდამავალი ზმნები, რომლებიც მოითხოვენ სუბიექტს სახელობით ბრუნვას ან ერგატივში. II ჯგუფს განეკუთვნება გრძნობა-აღქმის სემანტიკის გამომხატველი ზმნები (*Verba Sentiendi*), III ჯგუფში კი ერთი ლექსური ზმნა ბუ „ყოლა“, „ქონა“ შედის (ეს ზმნა მხოლოდ აწმყოსა და ნამყო-უწყვეტელის დროებს აწარმოებს, ხოლო დანარჩენ პარადიგმას ბაქ-ეს „ყოფა“, „არსებობა“ „გახდობა“ ზმნის დრო-კილოები ივსებენ).

განსხვავებული ვითარება დასტურდება ნიჯურ დიალექტში. ვართაშნულ კილოში „ქონა“-„ყოლის“ აღმნიშვნელი ზმნისათვის (ნიჯ. ფაუ) დამახასიათებელი III (პოსესიური; გენეტიური) სერიის პირის ნიშნები შეიცვალა II (მიცემითსუბიექტიანი) სერიის პირის ნიშნებით, ხოლო ვართაშნულში გრძნობა-აღქმის ზმნებთან დადასტურებული ლატიური კონსტრუქცია ნიჯურში შეიცვალა ერგატიულით და შესაბამისად *Verba Sentiendi* ზმნები I სერიის პირის ნიშნებს დაირთავს. მაშასადამე, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ერთი ზმნის ჩვენებას (ფაუ „ყოლა“, „ქონა“), შეიძლება ითქვას, რომ ნიჯურში მოხდა პირის აღნიშვნის სისტემათა უნიფიკაცია.

აღსანიშნავია, რომ უდიურსა და კავკასიის ალბანურში ჩამოყალიბდა თავისებური პიროვანი შეთანხმების სისტემა, რომელსაც ახასიათებს პირის ნიშნით ფოკუსის მარკირება, ანუ თუ წინადადებაში შემასმენელი არ იმყოფება ფოკუსში, ასეთ შემთხვევაში პირის ნიშანი დაერთვის არა პრედიკატს, არამედ ფოკუსში მყოფ წინადადების სხვა წევრს.

პიროვანი სუბიექტური შეთანხმების ფაქტები კრიწულშიც შეინიშნება, მაგ., ზენ ქარჯან თეზფანს შერ-ზენ „მე სამსახურში მივიჩქარი“, ზენ მარქა ქონვერთჯუ ვაჭქოლუ-ზენ „მე კონვერტს მარკა მივაწებე“. ამასთან, კრიწულში ჩამოყალიბდა სუბიექტური (კონსტრუქციის მიუხედავად) და ობიექტური სერიების პირის ნიშნები. ბულუხურში ამდაგვარი მაწარმოებლები პრეფიქსებად გვევლინება და ერთვის ნაცვალსახელით გამოხატულ დამატებას, მაგ., ზენ ზე-ვეზ სუქალ დევედჯი „მე შენ დავისვი კითხვა“...

ამას გარდა, პირის კატეგორიის ჩანასახი დასტურდება ჩეჩნური ენის ქისტურ დიალექტში, ხუნძური ენის ჭარულ დიალექტში, ახვახური ენის ჩრდილოურ დიალექტსა და ბეჟიტური ენის ჰუნზიბურ დიალექტში.

ლუზგიურსა და ალულურში მოიშალა კლასოვანი უღვლილება და არ განვითარდა პიროვანი. შესაბამისად, არ გვაქვს არც შეთანხმება რიცხვში შემასმენელსა და ქვემდებარე-დამატებას შორის და არც ქვემდებარე-დამატება მართავს შემასმენელს კლასსა თუ პირში.

III. სინტაქსური კონსტრუქციები

ნახურ-დაღესტნურ ენათა პრედიკატულ სინტაგმაში ძირითადად სამი კონსტრუქცია გამოიყოფა. კონსტრუქციის არსებობა დაკავშირებულია სუბიექტის ბრუნვასთან - სუბიექტს ბრუნვაში მართავს ზმნა. ზმნისგან მართული სუბიექტი შეიძლება იდგეს სახელობითში (ნომინატივში), ერგატივში, მიცემითში (დატივში), შედარებით იშვიათად - ნათესაობითსა და ლოკატიურ ბრუნვებში.

შესაბამისად, ნახურ-დაღესტნურ ენებში გამოიყოფა შემდეგი სინტაქსური კონსტრუქციები:

- ა) ნომინატიური კონსტრუქცია;
- ბ) ერგატიული კონსტრუქცია;
- გ) დატიური კონსტრუქცია;
- დ) პოსესიური კონსტრუქცია;
- ე) ლოკატიური კონსტრუქცია;

როგორც ითქვა, ამ კონსტრუქციათაგან ძირითადია პირველი სამი კონსტრუქცია, რომლებიც ნახურ-დაღესტნურ ენათა ერთობის დონეზე უნდა არსებულიყო. პოსესიური და ლოკატიური კონსტრუქციების არსებობის დაშვება იმავე დონეზე საგანგებო ძიების საგანი უნდა იყოს.

ნომინატიური კონსტრუქცია. ნახურ-დალესტნურ ენებში ნომინატიურ კონსტრუქციას ქმნის გარდაუვალი ზმნა. გარდაუვალი ზმნის პრედიკატული სინტაგმა ორწევრიანია - ზმნასთან მხოლოდ სუბიექტი არის დაკავშირებული, რომელიც სახელობით ბრუნვაში (ნომინატივში) ღვას. მამასადამე, ზმნა მართავს სახელს ბრუნვაში.

ნახურ-დალესტნურ ენათა უმრავლესობაში ზმნათა ნაწილი იცვლება გრამატიკული კლასის ნიშნების მიხედვით. შესაბამისად, კლასის ნიშნის მქონე ზმნას კლასში მართავს მასთან დაკავშირებული სახელი - სუბიექტი. ეს წესი საერთოა ყველა ენაში, სადაც ზმნა განარჩევს გრამატიკულ კლასის ნიშანს. ეს წესი, რა თქმა უნდა, არ მოქმედებს უკლასნიშნო ზმნებთან. უკლასნიშნო ზმნას სუბიექტი უკავშირდება სემანტიკურად, მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითები სხვადასხვა ჯგუფის ენებიდან:

ჩენური: ბერ დ-ჭლხუ; ბერამ ლოჟუ ბდემჰჰა „ბავშვები თამაშობენ ბაღში“;

ინგუშური: ბერ დ-დელხ „ბავშვი ტირის“; ‘ არამხი თირქახ ვდეთა „არამხი თერგს უერთდებდა“;

ბაცბური: ცოკალ სორუდ დ-ნფლ „მელა სოროში შეძვრა“;

ბეჟიტური: იდო ბილ'ოლა დ-ენტელო „ლელა შინ წავიდა“;

ჰუნზიბური: ქიდ დ-იდზარ „გოგონა ატირდა“;

დარგუული: ნემ რ-აკიბ „ლელა მოვიდა“;

თაბასარანული: რიმ ჟარლურა „გოგონა მიიბრუნა“; ხადლუქარ ულუბყუ „გაზაფხული დადგა“;

ულიური: ადამარ არცინე „ადამიანი ზის“; ღარ ბასკინე „ბიჭი წევს“;

მაგალითების გამრავლება შეიძლება.

მამასადამე, ნომინატიური კონსტრუქცია ნახურ-დალესტნურ ენებში დაკავშირებულია გარდაუვალ ზმნასთან - პრედიკატთან, რომელსაც სინტაქსურად უკავშირდება ერთადერთი სახელი - სუბიექტი. გარდაუვალ ზმნასთან სუბიექტი სახელობით ბრუნვაში ღვას. სახელი სახელობით ბრუნვაში წარმოადგენს ფუძეს, რომელსაც არ მოსდევს სახ. ბრუნვის ნიშანი. ეს არის გაუფორმებელი ფუძე, რომლის ნიშანიც უნიშნობაა ყველა ნახურ-დალესტნურ ენაში.

სახელი მრავლობითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში დაირთავს არა ბრუნვის ნიშანს, არამედ რიცხვის მაწარმოებელ ფორმანტებს, რომელთაც პირობითად აქვთ ბრუნვის ნიშნის ფუნქციაც (მღრ., ქართულში წერ-ს და წერ-ენ ფორმები, რომლებშიც -ს და -ენ ფორმანტებს აქვთ როგორც პირის, ისე რიცხვის გამოხატვის ფუნქცია).

ერგატიული კონსტრუქცია. ერგატიული კონსტრუქცია გარდამავალი ზმნის კონსტრუქციას წარმოადგენს. ზოგადად, ეს არის იბერიულ-კავკასიური ენებისათვის ნიშანდობლივი კონსტრუქცია. ერგატიული კონსტრუქცია ფუძენახურ დონეზე არის სავარაუდებელი.

გარდამავალი ზმნა სუბიექტს მართავს ერგატივში. კონსტრუქციასაც სუბიექტის ბრუნვის მიხედვით დაერქვა სახელი.

ერგატიული კონსტრუქცია სამწვერიანია: ზმნა, სუბიექტი და რეალური ობიექტი. გარდამავალ ზმნასთან, როგორც ითქვას, სუბიექტი ერგატივში, ხოლო ობიექტი სახელობით ბრუნვაში დგას.

აღსანიშნავია, რომ ნომინატიურ კონსტრუქციაში სუბიექტი დგას სახელობითში, ხოლო ერგატიულში სახელობითში დგას რეალური ობიექტი. გარდა ამისა, კლასნიშნიან ზმნაში კლასის ნიშნით გამოხატულია სწორედ ის სახელი, რომელიც სახელობით ბრუნვაში დგას. მასასადმე, გარდამავალ ზმნაში, რომელიც იცვლება გრამატიკული კლასების მიხედვით, კლასის ნიშნით გამოხატულია რეალური ობიექტის კლასი. უკლასნიშნო ზმნა ნეიტრალურია სახელის კლასისადმი. მოვიყვანოთ მაგალითები:

ჩენური: გოჭრ-უო (ერგ., სახ. გოჭრ) ხი მოლუ (უკლასნიშნო ზმნა) „ცხენი წყალს სვამს“; ნანა-ს (ერგ., სახ. ნანა) ქქორ (რეალ. ობ. დ- კლასისა) დ-ოლლუ (კლასნიშნ. ზმნა, დ- მარკერით გამოხატულია რეალ. ობიექტის კლასი) „დედა ფანჯარას აღებს“;

ასევე:

ბეჟიტური: დიდელა ოდ აჟდაჰ ბ-იტეიო „ჩემმა ძაღლმა ურჩხული მოკლა“;

დარგუული: ნუნი ყაწ ბურქუნრა „მე პური შევჭამე“; დურჰალი მამა ბუკული სად „ბავშვი ძუძუს წოვს“;

ლუზგიური: ფაფაა ქაჭარ ვაჩუნა „ქალმა დოქი აიღო“;

თაბასარანული: ჰურჩაბნი ლუყ ღიბისნუ „მონადირემ არწივი დაიჭირა“;

ბუდუხური: სოქულდურ ჯიბჯიბერ საყალჯვი „მელამ წიწილები შეჭამა“...

სახელთა ქართული შესატყვისები ზოგ შემთხვევაში (თუ სახელი ზმნის პირველი სერიის ფორმებთან დგას) პირობითია.

მაშასადამე, ერგატიული კონსტრუქცია ნახურ-დაღესტნურ ენებში, ისევე როგორც ყველა იბერიულ-კავკასიურ ენაში, წარმოადგენს ერთ-ერთ უძველეს სინტაქსურ კატეგორიას. ერგატიული კონსტრუქცია იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის წევრთა თავისებურებაა.

დატიური კონსტრუქცია. გრძნობა-აქმის გამომხატველი ზმნები (Verba Sentiendi) ნახურ და დაღესტნურ ენათა წინადადებაში რეალური სუბიექტს (RS), ჩვეულებრივ, მართავენ მიცემით ბრუნვაში (დატივში) და, შესაბამისად, ქმნიან წინადადების დატიურ (მიცემითიან) კონსტრუქციას, რაც ნიშანდობლივი მოვლენაა არა მარტო ნახურ-დაღესტნური და, საერთოდ, კავკასიური ენებისათვის, არამედ მსოფლიოს არაერთ სხვა ენაშიც მოიპოვება ანალოგიური სინტაქსური კონსტრუქცია (მაგალითად, ინდოევროპულ ენათა ოჯახის სხვადასხვა ჯგუფებში).

ნახურ და დაღესტნურ ენებში წინადადების დატიური კონსტრუქციის ამგებ ზმნებს წარმოადგენენ „სიყვარულის“, „მოწონების“, „ნდობის“, „ხედვის“, „სმენის“, „ცოდნის“, „შეძლების“, „დავიწყების“, „პოვნის“, „შიშის“ სემანტიკის მქონე ზმნები (Verba Sentiendi), თუმცა სხვადასხვა ენებში ვითარება განსხვავებულია, ვინაიდან ცალკეულ ენებში (მაგ., ხუნძურში) გრძნობა-აქმის გამომხატველ დასახელებულ ზმნათაგან ზოგიერთი ქმნის წინადადების ლოკატიურ კონსტრუქციას (მაგ., „ხედვა“, „სმენა“, „ცოდნა“, „დავიწყება“, „პოვნა“), ანუ რეალური სუბიექტი (RS) მათთან დაისმის ადგილობით (ლოკატიურ) ბრუნვაში და არა მიცემითში (დატივში).

დატიური კონსტრუქცია სამი წევრისაგან შედგება: ზმნა-შემასმენელი, რეალური სუბიექტი (RS) – მიცემით ბრუნვაში და რეალური ობიექტი (RO) – სახელობით ბრუნვაში. დამახასიათებელი სემანტიკური თავისებურებაა ის, რომ რეალური სუბიექტი, რომელიც წინადადების დატიურ კონსტრუქციაში მიცემით ბრუნვაშია დასმული, არც წარმოადგენს მოქმედს და თითქოს რეალური ობიექტი (RO) ჩანს აქ მოქმედი.

მაგალითები:

ჩიჩნ. სუნა(RS/DAT) ქინო(RO^d/NOM) გირა „მე(მიც.) კინო ვნახე“; სთუდენტთაშნა(RS/DAT) ხედლხარშ(RO^d/NOM) ხა'ა „სტუდენტებმა(ზედმიწ. „სტუდენტებს“) ცეკვები იციან“; თხუნა(RS/DAT) ყამელ(RO^d/NOM) ხეზარა „ჩვენ(მიც.) საუბარი გვესმოდა“; ღუნა(RS/DAT) გაზეთ(RS/DAT) ლა'ა „მამას გაზეთი უნდა“; სუნა(RS/DAT) იო(RO^d/NOM) ეფუზა „მე(მიც.) გოგოს ვიცნობ“ ... ამ სისტემიდან გადახრები შეინიშნება ბაცბურში, სადაც, მაგალითად, „ხედვა“ ზმნასთან რეალური სუბიექტი შეიძლება

ერგატივიცი დაისმოლეს; ბაცბ. მიტუნ(RS/DAT) ჰოლ(RO^d/NOM) გუ „მიტო(მიც.) შენ გხელავს“, მაგრამ დასაშვებია, აგრეთვე, კონსტრუქცია მიტოს(RS/ERG) ჰოლ(RO^d/NOM) გუ „მიტო(ზედმიწ. “მიტომ”) შენ გხელავს“. ასეთი შემთხვევები მეორეულია.

ხუნძ. ინსუე(RS/DAT) ჟას(RO^d/NOM) ჟოტ^ჭულა „მამას ვაჟიშვილი უყვარს“; ლიდე(RS/DAT) დას(RO^d/NOM) რეკედე ჟოლა „მე(მიც.) გოგო მომწონს“...;

ლიდ. ობიურ(RS/DAT) უჟი(RO^d/NOM) იქჟაჲს „მამამ (ზედმიწ. „მამას“) ვაჟი დაინახა“; ქილბერ(RS/DAT) უჟი(RO^d/NOM) ეთის „გოგოს ბიჭი უყვარს“...;

ლაკ. ჟუნ(RS/DAT) ვათან(RO^d/NOM) ხირასარ „ჩვენ სამშობლო გვიყვარს“; თოუნ(RS/DAT) ინა(RO^d/NOM) ხირარა „მე(მიც.) შენ მიყვარხარ“; თანან(RS/DAT) ლერა(RO^d/NOM) ბივზუნნი „მას მოუნდა“; ორჭან(RS/DAT) ბურს(RO^d/NOM) ხაალ ნუნნი „ბიჭმა(ზედმიწ. „ბიჭს“) კურღელი დაინახა“...;

ღარგ. ნაბ(RS/DAT) ით(RO^d/NOM) ლიგულრა „მე(მიც.) იგი მიყვარს“; ითის(RS/DAT) ნუ(RO^d/NOM) ლიგულრა „მას მე ვუყვარვარ“; ნაბ(RS/DAT) ით(RO^d/NOM) არლიბრა „მე(მიც.) იგი ღვინახე“; ნაბ(RS/DAT) ით(RO^d/NOM) ბალას „მე (მიც.) ის ვიცი“...;

ლუზგ. რუშაზ(RS/DAT) ქააც(RO^d/NOM) აქაუნა „გოგომ(ზედმიწ. „გოგოს“) კატა დაინახა“...;

თაბ. შუბარიზ(RS/DAT) ნიძკარ(RO^d/NOM) ლიღივზუ „გოგოებმა(ზედმიწ. „გოგოებს“) მარწყვი იპოვეს“...;

აღ. ზუს(RS/DAT) ვე თოურ(RO^d/NOM) ნუნეჟ „მე(მიც.) შენი სახელი ვიცი“...;

რუთ. ხენიძემის(RS/DAT) დიმაღლლ ლულჩეს ბალა ჰგვარ „ბავშვებს ვირით გასეირნება ძალიან უყვართ“...;

წახ. დელის(RS/DAT) ჯენა ღის(RO^d/NOM) გქან „ღელას თავისი ვაჟი უყვარს“...;

არჩ. ბეზ(RS/DAT) დამუბ წად(RO^d/NOM) ბაქურშიბი „მე(მიც.) ამ თხას ვხედავ“...;

კრიწ. ზას(RS/DAT) ხორ სას(RO^d/NOM) ინჯვი „მე(მიც.) ძაღლის ყეფა გავიგონე“...;

ბუღ. ზგზ(RS/DAT) ვგნ ინჯითმი(RO^d/NOM) სიცი დიქვღღდ „მე(მიც.) შენი შეწუხება არ მინდა“...;

